# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№011 (12690) 17 იანვარი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მიდის თუ რჩება?

მსოფლიო ფეხბურთი

>> 6-10

# ასათიანს დუბლებში ვარჯიშიც აუკრძალესო...



## კიევის დინამო ქალაში რჩება, ფენერბაჰჩე?

ერთ დროს საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ლიდერ მალხაზ ასათიანს ცუდი დროება უდგას. გუშინ გაცნობეთ, რომ მან „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობასთან ერთად განაახლა ვარჯიში. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესეც დიდი ფუფუნება ყოფილა ქართველი ფეხბურთელისთვის - ის გუნდს შეკრებაზე არ გაჰყვება. რუსული წყაროების მტკიცებით, კლუბის ხელმძღვანელებმა ასათიანს „ლოკომოტივში“ საერთოდ აუკრძალეს ვარჯიში, ახლა უკვე დუბლებთან ერთადაც. რკინიგზელთა უფროსობა მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს ერთადერთ საკითხზე და ეს კონტრაქტის განყვეტას ეხება. ხელშეკრულებასა და კომპენსაციაზე უარის სანაცვლოდ, „ლოკომოტივი“ ჩვენებურს თავისუფალი აგენტის სტატუსს სთავაზობს. ასათიანი, ჯერჯერობით, ყაბულს არაა. როგორც რუსული „სპორტ ბოქსი“ წერს, კიევის „დინამომ“ უარი თქვა ქართველის გამოსყიდვაზე. „სოვეტსკი სპორტთან“ ინტერვიუში კი „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა განაცხადა - ასათიანზე სხვა კლუბებიდან მოთხოვნა არ არისო...
მოკლედ, საქმეს თითქოს ისეთი პირი უჩანს, რომ ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის კარიერა დაღუპვის პირასაა...

ნიკოლოზ ნეფარიძე

### მალხაზ ასათიანს გუშინ მოსკოვში დავუკავშირდით...

- „ლოკომოტივი“ დღეს გაემგზავრა თურქულ შეკრებაზე. გუნდს დათო მუჯირი გაჰყვა, მე კი მოსკოვში ვარ და დუბლებში ვვარჯიშობ.

**- დუბლებში? რუსულმა სააგენტოებმა დაწერეს, ასათიანს სარეზერვო გუნდში ვარჯიშიც აუკრძალესო...**

- არა, არა... დუბლებში ვარ და ვვარჯიშობ.

**- „ლოკომოტივთან“ კონტრაქტის განყვეტა მართლა შემოგთავაზეს?**

- კონტრაქტის განყვეტა? არა, საიდან მოიტანეთ?!

**- ესეც რუსული წყაროების ინფორმაციაა...**

- კიდევ ერთხელ ვამბობ - დუბლებში ვვარჯიშობ და ახალ გუნდს ველოდები. კონტრაქტის განყვეტის ამბავი პირველად მესმის. მსგავსიც კი არავის არაფერი უთქვამს.

**- კიევის „დინამოსთან“ მოლაპარაკებები დასრულებულია?**

>> 2

## ქართველი ფეხბურთელი ბოსნიის ნაკრებში?

საქართველოში არავის ვაინტერესებ და სხვა რა დამრჩენია?!



ლევან კუტალია

>> 3

## სად წავიდა 50 ათასი დოლარი?



ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

>> 12

# რეალის პრეზიდენტი გადადგა



>> 7

ტრანსფერის მოლოდინში

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# კიევის დინამო ძალაში რჩება, ფენერბაჰჩე?

## ასათიანი ახალ გუნდსა და ნაკრებში გამოძახებას ელის

1 - არა, გრძელდება. ეს ვარიანტი ჯერაც არ არის გამორიცხული, კლუბებს შორის მოლაპარაკებები გრძელდება.

**- „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა თქვა - ასათიანს კიეველებს სიმბოლურ თანხად დავუთმობთო. მერე კი დაიწერა, „დინამო" ქართველის ხელფასმა დააფრთხოო...**

- არა, ხელფასი აქ არაფერ შუაშია. მოკლედ, ჩვეულებრივი პროცესია - კლუბებს შორის მოლაპარაკება მიდის. იმედი მაქვს, შეთანხმდებიან და კიევში დავბრუნდები.

**- „ლოკომოტივში" დარჩენას გამორიცხავთ?**

- სიტუაცია ისეთია, სჯობს, „ლოკომოტივში" თამაში გამოვრიცხო. იური სიომინი კარგად მიცნობს და მენდობა, ეს კი ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. თუ კიევში მომიწევს კარიერის გაგრძელება, მალე დავამტკიცებ, რომ ამ გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელი ვარ. „დინამოში" მცირე ხანს ვიყავი და ტრავმებმაც შემიშალა ხელი, თორემ ჩემს სიტყვას უფრო რიხიანად ვიტყოდი.

**- თქვენთან მიმართებაში „ფენერბაჰჩეც" ახსენეს. ამ ვარიანტზეც გრძელდება მუშაობა?**

- არ ვიცი, ახალ გუნდს ველი და ვნახოთ, სად მომიწევს კარიერის გაგრძელება.

**- რამდენიმე ვარიანტი გაქვთ?**

- სწორად გამიგეთ, ვიდრე საქმე ლაპარაკის დონეზეა, ვერაფერს გეტყვით. ასე რომ, კიდევ რამდენიმე დღე მომიწევს მოცდა. მანამდე კი ფიზიკური კონდიციები უნდა შევინარჩუნო და ამიტომაც ვვარჯიშობ „ლოკომოტივის" დუბლებში.

**- „ლოკომოტივის" პრეზიდენტს თუ ესაუბრეთ?**

- ჯერ კიდევ დეკემბერში, შვებულებაში გასვლამდე გვქონდა შეხვედრა. ნაუმოვი დამპირდა, რომ ჩემს ტრანსფერს არ შეაფერხებდა და თითქმის უსასყიდლოდ გამიშვებდა. მჯერა, სიტყვას არ გატეხს... ტრანსფერზე მუშაობა მიდის და იმედი მაქვს, სიახლეც მალე იქნება... თანაც, თებერვალში ეროვნულ ნაკრებს თამაში აქვს და მინდა, ამ მატჩს მზადყოფნაში შევხვდე... ჰო, მართლა, კალაძის ამბავი გავიგე და ძალიან მეწყინა, ეს ტრავმები ხომ არ გვანებებს თავს... წელს შარშანდელზე უკეთ უნდა ვითამაშოთ. ძალიან მინდა, დუბლინში ქულა მაინც ავილოთ. ირლანდიასთან ორ თამაშს ხომ არ წავაგებთ?

### ...და ისევ ასათიანზე

გუშინ რუსულმა წყაროებმა **მალხაზ ასათიანზე** სხვა ინფორმაციაც გაავრცელეს. ასათიანის არ იყოს, ზოგიერთი სააგენტოც ამას ამტკიცებს - მალხაზი „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდში ვარჯიშობსო. რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტი **ნიკოლაი ნაუმოვი** კი აცხადებს, რომ ასათიანის ტრანსფერთან დაკავშირებით სიახლე ჯერჯერობით არაფერია. კიეველთა კლუბის თავკაცი **იგორ სურკისი** კი უკრაინული „ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს - ასათიანთან დაკავშირებით და მოსკოველებთან მოლაპარაკებები გრძელდებაო. მოკლედ, ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

# 24 ფეხბურთელით თურქეთისკენ

## ახლები ჯორჯიელთა სიაში

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზამთრის ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო. **რამაზ მუმლაძის** გუნდი ჯერჯერობით თბილისში ვარჯიშობს, 18 იანვარს კი მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთს მიაშურებს. ანთალიაში ვიტელები ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ქაიათ ბელექში" დაბინავდებიან. იქ მათ განკარგულებაში იქნება სამი მოედანი და საცურაო აუზი, პლუს ამას, ყველა საჭირო პირობა საფუძვლიანი მომზადებისთვის. უკვე დასახელებულია იმ 24 ფეხბურთელის ვინაობა, რომელიც თურქეთში გაემგზავრება:

მეკარეები - **გრიგოლ ბედიაშვილი, არდალიონ მიქაბერიძე, შოთა ლურბელეიშვილი;**

მცველები - **ალექსანდრე კვახაძე, ამირან ყველაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, ნიკოლოზ მგელაძე, დავით ხურცილავა, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, გიგა ბეჭვაია;**

ნახევარმცველები - **გიორგი ვასაძე, ლუკა რაზმაძე, გიორგი კვალინიძე, გიორგი მელქაძე, დავით მაისაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, გიორგი ჯანელიძე;**

თავდამსხმელები - **ჯაბა ლიპარტია, გიორგი ბერიაშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, მიხეილ როსტიაშვილი, ბექა ზაქრაძე.**

როგორც ხედავთ, სიაში არ არის მცველი **დავით ლომაია**, რომელიც ლუგანსკის „ზარიაში" გადის ტესტირებას. სანაცვლოდ, მუმლაძის განკარგულებაშია ვიტელთა ახალწვეული მცველი **ნიკოლოზ მგელაძე**. 24 ფეხბურთელისგან შემდგარ სიაში არიან „ვიტ ჯორჯია 2-ის" ფეხბურთელებიც - მცველები **ლაშა კასრაძე** და **გურამ ადამაძე**, ნახევარმცველები **გიორგი ვასაძე** და **გიორგი ჯანელიძე**, თავდამსხმელები **ბექა ზაქრაძე** და **მიხეილ როსტიაშვილი**. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა შარშან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების რიგებში არა ერთ შეხვედრაში იასპარეზა.

ანთალიაში „ვიტ ჯორჯია" ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჯორჯიელთა სპარინგპარტნიორთა ვინაობა მალე გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

გაგრა

# გულორდავა გაგრაშია, ლონლაძე სპარტაკში დარჩა

„გაგრა" მზადებას განაგრძობს, თბილისური ეტაპი დასრულებულია და დღეს გუნდი ანთალიაში, ქალაქ სიდესკენ აიღებს გეზს. „გაგრა" იქ ორ კვირას დაჰყოფს და ოთხ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს - ლიეპაიას „მეტალურგსთან" (19 იანვარი), მახაჩყალის „ანჟისთან „ (22 იანვარი), პოლონურ „ზაგლებიესთან" (25 იანვარი) და ყაზახურ „ქაისართან" (30 იანვარი). კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელთა სიაც, რომლებიც შეკრებას გაივლიან:

მეკარეები - **რევაზ თევდორაძე, სოსო ხომერიკი;**

მცველები - **ზაზა ქაჯაია, დავით გიგაური, ჯიმი გაბუნია, გიორგი სარაჯიშვილი, აკაკი კუპრეიშვილი;**

ნახევარმცველები - **ზამორა დათუნაშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, გიორგი ცხადაია, დავით ჩარგეიშვილი, ლევან შარიქაძე, თორნიკე მოსიაშვილი, ლევან სეთურიძე, ნიკოლოზ ფანცხავა, გიორგი გავაშელიშვილი;**

თავდამსხმელები - **ზურაბ ძაგანია, დავით ჩხაიძე, ლევან კიკნაძე, გიორგი გაბედავა, ბაჩანა ცხადაძე, ლექსო აბაშიძე.**

აქედან, ახალწვეულები არიან სარაჯიშვილი, კუპრეიშვილი და გავაშელიშვილი. გაგრელებს ცხინვალის „სპარტაკის" ფორვარდ **მამუკა ლონლაძის** დამატებაც სურდათ, რაც თავად ფეხბურთელმაც გაგვიმხილა. ჩვენი ინფორმაციით, „გაგრაში" ელოდნენ ზუგდიდის „მგლების" 20 წლის ნახევარმცველ **გიორგი გულორდავასაც**, რომელმაც პირველ წრეში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ინფორმაციის გადასამოწმებლად გუნდის მთავარ მწვრთნელ **ვლადიმერ ხაჩიძეს** დავუკავშირდით.

*„გულორდავას მართლაც ველოდებით. მან ჩვენთან ერთად უნდა ივარჯიშოს, მაგრამ მისი ჩარიცხვა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. რაც შეეხება მამუკა ლონლაძეს, მისი დამატებაც გვსურდა, გადმოსვლაც შევთავაზეთ, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, საბოლოოდ მაინც „სპარტაკში" დარჩა. ამას გარდა, სიახლეა ისიც, რომ „სპარტაკიდან" დაგვიბრუნდა მარცხენა მცველი აკაკი კუპრეიშვილი, რომელიც ჩვენს გუნდს ეკუთვნის. დავიმატეთ ბაჩანა ცხადაძეც, რომლის საკითხიც შეკრების შემდეგ გადაწყდება. არ არის გამორიცხული, ანთალიაში უკრაინელი ლეგიონერებიც დაგვემატონ. მოკლედ, კომპლექტაციას ვაგრძელებთ და იმედია, ოპტიმალურ შემადგენლობას შევკრებთ,"* - გვითხრა ხაჩიძემ.

სხვათა შორის, „გაგრაში" ისინჯება 17 წლის ნიგერიელი თავდამსხმელიც, რომელიც გუნდს შეკრებაზე გაჰყვება. ხაჩიძის თქმით, მხოლოდ ანთალიური შეკრების შემდეგ გადაწყდება, ჩაირიცხება თუ არა აფრიკელი ფორვარდი „გაგრაში".

**მერაბ მამულაშვილი**

მგლები

ინტერვიუ ბესიკ შეროზიასთან

# არ შემიძლია უამბიციოდ მუშაობა

**ზუგდიდის „მგლების" მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია გუნდს მეორე ეტაპისთვის ამზადებს. ქალაქის გამგეობამ კლუბი გაჭირვებაში არ მიატოვა და ფეხზე დააყენა. აუტსაიდერად შერაცხულმა გუნდმა, პირველ ეტაპზე გამართული, აზრიანი ფეხბურთი აჩვენა და თავიც დაგვამახსოვრა. გამოჩნდა ბევრი საინტერესო მოთამაშეც. სხვა კლუბებში დაწუნებულები მშობლიურ ქალაქში ათამაშდნენ. სამწლიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული ვალტერ გუჩუაც. „მგლებმა" პირველი ეტაპი მეშვიდე ადგილზე დაასრულა. ეს კი მწვრთნელ ბესიკ შეროზიას ნიჭის დამსახურებაა.**

**სად მოემზადება გუნდი, რა ცვლილებებია და რა მიზნებისთვის იბრძოლებს „მგლები"? ამის თაობაზე „ლელო" შეროზიას გაესაუბრა.**

**- ბატონო ბესიკ, თუ გაარკვიეთ სად მოემზადება „მგლები" მეორე ეტაპისთვის?**

- ურეკში, სასტუმრო „კოლხიდაში" გადავწყვიტეთ შეკრების მოწყობა. იქ მშვენიერი პირობები შემოგვთავაზეს. 18-დან 30 იანვრის ჩათვლით, ურეკში ვიქნებით და საკონტროლო მატჩებსაც გავმართავთ.

**- როგორც შევიტყვეთ, ბოლო ორ დღეში მნიშვნელოვანი მატება გაქვთ...**

- გეტყვით, ამ ზამთარს ვინც დავიმატეთ და თავად განსაჯეთ, გავძლიერდით თუ არა: წავიდა მეკარე ზურაბ მამალაძე და მის ნაცვლად „მესხეთის" კაპიტანი გიორგი სომხიშვილი ავიყვანეთ. მასთან უკვე მოვილაპარაკეთ კიდეც. ის ექვსთვიან, ან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „მესხეთიდან" დავიმატეთ ფლანგის მცველი თემურ რაქვიაშვილიც, რომელიც გიორგი რეხვიაშვილის პოზიციაზე ითამაშებს. მას ფეხბურთი უზომოდ უყვარს და ვფიქრობ, ძალიან გამოგვადგება. არ არის გამორიცხული, მას წელიწადნახევრიანი კონტრაქტიც გავუფორმოთ. „სიონიდან" დავიმატეთ ბექა ნოზაძე, რომელსაც შოთა ლომიას ადგილს მივანდობთ. მიხარია, რომ უზბეკეთიდან დავით ქირია დავიბრუნეთ. ის ნიჭიერი ბიჭია, არ დავმალავ და, ჩემი „ჯილაა". მასაც შეუძლია გუნდის გაძლიერება. ფოთის „კოლხეთიდან" ავიყვანეთ ჩვენი ყოფილი ფეხბურთელი პაატა ბაკარანძე, რომელიც მეტად საჭირო თავდამსხმელია. ამას გარდა, „ვიტ ჯორჯიიდან" წამოვიყვანეთ რევაზ ინჯგია. ერთი წელია, არ უთამაშია ირაკლი მალიჩავას, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი გამოყენება შეიძლება. ოლექსანდრ ომელიანოვის დატოვებაც გამართლებული მგონია. რატომღაც, მჯერა, რომ ეს ბიჭი გაიხსნება და ქართულ გუნდს მოუხდება. ძალიან მოძრავი და სასარგებლო თავდამსხმელია. დარჩნენ ვალტერ გუჩუა, დავით ჯოჯუა და გია თოდუა, როინ ონიანი კი თავიდანვე დავიმატეთ. მე მგონი, ამ შემადგენლობით ბევრს მივაღწევთ.

**- მართალია, თითქოს პირველი წრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ გიორგი გულორდავამ „მგლები" დატოვა?**

- მის გამო, ჩვენსა და „ლოკომოტივს" შორის გაუგებრობა მოხდა და გიორგი გუნდში აღარ გამოჩენილა.

**- „მგლების" ნახევარდაცვა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატში - გუჩუა, ჯოჯუა, გულორდავა და ლომია დიდი ძალა აღმოჩნდა, მაგრამ ახლა მათგან ორი დაგაკლდათ...**

- ლომია პირველი ლიგის მარტვილის „მერანიდან" ავიყვანეთ და გაამართლა კიდეც. ის საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, თბილისის „დინამომ" აიყვანა და მსურს, წარმატება ვუსურვო. შოთა ნიჭიერი ბიჭია, შეუძლია, არაფრისგან მომენტი შექმნას და იმედია, „დინამოში" კიდევ უფრო დაიხვეწება. „მგლები" იმის მაგალითია, რომ ქართულ ფეხბურთს მეტი ოპტიმიზმით უნდა ვუყუროთ. საერთოდ, ვერ ვიტან წუწუნს და ცხვირის ჩამოშვებას. თუ მოთამაშეებს სიყვარულით მოექცევი და გასალებს მოუძებნი, გუნდსაც აათამაშებ. ჩვენთან უამრავი ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ მათ თავდაჯერება და ნდობა აკლიათ. თავიდანვე ვამბობდი - მიუხედავად სეზონის წინ არსებული პრობლემებისა, ჩვენი გუნდი „კერკეტი კაკალი" იქნებოდა და თავს არავის დაუხრიდა. ვხედავდი ამ ბიჭების შესაძლებლობებს და მჯეროდა, რომ გუნდიც გამოჩნდებოდა და თითოეული მათგანიც. დამიჯერეთ - შესაძლებელია, მოთამაშეს ინტელექტი და პროფესიონალიზმი აუმაღლო. რაღაც მომენტში, ფეხბურთელი ისე შეიძლება „ააგდო", საკუთარ შესაძლებლობებსაც კი გადააჭარბოს. ადამიანის გონებაშია მისი უზარმაზარი რესურსი და მე სწორედ მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორებით ვცდილობ „მგლების" გაძლიერებას. კუნთები მხოლოდ გონებაზეა დამოკიდებული. ფული ფეხბურთში ბევრს ნიშნავს, მაგრამ არა - ყველაფერს. „მგლებმა" მასზე მდიდარ კლუბებს საბრძოლო განწყობითა და ჟინით გაუსწრო. ჩვენ შეგვიძლია, ფულზე მაღლა დავდგეთ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**- რამდენიმე მატჩი „მგლებმა" საუკეთესო განწყობით კი ჩაატარა, მაგრამ ცხინვალის „სპარტაკთან" 0:4 სწორედ ფსიქოლოგიური მარცხი იყო - მოსაგები მატჩი დიდი ანგარიშით წააგეთ. ამაზე რას იტყოდით?**

- მწვრთნელი ამისთვისაც მზად უნდა იყოს. შეიძლება, გუნდი მოულოდნელად გაჩერდეს. ესეც დასაფიქრებელი მატჩი იყო. რა დაემართათ მოთამაშეებს, დღემდე ვერაფრით ამიხსნია.

**- „ვიტ ჯორჯიის" მთავარმა მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ „მგლები" და თქვენ კარგად დაგახასიათათ - ზუგდიდური გუნდი ყველასგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს, შეროზია კი საინტერესო მწვრთნელიაო...**

- ბატონ რამაზს მადლობას ვუხდი. საპასუხო კომპლიმენტს მხოლოდ ზრდილობის გამო არ ვიტყვი - „ვიტ ჯორჯია" მართლაც ყველაზე მეტად მომწონს, განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს - სწრაფს, ათლეტურს, ფეთქებადსა და თანამედროვეს. ეს სტილი ძალიან მხიბლავს. მუმლაძეს ახალგაზრდული, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული გუნდი ჰყავს. მომწონს რუსთავის „ოლიმპიც", თბილისის „დინამოც" დამაჯერებლად ათამაშდა. რამდენჯერმე გაიბრწყინა „გაგრამ" და თუ სტაბილურობას შეიძენს, სერიოზული ძალა გახდება. მგონი, წლევანდელ ჩემპიონატს ისეთი ინტრიგა ახლავს, უკუსვლა კი არა, წინსვლას დავინახავთ.



**- უშვებთ იმ აზრს, რომ მეორე ეტაპზე, შესაძლოა, სამეულისთვის იბრძოლოთ?**

- ლიდერთა ოთხეულს 6 ქულით ჩამოვრჩებით, რაც დიდი სხვაობაა, მაგრამ ჩემპიონატი იმიტომაც არის საინტერესო, რომ ამ სხვაობის შემცირების იმედი მაინც არსებობს. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ. მწვრთნელი ვარ და ჩემი ამბიცია მაქვს, სხვანაირად მუშაობა არ შემძილია. მინდა, გუნდი სულ წარმატებული იყოს და თანაც, ბევრად მდიდარ კლუბებს გადავუსწროთ. თუკი ამ ბიჭებმა გაამართლეს, წელს გუნდს მაქსიმალურად შევათამაშებთ, შემდეგი სეზონიდან კი რაც შეიძლება მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. ვფიქრობ, დროა ზუგდიდში დიდი ფეხბურთი დავაბრუნოთ - ეს ისევ ქართული ფეხბურთის ინტერესებშია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალეგიონო



გიორგი ნავალოვსკი



ნუკრი რევიშვილი (№29)

# ქართველთა გუნდი ალიზევებისთვის იბრძოლებს

როგორც რუსული „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება, **ომარ თეთრაძის „ანჟი“** ახალ სეზონში პრემიერლიგის საგზურისთვის იბრძოლებს. ამ მიზნის მისაღწევად მახაჩყალური კლუბის ბიუჯეტი 15-20 მილიონი დოლარით განისაზღვრა. უცხოეთში ყველაზე ქართული (8 ჩვენებური პლუს მთავარი მწვრთნელი) გუნდი ამჟამად თურქულ შეკრებაზე იმყოფება, სადაც კლუბის პრეზიდენტი **მაგომედ მაგომედოვიც** გაემგზავრა და 5 გამზადებული კონტრაქტი ჩაიტანა. სხვებთან ერთად, თურქეთში ხელშეკრულებაზე ხელს სამი ქართველიც მოაწერს - **სანდრო იაშვილი, კახა ალადაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე**.

იქვე, „ანჟიმ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. დაღესტნელები ყაზახურ „ჟეტისუს“ დაუზავდნენ - 1:1. პირველი ტაიმი **გიორგი ნავალოვსკიმ, კახა ალადაშვილმა, ზურაბ არზიანმა, ოთარ მარცვალაძემ** და **სანდრო იაშვილმა** სასტარტოში დაიწყეს, უკვე მე-5 წუთზე კი მოედანზე გამოჩნდა **ედიკ საჯაიაც**. მეორე ნახევარში მხოლოდ ერთმა ჩვენებურმა, **გოჩა ხოჯავამ** ითამაშა. კვლავ არ ჩანს გუნდში **რევაზ ჯიქია**. წინა მატჩისგან განსხვავებით, ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ. ომარ თეთრაძე თავდამსხმელთა თამაშით უკმაყოფილო დარჩა:

*„ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მეტოქემ კი ერთხელ დაგვირტყა და გაგვიტანა“* - განუცხადა ომარმა რუსულ მედიას.

### გოცირიძე მძიმედ იწყებს

თურქულ შეკრებაზე მყოფი უკრაინული „დნიპრო“ დღეში ორ ამხანაგურ მატჩს ატარებს. ბოლოს, „ქართველთა გუნდმა“ ორივეში გამარჯვება იზეიმა - ჯერ 6:2 დაამარცხა გერმანული „პადერბორნი“, სადაც ერთ დროს **დავით სირაძე** ასპარეზობდა, შემდეგ კი 2:1 მოუგო პავლოდარის „ირტიშს“. პირველ შეხვედრაში „დნიპროს“ ქართულ ტრიოს მონაწილეობა არ მიუღია, მეორეში კი **ჯაბა კანკავამ** და **ბექა გოცირიძემ** ითამაშეს. „ირტიშთან“ მატჩის ორივე ტაიმში ჯაბამ თითო ასპროცენტიანი საგოლე მომენტი გააფუჭა. ასე დაემართა გოცირიძესაც, რომელმაც შეხვედრის მეორე ნახევარში დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ააცილა ბურთი ყაზახთა კარს. „დნიპროს“ ვებგვერდის მტკიცებით, ბექას კიდევ ორი ასეთი შანსი ვერ გამოუყენებია.

„დნიპროს“ დუბლები კი უკრაინაში არიან, მათ დნეპროძერჟინსკში პირველი ამხანაგური მატჩი გამართეს და ადგილობრივ „სტალთან“ 1:1 ითამაშეს. 18 წლის **ბექა ბეროშვილმა** დუბლშემადგენლობაში პირველი 54 წუთი ითამაშა.

### რუბინმა თანამეგობრობას რევიშვილი დაუთმო

რუსეთის ჩემპიონმა ყაზანის „რუბინმა“ თანამეგობრობის თასზე მონაწილე გუნდის განაცხადი ერთი კვირის წინ წარადგინა. მასში მხოლოდ სარეზერვო გუნდის ფეხბურთელები მოხვდნენ. ამ ფაქტმა თურმე ერთობ ალაშფოთა რუსული ფეხბურთის თავკაცი **ვიტალი მუტკო**, რომელმაც „რუბინის“ ხელმძღვანელობას მოსკოვში ძირითადი გუნდის ჩაყვანა მოსთხოვა. თითის დაქნევამ გაჭრა და ყაზანელებმა განაცხადი ერთბაშად 9 ფეხბურთელით გააძლიერეს, თუმც სიაში უმთავრესად ის მოთამაშეები მოხვდნენ, რომელთაც ძირითად გუნდში იშვიათად ამწესებდნენ. ასე მიეცა შანსი ქართველ მეკარე **ნუკრი რევიშვილს**, რომელიც თანამეგობრობის თასზე „რუბინის“ კარს დაიცავს.

### ვაჟა იქით, ვაჟა აქეთ

ალუშტაში შეკრებაზე მყოფმა სიმფეროპოლის „ტავრიამ“ პირველი ამხანაგური მატჩები გამართა. მეტოქე გუნდის სახელი - „ჰერმესი“ ვერაფერს გეტყვით, ეს უკრაინაში მყოფი თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ფეხბურთელთა მიერ სახელდახელოდ შექმნილი გუნდია. გაგიკვირდებათ და, პროფესიულმა კლუბმა „ჰერმესთან“ პირველი სპარინგი 1:2 დათმო, მეორე კი 2:0 მოიგო.

„ტავრიამ“ მატჩები განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშა. **ვასილ გიგიაძემ** პირველ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთი ხელსაყრელი მომენტიც გაუშვა ხელიდან. ნუ გაგიკვირდებათ **ლადო ბურდულის** არყოფნა. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელმა ის დუბლებში გადაიყვანა. თუმცა ყველაზე საინტერესო „ჰერმესის“ რიგებში შერიფელი **ვაჟა თარხნიშვილის** გამოჩენა იყო. „შერიფის“ ვეტერანი კაპიტანი ხომ მოლდოვის ჩემპიონატის 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. საბედნიეროდ, ის გუნდიდან არავის გაუშვია და „შერიფთან“ ერთად მოსკოვში თანამეგობრობის თასზე კვლავ კაპიტნის რანგში გაემგზავრა.

*„ბიჭები გამალებით ემზადებიან და ჩემპიონობა სურთ“* - ასეთი კომენტარი გააკეთა მან „შერიფის“ ოფიციალურ გვერდთან საუბარში მოსკოვურ ტურნირზე გამგზავრების წინ. მაშ, საკითხავია - რა უნდოდა ვაჟას ალუშტაში? საქმე ისაა, რომ „შერიფიც“ იქ ემზადებოდა და „ჰერმესის“ რიგებშიც ამიტომ ითამაშა. სხვათა შორის, „ტავრიის“ კარში გამარჯვების გოლი, საჯარიმო დარტყმით, სწორედ მან გაიტანა.

მზადებას აგრძელებს ლუგანსკის „ზარიაც“. გუნდმა სამტაიმიანი (თითო 20 წუთი) ორმხრივი მატჩი ითამაშა. „წითლებში“ „ზარიის“ ფეხბურთელები მოხვდნენ, „ყვითლებში“ კი სინჯებზე მყოფები და ახალწვეულები. საინტერესოა, რომ „ყვითლებმა“ 2:0 მოიგეს. მალე გუნდი თურქეთში გაემგზავრება. შეგახსენებთ, რომ „ზარიაში“ **გიორგი ციმაკურიძე** თამაშობს, **დავით ლომაია** კი სინჯებზეა ჩასული.

### აიაქსმა გრიგალავა დაიწუნა

ამსტერდამის „აიაქსი“ 19 წლის ქართველს, **გია გრიგალავას** კონტრაქტს არ შესთავაზებს. როგორც ჰოლანდიური წყაროები წერენ, გრიგალავამ სათანადოდ ვერ წარმოაჩინა თავი - როგორც ვარჯიშების დროს, ისე ორ ტესტმატჩში „ექსელსიორისა“ და „ლისეს“ წინააღმდეგ. პოპულარულ გამოცემა „დე ტელეგრააფს“ „აიაქსის“ ტექნიკური დირექტორის **დენი ბლინდის** სიტყვები მოჰყავს: *„ვარჯიშებზე გრიგალავას თავი ცუდად არ წარმოუჩენია, მაგრამ ისე ძალიანაც არ მოგვწონებია, რომ კონტრაქტი შევთავაზოთ“.*

შეგახსენებთ, რომ გრიგალავა როსტოვის სკა-ში ირიცხება. ფინანსური კრიზისის გამო, ეს კლუბი წლეულს რუსეთის მეორე დივიზიონში იასპარეზებს, თუმცა გრიგალავას, ალბათ, არ მოუწევს იქ თამაში, რადგან მისით რუსეთის რამდენიმე მოწინავე კლუბია დაინტერესებული.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ

დავით დათვაძე

# თურქეთის მესამე ლიგას ალმასტერად ნუ შეხედავთ

## მილიონი მხოლოდ ტრანსფერებისთვის

**საქართველოს** ჩემპიონატიდან სად აღარ მიდიან ფეხბურთელები უკეთესი პირობებისთვის, ხელფას-პრემიისთვის, კარგ მინდორზე თამაშისთვის და... შხაპის უპრობლემოდ მიღებისთვის. დავით დათვაძეს საქართველოში ძალიან ბევრ გუნდში უთამაშია, უცხოეთიც მოუვლია - თამაშობდა ტულის „არსენალში“ და ამერიკაშიც კი - კალიფორნიის შტატის ჩემპიონატში. ერთი სიტყვით, ბევრისმნახველი ფეხბურთელია.

ტექნიკური, ძლიერი დარტყმებითა და მოხდენილი პასებით - ასეთი გამთამაშებელია დათვაძე, რომელიც ახლა თურქეთის მესამე ლიგის ფეხბურთელია, შვებულებას თბილისში ატარებს და ჩვენთან ინტერვიუსთვისაც მოიცალა...



» 5

საინტერესო ამბავი

# ქართველი ბოსნიის ნაკრებში?

## საქართველოში არავის ვაინტერესებ და სხვა რა დამრჩენია?!

**ბოსნიის** ჩემპიონატში ამჟამად მეორე ადგილზეა სარაევოს „სლავია“, სადაც უკვე ერთი წელია, 19 წლის ქართველი გამთამაშებელი **ლევან კუტალია** თამაშობს. შარშან ის ზუგდიდის „მგლების“ ღირსებას იცავდა. ბუნებრივია, დავინტერესდით მისი ვინაობით და საინტერესო ამბავიც გავიგეთ - **გია გრიგალავას** კვალდაკვალ, გვაქვს „მშვენიერი“ შანსი, რომ კიდევ ერთი ქართველი ბიჭი დავკარგოთ.

*„ლევანი ელგუჯა ქომეთიანის გაზრდილია, რომელიც ძალიან კარგი სპეციალისტია. კუტალიამ ჩვენთან ერთად პირველი ლიგაც ითამაშა და შარშანდელ სეზონშიც. ბოსნიაში ამის მერე წავიდა. ის უდავოდ ნიჭიერი და საინტერესო ბიჭია, 19 წლისაა, გამთამაშებელი გახლავთ, მოედნის მშვენიერი ხედვა და დარტყმა აქვს. ლევანმა გვითხრა, რომ თავიდან ბოსნიაში გაუჭირდა, რადგან იქ ფიზიკური მომზადების უფრო მაღალი დონეა. თუმცა უკვე ერთი წელია, „სლავიაში“ თამაშობს, დატვირთვებსაც შეეჩვია და გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ჩაჯდა“* - გვითხრა „მგლების“ მთავარმა მწვრთნელმა **ბესიკ შეროზიამ**.

კუტალიას ბავშვობის მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** კი მნიშვნელოვანი ამბავი გაგვიმხილა: *„ლევანი ბოსნიაში საკმაოდ წარმატებით თამაშობს. მას ბოსნიის მოქალაქეობის მიღება და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაში შესთავაზეს. ძალიან დამწყდება გული, ასე რომ მოხდეს. ლევანი ნიჭიერი ფეხბურთელია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ შევინარჩუნოთ“.*

გუშინ თავად კუტალიასაც დავუკავშირდით. მან ბოსნიის ნაკრებში მიწვევა დაგვიდასტურა:

- დიახ, ასეა, ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევენ.

**- ეს შენი სურვილიცაა?**

- საქართველოს ნაკრებში მინდოდა თამაში, მაგრამ ჩემით არ ინტერესდებიან და სხვა რა გზა მაქვს? ორი წელი ველოდი, რომ გამომიძახებდნენ, 18 წლისა უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდი, მაგრამ 19-წლამდელთა ნაკრებში მხოლოდ შეკრებაზე მიმიწვიეს. ეს იყო და ეს, ერთხელაც არ მითამაშია და მივხვდი, რომ საქართველოსთვის საინტერესო ფეხბურთელი არ ვიყავი.

**- სარაევოს „სლავიაში“ როდის ჩაირიცხე?**

- ერთი წლის წინ გამსინჯეს და წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გამიფორმეს. ახლა კი კონტრაქტის გაგრძელება და ბოსნიის მოქალაქეობის მიღება შემთავაზეს. „სლავია“ ძლიერი გუნდია, ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, უეფას თასზე გასვლის შანსი გვაქვს. თუმცა, შეიძლება, გუნდი მაინც შევიცვალო. პირველი წრის შემდეგ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ და მერე გავიგე, რომ სერბული გრანდის მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას მოვეწონებივარ. თურმე, ისინი ჩემს მენეჯერს დაუკავშირდნენ და ყველაფერი გამოკითხეს - ვინ ვარ, სადაური ვარ, „სლავიაში“ რამდენი ხანია ვთამაშობ და ასე შემდეგ. მენეჯერისგან ვიცი, რომ ჩემთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტეს. სწორედ ამის შემდეგ შემომთავაზა „სლავიამ“ ახალი კონტრაქტი და შემდეგ უკვე - ბოსნიის ნაკრებში თამაში.

**- როგორც ვიცით, თავიდან „სლავიის“ ძირითადში ვერ ხვდებოდი...**

- გარკვეული დრო დამჭირდა საიმისოდ, რომ გუნდსა და მის მოთხოვნებს შევჩვეოდი, ფიზიკურად მოვღონიერებულიყავი. ძირითადში მხოლოდ მიმდინარე ჩემპიონატში, ანუ სულ რაღაც სამი თვეა მათამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკი

## ცხადაძის მოლოდინში

### გაბელაიას ახლები არ გამოადგა

ცხინვალის „სპარტაკი" მზადებას თბილისში განაგრძობს. **სერგო გაბელაიას** გუნდში ორ ათეულზე მეტი ფეხბურთელი ისინჯებოდა. გუშინ მათ ბოლო გამოცდა ჰქონდათ. „სპარტაკმა" სპორტკომპლექს „ოლიმპში" სანვრთნელი მატჩი ჩაატარა. სინჯებზე მყოფი ფეხბურთელები გაბელაიამ ერთმანეთის წინაალმდეგ ათამაშა. შემდეგ მან კომენტარიც გააკეთა:

*„დიახ, დღეს ორმხრივი თამაში გვქონდა. ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენთან სინჯებზე იყვნენ, უმაღლეს ლიგაში თამაშის პრაქტიკა არ ჰქონდათ და ამ ეტაპზე მათ გამოყენებას არ ვაპირებთ, მათზე უარის თქმა მოგვიწევს. ამჟამად, გუნდში 21 ფეხბურთელია და კიდევ ერთ-ორ მოთამაშეს ველოდებით".*

გაბელაიას პოტენციურ ახალწვეულებზეც ვკითხეთ. ჩვენი ინფორმაციით, „სპარტაკს" მალე **ბაჩანა ცხადაძე** დაემატება. ეს ცნობა მწვრთნელმაც დაგვიდასტურა:

*„ბაჩანასაც ველოდებით. ასევე ველოდებით ნახევარმცველ გიორგი თურმანიძეს, რომელიც ბოლოს „სამტრედიაში" თამაშობდა. გუნდი მეკარე მაქსიმ ქვილითაიამ დატოვა. რამდენადაც ვიცი, ის ყაზახეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას," -* გვითხრა გაბელაიამ.

დავით ცაბაძე

სიონი

## ორბელაძე გამოჩნდა, მიქუჩაძე არ გამოდის

დღეს ბოლნისის „სიონი" სპორტკომპლექს „ოლიმპში" შზსუ-ს (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) გუნდთან საკონტროლო შეხვედრას გამართავს. მატჩი 15:30 საათზე დაიწყება. როგორც გაცნობეთ, „სიონს" რუსთავის „ოლიმპიდან" ფორვარდ **აკაკი მიკუჩაძის** იჯარით დამატება სურდა, მაგრამ... ბოლნისელებს საამისო სახსრები არ აღმოაჩნდათ, უსასყიდლოდ კი ეს ტრანსფერი არ გამოდის. სიახლეა ისიც, რომ „სიონში" მცველი **სერგი ორბელაძე** გამოჩნდა. თავის დროზე ის თბილისის „დინამოში" თამაშობდა, ბოლოს კი კიშინიოვის „დაჩიაში" ასპარეზობდა.

დავით ცაბაძე

სავარაუდო ტრანსფერი

## კაშიას ჩერნომორეცი აქცირდებაო...

დიდი შანსია, გიორგი შაშიაშვილის, ილია კანდელაკისა და კახა მჟავანაძის შემდეგ, ოდესის „ჩერნომორეცში" კიდევ ერთმა ქართველმა იასპარეზოს. როგორც ირკვევა თბილისის „დინამოს" მცველი **შოთა კაშია** სწორედ „ჩერნომორეცშია" სინჯებზე - ეს ცნობა გუშინ უკრაინულმა წყაროებმა გაავრცელეს. აი, ერთ-ერთი ინფორმაციაც:

*„ოდესის „ჩერნომორეცი" მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთს გაემგზავრა. ანთალიაში გაფრენამდე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ გრიშკომ პრესას განუცხადა, რომ თურქეთში სამ ახალ ფეხბურთელს ელოდება. ერთ-ერთი მათგანი - თბილისის „დინამოს" მცველი შოთა კაშიაა. ახალგაზრდული ასაკის (24) მიუხედავად, მას „დინამოს" რიგებში უკვე მოპოვებული აქვს ოქროს ორი, ვერცხლისა და ბრინჯაოს თითო მედალი. ამავე დროს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კაშია „დინამოს" კაპიტანიც იყო. ახლა ის „ჩერნომორეცში" სინჯებს გაივლის. მისი ტრანსფერის საკითხი სწორედ ანთალიური შეკრებისას გადაწყდება".*

დავით ცაბაძე

ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან

# სასწაული ხდებოდა...

## ალბათ, უეფაც მიხვდა, რომ საქართველო ჩემპიონთა ლიგას ვერ უმასპინძლებდა

**1998 წელი** - ქართული გუნდი არასდროს ყოფილა ისე ახლოს ჩემპიონთა ლიგასთან, როგორც მაშინ. პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამომ" ალბანეთის ჩემპიონ „ვლაზნიას" მოუგრიხა კისერი (3:0, 1:3), მერე კი „ბილბაოს" გადაეყარა (2:1, 0:1).

1998 წელს „ბილბაო" ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ „დინამომ" მაინც შეძლო თბილისში მისი დამარცხება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა წარმატება.

მაშინ სულ სხვა დრო იყო, სხვა იყო „დინამოც", ჩვენი საზომით საშუალო დონის ფეხბურთელები იქ ძალიან ცოტანი იყვნენ, ბირთვს საინტერესო, მართლაც პერსპექტიული მოთამაშეები შეადგენდნენ - ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, გიორგი კიკნაძე, დავით მუჯირი, დავით გვარამაძე, ვალტერ გუჩუა...

1997/98 წლების ეროვნული ჩემპიონატის მთავარი მეგოლე კი ლევან ხომერიკი გახდა 23 გოლით. ის მაშინ ძალიან კარგ ფორმაში იყო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ორი გოლიც გაიტანა. ხომერიკი ახლა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია. სწორედ ის იხსენებს 11 წლის წინანდელ ამბებს, „დინამოს" დაპირისპირებას ბასკებთან, ესპანეთის ვიცე-ჩემპიონებთან...

დავით თავართქილაძე

1998/99 წლების სეზონის შემდეგ „დინამოს" მთავარი მწვრთნელი **მურთაზ ხურცილავა** გახლდათ, მან **დავით ყიფიანი** შეცვალა. ხურცილავას გუნდში, ერთი მხრივ, განსაკუთრებული არაფერი შემოუტანია, თუმც თავისი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთარი ხელწერა ჰქონდა - შეუპოვარ ბრძოლას ითხოვდა. ესეც რომ არა, მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა...

ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ალბანურ „ვლაზნიას" შევხვდით. ეს გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. თბილისურ შეხვედრაში „ვლაზნიამ" დაცვითი ტაქტიკა აირჩია. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მეტოქე გათვლას საშინაო მატჩზე აკეთებდა...

მძიმე თამაში გამოდგა, ამას ხელს აუტანელი სიცხეც უწყობდა. მეტოქის კართან ბევრი სახიფათო მომენტი არ შეგვიქმნია, გოლი კი ასე გავიტანე - **ლევან კობიაშვილმა** მარცხნიდან ძლიერად და ზუსტად დააბზრიალა ბურთი, რომელსაც თავი კარგად დავუხვედრე.

1:0 დიდი ფორა არ იყო, ალბანეთში კიდევ უფრო მძიმე თამაში გველოდა. ტირანაში გამგზავრებამდე კი ასეთი ამბავი შევიტყვეთ - თბილისურ მატჩში „ვლაზნიამ" ათამაშა ფეხბურთელი, რომელიც განაცხადში არ ყოფილა შეყვანილი. უეფამ მატჩის შედეგი გააუქმა და „ვლაზნიას" ტექნიკური წაგება - 0:3 ჩაუთვალა.

ამან თითქოს საქმე გაგვიადვილა, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ტირანაში მაინც დაძაბული, ნერვული თამაში წავიდა. იქ კიდევ უფრო ცხელოდა, ვიდრე თბილისში. ორსართულიან სასტუმროში დავბინავდით, ნომერში კონდიციონერიც კი არ გვქონდა, კვებაც ძალიან ცუდი იყო. ალბანეთში დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაც დაგვხვდა, ქალაქში რომ გავდიოდით, ჩვენდამი ცუდ დამოკიდებულებას ვგრძნობდით... მოკლედ, არ იყო კარგი სიტუაცია...

შეხვედრის მე-17 წუთზე კობიაშვილი გაგვიძევეს. მსაჯობაც ძალიან ცუდი გამოდგა. რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენილი „ვლაზნია" გვიტევდა. მატჩის ბოლოს მოედანზე სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა - ანგარიში 2:0 გახდა, მაგრამ იქვე **მიხეილ აშვეთიას** გოლმა ყველაფერს წერტილი დაუსვა. მართალია, ალბანელებმა ბოლოს პენალტიც გაგვიტანეს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველათ - მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავედით.

„დინამოში" იმ დროს ფინანსური კრიზისი იყო, ხელფასს კი ვიღებდით, მაგრამ ძალიან ცოტას. მე 500 დოლარი მქონდა ანაზღაურება, თუმცა მაშინ ფულზე ნაკლებად ვფიქრობდით, ჩვენთვის მთავარი იყო, ევროსარბიელზეც გამოგვეჩინა თავი და უცხოეთში წავსულიყავით სათამაშოდ - ასეთი იყო მოტივაცია. მე მაშინ 24 წლის ვიყავი, უმეტესობა კი 20-21 წლისა გახლდათ, გამოცდილი ფეხბურთელი მხოლოდ **ივანე მახარაძე** დავიმატეთ ბათუმის „დინამოდან"...

ზაფხულში მოსამზადებელი ეტაპი ესტონეთში გავიარეთ. კარგი ვარჯიშები გვქონდა და საკონტროლო მატჩებიც გავმართეთ, „ვლაზნიის" შემდეგ კი „ბილბაოს" შევხვდით. ცხადია, გაცნობიერებული გვქონდა, რა რანგის მეტოქესთან გვქონდა საქმე. **გერერო, ალკისა, ესკერო, ურსაისი, ეჩებერია**... თუმცა სახელებს ყურადღებას არ ვაქცევდით, არც არაფრის გვეშინოდა და გვერიდებოდა...

„ბილბაო" თბილისში რომ ჩამოვიდა, ყველა ფეხბურთელს ერთნაირი კოსტუმი ეცვა, „დინამოში" კი ერთნაირი სავარჯიშო ფორმაც კი არ გვქონდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ფაქტორმა დადებითად იმოქმედა ჩვენზე. არაფერი გვაქვს, მაგრამ მოედანზე ყველაფერს დავდებთ - ასეთი შემართებით ვიყავით.



ლევან ხომერიკი

ჩვენი წარმატებისა მედიას ნაკლებად სჯეროდა. ერთმა ქართულმა გაზეთმა ისიც კი დაწერა - „დინამო" მინიმუმ 0:5-ს წააგებსო. მაგრამ ფეხბურთში ასეც ხდება - არის დღე და თამაში, როცა ყველაფერი გამოგდის. სტადიონზე ბევრი ხალხი არ იყო, მაგრამ გულშემატკივარი მხურვალედ გვიჭერდა მხარს. ხურცილავამ აქცენტი გუნდის ფსიქოლოგიურ მომზადებაზე აიღო, ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ეს ფეხბურთელებზეც მოქმედებდა, უბრალოდ, თავისუფლად ითამაშეთო - გვიკიჟინებდა ხურცილავა. რაც შეეხება ტაქტიკას, ბასკები მაგრად უნდა შეგვებოჭა, თავისუფლად თამაშის საშუალება არ უნდა მიგვეცა, გამოგვეყენებინა მათი შეცდომები და ჩვენი თამაში კონტრშეტევებზე აგვეწყო...

...ფლანგზე ავართვი ბურთი მეტოქეს, „ბილბაოს" საჯარიმოსთან ახლოს მყოფ აშვეთიას გადავაწოდე, მე კი ფლანგზე გავაგრძელე მოძრაობა, მარჯვნიდან მივუახლოვდი საჯარიმოს და აშვეთიამაც დროულად დამიბრუნა ბურთი - ძლიერად და ზუსტად დავარტყი დაბალ, შორეულ კუთხეში - ასე დავწინაურდით.

მეორე გოლი 15 წუთში გავიტანეთ - აშვეთიამ მარცხნიდან ჩააწოდა, მაღალ ბურთზე წავედი, მაგრამ ვერ შევწვდი, ბურთი **ლევან ცქიტიშვილს** მიუვიდა და ფეხით გადაგზავნა კარში. ასეთ დასაწყისს არავინ ელოდა, ალბათ, არც „ბილბაო", რომლის მწვრთნელი **ლუის ფერნანდესი** საფრანგეთის ნაკრებში მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატზე გახლდათ ნათამაშები. იცით, რა ხდებოდა ტრიბუნებზე? სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კიდევ ერთი საგოლე შანსი გვქონდა და ისიც რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, იქნებ ჩემპიონთა ლიგაშიც გავსულიყავით - **დავით მუჯირმა** საჯარიმო დარტყმა შეასრულა და „ბილბაო" ხარიხამ იხსნა.

სასწაული ხდებოდა, ხურცილავა ემოციებს ვერ მალავდა, შესვენებაზე გვითხრა - ანგარიში უნდა შევინარჩუნოთო. მწვრთნელს ტაქტიკა არ შეუცვლია.

...მაგრამ მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, გოლი რომ გავუშვით - დაცვიდან ბურთის ამოტანის დროს დავუშვით შეცდომა და დავისაჯეთ. ბასკებმა მეორე ნახევარში გაცილებით უკეთ ითამაშეს, თუმცა ბევრი საგოლე მომენტი ნამდვილად არ შეუქმნიათ. ჩაწოდებები ტანმაღალ ფორვარდ ურსაისის მისამართით - „ბილბაო" ძირითადად ასე გვიტევდა. მართალია, ის არა ერთ მაღალ ბურთს იგებდა, მაგრამ ამას კარგად ავუღეთ ალღო - ურსაისის მიერ მოგებულ ბურთებს მისი თანაგუნდელები ვერ იღებდნენ, მას მეტწილად ჩვენ ვეუფლებოდით, არადა, გადმოვარდნილ ბურთებზე გერერო, მეორე ტაიმში შემოსული ეჩებერია და ესკერო იყვნენ დაგეშილები...

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მივხვდით, რომ ფიზიკურ მომზადებაში მოვიკოჭლებდით, დაღლა დაგვეტყო, მაგრამ საგოლე მომენტი მაინც შევქმენით - მეკარესთან პირისპირ დავრჩი და მასთან მიახლოებას, დარტყმა ვამჯობინე - გოლკიპერმა იმარჯვა. გატანის შანსი 70/30 იყო, ხოლო მაშინ, როცა პირველ ტაიმში შევაგდე - 50/50. ის ენერგია და ჯანი რომ მქონოდა, რაც პირველ ნახევარში მქონდა, ალბათ, ამასაც გავიტანდი...

საპასუხო მატჩში უშანსოდ როდი ვიყავით, ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად ფრეც გვაწყობდა, ან თუნდაც 2:3 წაგება. პირველ ტაიმში გვქონდა გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობები. **გიორგი კიკნაძემ** მარჯვენა ფლანგზე შემორბენა გააკეთა, ბურთიც კარგად გავუყოლე, მცველი „პოდ სებიათი" მოასრიალა, მაგრამ ძლიერად ვერ დაარტყა და მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ნაკუთხურალ ბურთზე კი მე მმართებდა გატანა, მაგრამ ფეხით კარგად ვერ დავარტყი, კარს ავაცილე...

შეიძლება ითქვას, პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, შესვენების შემდეგ კი მალევე მეორე ყვითელი ბარათის გამო მუჯირი გააძევეს და უპირატესობას „ბილბაო" დაეუფლა, კარგი მინდორი და ტექნიკაც ხელს უწყობდა ბურთის გაგორებაში, ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, მსაჯის სიმპათიებიც ბასკების მხარეს იყო, გოლი კი ეჩებერიამ გაგვიტანა.

ისე, რომც მოგვეგო „ბილბაოსთვის", ალბათ, საქართველო მაშინ ვერ უმასპინძლებდა ჩემპიონთა ლიგის მატჩებს და ამას, ალბათ, უეფაც ამჩნევდა... მაგრამ, „სან მამესზე" რომ არ წაგვეგო, ან თბილისში გაგვეტანა მესამე გოლი, ჩემპიონთა ლიგის საგზურს ხომ ვერ წაგვართმევდნენ?

ეჩებერიას გოლის შემდეგ „ბილბაო" შეტევაზე დიდად აღარ ზრუნავდა, ფრთხილად თამაშობდა... მაგრამ აი, მთავრდება თამაში და კარგი კონტრშეტევის შანსი გაგვიჩნდა - კიკნაძემ მიიღო ბურთი და წააქციეს, ვიღებთ ბურთს და შეტევის გაგრძელებაზე ვფიქრობთ, მაგრამ... მსაჯმა პირიქით დადო ჯარიმა... ეს ჩვენთვის შოკი იყო, მივხვდით, რომ ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შანსი აღარ გვქონდა...

როგორც უნდა იყოს, „ბილბაოს" შინ დამარცხება უკვე წარმატება იყო. ჩემპიონთა ლიგასთან ასე ახლოს, არც მანამდე და არც შემდეგ, არც ერთი ქართული გუნდი არ ყოფილა. ახლა ასეთ რამეზე არც კი ფიქრობენ ქართული გუნდები... იმ „დინამოში" კარგი სულისკვეთება იყო, „დინამო" მაშინ ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩვენთვის, იმ გუნდიდან არა ერთი ფეხბურთელი წავიდა კარგ გუნდში...

# თურქეთის მესამე ლიგას ალმაცერად ნუ შეხედავთ

3 <<

- ქალაქს, სადაც ვთამაშობ, ჰადემქიო ჰქვია, გუნდს კი „ჰადემქოისფორი". მოსახლეობა 50 ათასამდეა, ხოლო სტადიონი 10 ათასს იტევს და გადამწყვეტ მატჩებზე სულ სავსეა, ძალიან კარგი საფეხბურთო ატმოსფეროა.

**- თურქეთში ფეხბურთი პერიფერიებშიც ძალიან უყვართ და, ალბათ, არც ჰადემქოია გამონაკლისი...**

- ჩვენი ფანები ნამდვილი გიჟმაჟები არიან, მთელი თამაში დაუღლელად ყვირიან, ისე აქტიურობენ, ზოგჯერ მწვრთნელი იძულებული ხდება, მათი მოთხოვნები გაითვალისწინოს და ისე გააკეთოს შეცვლები. ფეხბურთელებს ქუჩაში გვცნობენ და პატივს გვცემენ, კლუბშიც სათანადოდ გვაფასებენ, არ არის მხოლოდ ისეთი დამოკიდებულება, რომ როგორც ფეხბურთელი, უბრალოდ, ვიღაცას სჭირდები და მორჩა - არა, გრძნობ სითბოს და დადებით მუხტს, რაც დიდი სტიმულია, შენს საყვარელ საქმეს კიდევ უფრო მეტი მონდომებით აკეთებ, თავს მართლა ფეხბურთელად გრძნობ.

**- ფინანსურად რა გაქანების კლუბია „ჰადემქოისფორი"?**

- წინა სეზონში კლუბის პრეზიდენტმა 4 მილიონი დოლარი დახარჯა, გუნდი მეორე ლიგაში რომ გადასულიყო. ყოველი სეზონის წინ, მარტო ტრანსფერებისთვის, კლუბს მინიმუმ ერთი მილიონი დოლარი აქვს გადადებული. მოკლედ, საქართველოსთან შედარებით მართლაც კარგი პირობებია, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ფორმა, ბუცი და კვება პრობლემა არ არის, ყველაფერი მაღალ დონეზეა მოგვარებული. სეზონში ორი შეკრება გვაქვს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში გვაბინავებენ, კლუბი იხდის ეგრეთ წოდებულ „პადიომნისაც"...

**- მესამე ლიგა პროფესიული არ არის?**

- ფორმალურად მესამე ლიგა ნახევრადპროფესიულია, თუმცა, ფაქტობრივად, იქ პროფესიონალი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდები თამაშობენ, ძალიან ბევრია თურქეთის მეორე ლიგიდან აყვანილი პროფესიონალიც.

**- გუნდში ეული ქართველი არ ხარ...**

- ჩემ გარდა, „ჰადემქოისფორში" კახა ქაცარავა და დავით ბაქრაძე თამაშობენ. ადრე ჩვენს გუნდში თამაშობდა ვიტალი დარჩიძეც, რომელიც მერე საქართველოში დაბრუნდა, ახლა კი თურქეთის მესამე ლიგის სხვა გუნდში აპირებს გადასვლას ლევან მერებაშვილთან ერთად. „ჰადემქოისფორის" ქართველები კლუბის ბაზაზე ვცხოვრობთ, ასე გვირჩევნია, თორემ არც ბინაში გადასვლაა პრობლემა.

**- თურქეთის მესამე ლიგაში ლეგიონერი ბევრია?**

- არიან ბულგარელი ფეხბურთელებიც, თუმც ლეგიონერები, მეტწილად, აფრიკიდან ჩამოჰყავთ.

**- რამდენად რთულია თურქეთის მესამე ლიგაში თამაში? ალბათ, ამ ლიგას თავისი სპეციფიკა აქვს...**

- თქვენ წარმოიდგინეთ, თურქეთის მესამე ლიგაში თამაში ძნელია, რადგან კლასი ნაკლებია და ამის კომპენსირება თავდაუზოგავი ბრძოლისა და სირბილის ხარჯზე უნდათ. შეკრებებზე განსაკუთრებულად დიდი დატვირთვები არ არის, სეზონის დროს ერთი დღე ტრენაჟორზე ვარჯიშს მიაქვს, დანარჩენ დღეებში კი არცთუ მძიმე ვარჯიშებია.

**- „ჰადემქოისფორი" ისევ მეორე ლიგაში გადასასვლელად იბრძვის?**

- კი, ამ დროისთვის პირველ ადგილზე ვართ. მესამე ლიგაში რამდენიმე ჯგუფია და პლეი ოფში ჯგუფიდან ორ-ორი გუნდი გადის. თავად პლეი ოფი კი ექვსგუნდიანი ჯგუფია, სადაც გამარჯვებულს ერთი წრე ავლენს - ასე უნდა მოიპოვო მეორე ლიგაში თამაშის უფლება. სხვათა შორის, ერთხელ უკვე მოვიპოვე მეორე ლიგის საგზური, მაშინ „ქორფესბელიდისფორში" ვთამაშობდი, მაგრამ, მოგეხსენებათ, იქაურ მეორე ლიგაში ლეგიონერს არ აქვს თამაშის უფლება. თუმცა თურქეთში ყოფნით უკმაყოფილო მაინც არ ვარ, საორგანიზაციო მხარე მესამე ლიგაშიც უმაღლეს დონეზეა.

**- ადრე დასავლეთ ევროპაში თამაშის შანსიც გქონდა...**

- მე და გიორგი ყიფიანი ჰოლანდიურ „სიტარდში" ვიყავით სინჯებზე, მერე აჩიკო არველაძემ თავისთან, „ბრედაში" მიგვიყვანა, იქაც ვერ ჩავირიცხეთ, მაგრამ ვნახე, თუ რა როგორ კეთდება ევროპულ კლუბებში და ამით თავისებური გამოცდილება შევიძინე. როცა საქართველოდან წასული ფეხბურთელი ყოველივე ამას საკუთარი თვალით ნახავს, აზროვნება ეცვლება, სხვა მოტივაცია უჩნდება, უფრო მეტად გინდა, წინ წაიწიო...

**- ამერიკაში როგორღა მოხვდი?**

- საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში 35-ე სკოლის გუნდში ვთამაშობდი, როცა გამოჩნდა ამერიკაში წასვლის ვარიანტი. ამაში კოტე დოლიძე დაგვეხმარა. იმ ამერიკულ გუნდში, ჩემ გარდა, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი ყიფიანი და ლაშა ნოზაძეც იყვნენ. კალიფორნიის შტატის ჩემპიონატში ერთი წელი ვითამაშე, მერე გამოჩნდა აგენტი, რომელმაც „სიტარდში" წაგვიყვანა გასინჯვაზე...

**- არა ერთ ქართულ გუნდში გითამაშია. განსაკუთრებული შთაბეჭდილებები რომელმა დაგიტოვა?**

- თურქეთში წასვლამდე ცოტა ხნით ადრე ცხინვალის "სპარტაკში" ვთამაშობდი, კლუბს ძალიან ცოტა ფული ჰქონდა, ისე კი რიგიანად თამაშობდა, რადგან ნიჭიერი ფეხბურთელები ჰყავდა. მახსოვს, ერთხელ 10 კაცით დავრჩით და მდიდარ „ამერს" მაინც 1:0 მოვუგეთ, თანაც იმ მატჩისთვის, უსახსრობის გამო, ნორმალურად ვერც კი მოვემზადეთ. 2000 წელს კი თბილისის „დინამოში" ვითამაშე. ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელისთვის ეს გუნდი, ალბათ, ყველაფერია. „დინამოში" გატარებული ერთი წელიწადი მართლაც წარუშლელ მოგონებად დამრჩება...

**დავით თავართქილაძე**



## ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტარული ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ფიფას 2008 წლის ფეხბურთელი

გამოკითხვის შემდეგ





# გემოვნებაზე არ დაობენ

## ექტორ კუპერი: ჩავი, მესი, ჯერარდი
## კახა კალაძე: რონალდო, კაკა, მესი

პორტუგალიელი **კრისტიანო რონალდო** კვლავაც აგრძელებს ინდივიდუალური ტიტულების „მოგროვებას": ევროპის საუკეთესო ფეხბურთელობას ამ კვირაში მორიგი აღიარება დაემატა და „მანჩესტერის" გარემარბი ამჯერად უკვე მსოფლიოში საუკეთესოდ დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა ფიფას ეგიდით ტარდება და სხვადასხვა გამოკითხვებს შორის, ალბათ, ყველაზე ობიექტურადაც მიგვაჩნია. „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციულ გამოკითხვაში, როგორც მოგეხსენებათ, ჟურნალისტები მონაწილეობენ; „უორლდ სოკერი" რომ ასევე ტრადიციულად წლის ფეხბურთელს, მწვრთნელსა და გუნდს ასახელებს, გამოკითხვაში ამ პოპულარული ინგლისური ჟურნალის მკითხველები იღებენ მონაწილეობას. ჰო, ამ ბოლო დროს კიდევ ერთ ქვეყანაში დაიწყეს წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა; ოღონდ, მართლაც ორიგინალური მეთოდით - ვინც მეტ SMS-ს მიიღებს, თურმე, ის ყოფილა კიდეც თავის ქვეყანაში ყველაზე მაგარი ფეხბურთელი. თანაც, იმ ქვეყანაში ერთი და იგივე ფეხბურთელი ზედიზედ მეორე წელიწადია „ნოვატორული" გამოკითხვის გამარჯვებული ხდება...

აი, ფიფას რჩეულებში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეჭვის შეტანა არ შეიძლება; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ გამოკითხვაში მონაწილეობას ხომ ფიფას წევრი ქვეყნების ნაკრებების მთავარი მწვრთნელები და გუნდის კაპიტნები იღებენ. საბოლოო შედეგიც, ასე თუ ისე, კანონზომიერი გახლდათ. პირველზე კრისტიანო რონალდო გავიდა, მეორეზე - **ლიონელ მესი**, მესამეზე - **ფერნანდო ტორესი**. სხვათა შორის, რამდენიმე მწვრთნელმა და კაპიტანმა ეს სამეული ზუსტად გამოიცნო. ჯერ მწვრთნელებს გაგაცნობთ: **მიროსლავ ბლაჟევიჩი** (ბოსნია), **დეილ მიჩელი** (კანადა), **ფაბიო კაპელო** (ინგლისი), **იოგვან მარტინ ოლსენი** (ფარერები), **ნელო ვინგადა** (იორდანია), **ფრანკ რაჯაონარისამბა** (მადაგასკარი), **სვენ-გორან ერიქსონი** (მექსიკა), **რიკი ჰერბერტი** (ახალი ზელანდია), **ენრიკე კალისტო** (ვიეტნამი). ისე, ბლაჟევიჩისგან, კაპელოსა და ერიქსონისგან სამეულის „გარტყმა", ალბათ, არავის გაუკვირდებოდა; სამაგიეროდ, იმავე ვიეტნამისა თუ მადაგასკარის ნაკრებების მწვრთნელთა გემოვნება, მართლაც, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მწვრთნელს (თანაც - ცნობილსა და ავტორიტეტულს) ისეთი არჩევანი ჰქონდა, შობა-ახალ წლებზე ან მძიმე ნაბახუსევზე იყვნენ, ან კი... უკბილოდ გაიხუმრეს! თუმცა, როგორც წესი, გემოვნებაზე არ დაობენ და იმ, მართლაც, ორიგინალურ სამეულებს ქვემოთ შემოგთავაზებთ. ახლა კი, დაპირებისამებრ, ის კაპიტნებიც ვახსენოთ, რონალდო-მესი-ტორესის სამეული ზუსტად რომ გამოიცნეს. მწვრთნელების არ იყოს, აქაც მსგავსი სურათი შეინიშნება: **დიმიტარ ბერბატოვის** (ბულგარეთი), **იონ დალ ტომასონისა** (დანია) და თუნდაც, **ჟი სუნგ პარკის** (კორეა) არჩევანი ვის უნდა გაჰკვირვებოდა. მაგრამ, ალბათ, ბევრი ვერ იფიქრებდა, რომ ასევე ზუსტად დაასახელებდნენ რონალდო-მესი-ტორესის სამეულს სხვა კაპიტნებიც: **პოლ სტალტერი** (კანადა), **კევინ რიჩარდსი** (ბერმუდა), **მალაკაი კაინიჰევე** (ფიჯი), **რუსლან ბალტიევი** (ყაზახეთი), **პიერ ვაჯოკა** (ახალი კალედონია) და **ჰაშიმ სალეხი** (ომანი).

ახლა კი დაპირებულ „მარგალიტებზეც" და აღარც ვიცით, საიდან დავიწყოთ. ჯერ, ალბათ, შედარებით საკამათო და, ცოტა არ იყოს, უცნაური ვარიანტები ვახსენოთ, სულ ბოლოსთვის კი... „აბსოლუტური გამარჯვებული" შემოვიტოვოთ. ყველა მწვრთნელს საკუთარი შეხედულება აქვს ფეხბურთზე და ამაში ადვილად დარწმუნდებით, როცა ზოგიერთის არჩევანს გაეცნობით: **ბერტი ფოგტსი** (აზერბაიჯანი) - **ვილა**, მესი, **ბალაკი**; **იან პოულსენი** (სომხეთი) - **ჩავი, ინიესტა**, მესი; **პლამენ მარკოვი** (ბულგარეთი) - ჩავი, **კასილიასი**, ბალაკი; **როდრიგო კენტონი** (კოსტა რიკა) - **ადებაიორი**, ტორესი, მესი; **პეტრ რადა** (ჩეხეთი) - ინიესტა, **ჯერარდი**, მესი; **ერვინ კუმანი** (უნგრეთი) - **იბრაჰიმოვიჩი**, ჯერარდი, მესი; **ოტმარ ჰიტცფელდი** (შვეიცარია) - **რიბერი**, მესი, ბალაკი; **ფაირ აბრაჰიმი** (სირია) - **კაკა, ეტოო**, მესი; **იანგ იუნგი** (შრი ლანკა) - ბალაკი, **დროგბა**, კაკა; **ფულოდ კოდიროვი** (ტაჯიკეთი) - **არშავინი**, რონალდო, მესი; **ხოსე გილერმე დელ სოლარი** (პერუ) - **აგუერო**, კაკა, მესი; **ტომ საინტფიტი** (ნამიბია) - ბალაკი, მესი, ადებაიორი; **ანარბეკ ორმომბეკოვი** (ყირგიზეთი) - მესი, ჯერარდი, არშავინი. სხვათა შორის, არშავინი სამეულში ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დუნგამაც** დაასახელა; მაშინ, როცა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **გუუს ჰიდინკსა** და კაპიტან **სერგეი სემაკს** ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლიათ.

რახან სემაკი ვახსენეთ, ნაკრებების კაპიტნების ჯერიც დადგა. აქაც უნდა გამოვავლინოთ „აბსოლუტური ჩემპიონი"... ორიგინალობის თვალსაზრისით; მანამდე კი, კვლავაც განსხვავებულ აზრს „ვცეთ პატივი" და, წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთ კაპიტანს მწვრთნელებზე მეტი „ხედვა" ჰქონია. აი, ისინიც, კაპიტნები და მათი რჩეულნი: **შამსუდინ ამირი** (ავღანეთი) - კაკა, კასილასი, **ბუფონი**; **ემირ სპახიჩი** (ბოსნია) - არშავინი, ჩავი, აგუერო; **კერე მაჰამუდუ** (ბურკინა ფასო) - ეტოო, ადებაიორი, დროგბა; **ცსაი სიენ-ტანგი** (ჩინეთის ტაიპეი) - **ლემპარდი**, ჯერარდი, **ტერი**; **ვიაჩესლავ ამინი** (ყირგიზეთი) - არშავინი, მესი, კაკა; იკერ კასილასი (ესპანეთი) - ეტოო, ჯერარდი, მესი; **ჩატურა მადურანგა** (შრი ლანკა) - ბალაკი, დროგბა, კაკა; **ანვარ ნორკულოვი** (ტაჯიკეთი) - არშავინი, რონალდო, ბალაკი; **თუნჩაი სანლი** (თურქეთი) - ჯერარდი, ტორესი, კაკა; **სერვერ ჯეპაროვი** (უზბეკეთი) - ჯერარდი, ლემპარდი, მესი.

ახლა კი ყველაზე, ყველაზე უცნაურ არჩევანზეც. მწვრთნელებს შორის ნამდვილად უკონკურენტო იყო საფრანგეთის ნაკრების თავკაცი **რაიმონ დომენეკი**, ვისი სამეულიც ასე გამოიყურება: ეტოო, დროგბა და არშავინი. ანუ, მის გემოვნებაში ვერაფრით „ჯდებიან": რონალდო და მესი, ტორესი და ჩავი, ჯერარდი და კაკა, იბრაჰიმოვიჩი და ინიესტა, კასილასი და რიბერი. არანაკლებ უცნაური და, ამასთან, მოულოდნელი გახლდათ პორტუგალიის ნაკრების კაპიტნის, **ნუნუ გომეშის** არჩევანიც, ვინც მსოფლიოში საუკეთესოებად... თანაამპლუელები მიიჩნია: **ვან ნისტელროი**, დროგბა და ეტოო. ისე ნუნუ გომეშისაც კარგად გვესმის - ის ხომ უკვე აღარ არის პორტუგალიის ნაკრების კაპიტანი; თანაც, ლისაბონის „ბენფიკას" ვეტერანმა ცენტრფორვარდმა პორტუგალიის ნაკრების კაპიტნის სამკლაური არცთუ საკუთარი სურვილით... კრისტიანო რონალდოს გადასცა.

**გია ტუხაშვილი**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIX ტურის წინ

# გვარდიოლა: ლუის პერეა ნაძირალაა

## კატალონიელთა თავკაცი იმაზე წუხს, რომ კოლუმბიელის უხეშობის გამო, შესაძლოა, მესიმ ვერ ითამაშოს

| დღეს | |
|---|---|
| ბარსელონა-დეპორტივო | 23:00 |
| სევილია-ნუმანსია | 01:00 |
| **ხვალ** | |
| რეალი-ოსასუნა | 20:00 |
| ვილიარეალი-მალიორკა | 20:00 |
| ხეტაფე-რასინგი | 20:00 |
| რეკრეატივო-სპორტინგი | 20:00 |
| ვალიადოლიდი-ბეტისი | 20:00 |
| მალაგა-ესპანიოლი | 20:00 |
| ბილბაო-ვალენსია | 22:00 |
| ალმერია-ატლეტიკო | 00:00 |

**ხავიერ აგირეს** მუდმივად ბეწვის ხიდზე უწევს სიარული. როგორც მოგეხსენებათ, მექსიკელ სპეციალისტს კლუბის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმი წაუყენა, თუ „ბარსელონასა“ და „ალმერიას“ არ დაამარცხებ, თანამდებობიდან გაგათავისუფლებთო. „როხიბლანკომ“ პირველი გამოცდა ორიანზე ჩააბარა, მადრიდელებმა „კამპ ნოუზე“ წააგეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მექსიკელი არ გაუშვეს. შესაძლოა, „ალმერიასთან“ მატჩი მისთვის ბოლო შანსი აღმოჩნდეს. ამის გათვალისწინებით ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სენიორ აგირესთვის საკვირაო შეხვედრას განსაკუთრებული ფასი და მნიშვნელობა აქვს. გუნდმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შინ სამი ქულით დაბრუნდეს და მწვრთნელი შეინარჩუნოს. სათქმელად იოლია, მაგრამ გასაკეთებლად ძალიან რთული. მით უმეტეს, „ატლეტიკოს“ სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. დედაქალაქური კლუბის სამედიცინო შტაბის ინფორმაციით ხავიერ აგირეს ანდალუსიურ მატჩში **მაქსი როდრიგესი** და **მარიანო პერნია** ვერ დაეხმარებიან. ეს თავისთავად უდიდესი დანაკლისია. მაქსი როდრიგესი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა და მის გარეშე ნახევარდაცვაში პრობლემები გარდაუვალი იქნება. პერნიაც სერიოზულ ძალას წარმოადგენს. თუმცა გამორიცხული არ არის, აგირეს კიდევ უფრო დიდი პრობლემა შეექმნას. ისევ და ისევ მადრიდელი ექიმების ინფორმაციით, **სერხიო აგუეროს** მიკრო ტრავმა აწუხებს და შესაძლოა, „ალმერიასთან“ მატჩი გამოტოვოს. აი, ეს კი მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება. აგირე იმედს გამოთქვამს, რომ ექიმები ყველაფერს გააკეთებენ და კვირამდე სერხიოს ფეხზე დააყენებენ. მთავარმა მწვრთნელმა არგენტინელი ფორვარდი განაცხადში მაინც შეიყვანა. აღსანიშნავია, რომ მიკრო ტრავმა **დიეგო ფორლანსაც** აწუხებდა, მაგრამ ბოლო ვარჯიში მან სრული დატვირთვით ჩაატარა და პრობლემა არ შექმნია.

სამეფო კლუბს პრობლემები არ ელევა. გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ მადრიდულ გრანდს ტრავმების გამო წამყვანი ფეხბურთელები აკლია. **რუუდ ვან ნისტელროის** ტრავმა გულშემატკივრებს მონელებული ჯერაც არ აქვთ, ახლა კი ახალი შემაშფოთებელი ფაქტის შესახებ შეიტყვეს. საქმე ის არის, რომ **ხოსე მარია გუტიერესმა** მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო და ერთთვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. შესაძლოა, მკურნალობას 6 კვირაც კი დასჭირდეს. **ხუანდე რამოსისთვის** ეს მეტისმეტად შემაშფოთებელი ფაქტია. მან გულწრფელად განაცხადა, გუტის არყოფნა გუნდის პოტენციალს სულ მცირე 10-15 პროცენტით შეამცირებსო. ძალიან უცნაურია, რომ მწვრთნელმა ფეხბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტი ასე ლიად განსაზღვრა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გუტი „რეალისთვის“ მართლაც უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და მის გარეშე ნახევარდაცვას პრობლემები არა მარტო „ოსასუნასთან“ მატჩში, არამედ მომდევნო ერთი თვის განმავლობაშიც შეექმნება. არ დაგვავიწყდეს, რომ მადრიდელებს თებერვლის ბოლოს „ლივერპულთან“ სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩების გამართვა მოუწევს. გუტი იმ დროისთვის საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ იქნება. მადრიდელთა მდგომარეობას **რამონ კალდერონის** ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი კიდევ უფრო ამძიმებს. შეუძლებელია, პრეზიდენტის თაღლითობაში დადანაშაულებამ და თანამდებობიდან გადადგომამ ფეხბურთელების განწყობაზე არ იმოქმედოს. ყოველ შემთხვევაში, მიმომხილველები გადაჭრით ვერ ამბობენ, რომ სამეფო კლუბს თუნდაც აუტსაიდერ „ოსასუნასთან“ მატჩში ფავორიტად ვერ ასახელებენ. ყველაფერს ჯობია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება.

ხავიერ აგირეს მსგავსად ულტიმატუმი **მანოლო ხიმენესსაც** ჰქონდა წაყენებული, თუმცა ანდალუსიელების მთავარმა მწვრთნელმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მან ყველა ის მატჩი მოიგო, რომლის მოგებასაც ხელმძღვანელები ითხოვდნენ. პრეზიდენტი **დელ ნიდო,** რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილია, მაგრამ ბოლო მატჩების მოგება მანოლო ხიმენესს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. რამდენიმე შეხვედრის წაგება საკმარისი შეიძლება გახდეს იმისთვის, რომ ულტიმატუმი ისევ ამოქმედდეს და ეს ყველაფერი ხიმენესის გადაყენებით დასრულდეს. წესით ანდალუსიელებს საშინაო შეხვედრაში „ნუმანსიის“ დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. მასპინძლებს მაქსიმალური კონცენტრაცია მართებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიურპრიზებისგან დაზღვეული არ იქნებიან. შესაძლოა, „სევილიას“ **ფრედერიკ კანუტე** დააკლდეს, აფრიკელ ფორვარდს მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და ბოლო ვარჯიში ძლიერი ტკივილის გამო გამოტოვა. კანუტეს თამაშის შანსი მაინც აქვს აი, **ანდრეს პალოპი** კი მოედანზე ნამდვილად ვერ გავა. მას დისკვალიფიკაცია აქვს. სენიორ ხიმენესი იძულებული გახდა, შეხვედრისთვის **ხავი ვარასი** მოემზადებინა. ახალგაზრდა მეკარე პრიმერა დივიზიონში სადებიუტო მატჩს ჩაატარებს.

საუბარს ისევ საკადრო პრობლემებით გავაგრძელებთ, მაგრამ ამჯერად „ვილიარეალზე“ მოგახსენებთ. **ნიჰათ კაჰვეჩი** ექვსკვირიან იძულებით შვებულებაში გავიდა. თურქ ფორვარდს ფატალურად არ უმართლებს. ევროპის ჩემპიონატზე მიღებული სერიოზული ტრავმის გამო მას ძალიან დიდი დრო გაუცდა. საყვარელ საქმეს ის დიდი ხნის შემდეგ დაუბრუნდა, მაგრამ ისევ ლაზარეთში ამოყო თავი. გამორიცხული არ არის, მე-19 ტურის შეხვედრაში **მანუელ პელეგრინის როსიც** დააკლდეს. იტალიელ ფორვარდს მარჯვენა ტერფი გადაუბრუნდა და ექიმების დახმარება დასჭირდა. სამაგიეროდ, ჩილელ სპეციალისტს **ხავი ვენტა** და **ბრუნო სორიანო** დაუბრუნდნენ. „ვილიარეალის“ მიზანი, რა თქმა უნდა, გამარჯვებაა, თუმცა ქულების დაკარგვას **გრეგორიო მანსანო** და მისი „მალიორკაც“ არ აპირებენ.

ბანალურია, მაგრამ ტრავმები **უნაი ემერისაც** დიდ თავის ტკივილად ექცა. ამბიციური მიზნებისთვის მებრძოლ „ვალენსიას“, შესაძლოა, ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაეხმაროს. თანაც როგორ ფეხბურთელებზეა საუბარი: **დავიდ ვილიამ, ხოაკინმა** და **ვისენტემ** „რასინგთან“ სათასო შეხვედრაში მიკრო ტრავმა მიიღეს. მათ ბოლო ორი ვარჯიში ნახევარი დატვირთვითაც ვერ ჩაატარეს. უცნაურია, მაგრამ სამივე მოთამაშეს ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. სენიორ ემერი აცხადებს, წამყვანი ფეხბურთელები თუ დროულად ვერ გამოჯანმრთელდებიან, მატჩის შედეგზე პასუხისგება გამიჭირდებაო. სიმართლე ითქვას, პირველ რიგში მისი ეს განცხადება ატარებს უპასუხისმგებლობის ელფერს, გუნდი ვალდებულია ნებისმიერ პირობებში გამარჯვებაზე იზრუნოს, თუმცა, მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ვილია, ხოაკინი და ვისენტე ნახევარ გუნდზე მეტია. თუ ისინი ვერ ითამაშებენ, „ვალენსიას“ ძალიან გაუჭირდება.

მე-19 ტურის წინ **პეპ გვარდიოლამ** ტრადიციული პრესკონფერენცია გამართა. კატალონიური გრანდის მთავარმა მწვრთნელმა დროის დიდი ნაწილი „ატლეტიკოსა“ და მისი ფეხბურთელების ლანძღვას მოახმარა. გვარდიოლა მადრიდელების უხეშობამ აღაშფოთა. მისი თქმით სათასო შეხვედრაში „როხიბლანკოს“ მოთამაშეები „ბარსას“ ვარსკვლავებს განზრახ ურტყამდნენ ფეხში და ამით მათ დემორალიზებას ცდილობდნენ: *„ის, რაც მადრიდელებმა გააკეთეს, სიბინძურეა და სხვა არაფერი. ვიდეოჩანაწერი ზედიზედ რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ ჩემს ბიჭებზე ნამდვილი ნადირობა გამოაცხადეს. თუნდაც ლუის პერეას პირუტყვობა რად ღირს? ლეო მესის ის განზრახ ურტყამდა ფეხში. მსაჯის ადგილზე რომ ვყოფილიყავი პერეას პირველივე ეპიზოდში გავაგდებდი. არ იფიქროთ, რომ არიტრს ვაკრიტიკებ, მე „ატლეტიკოს“ ფეხბურთელებთან მაქვს პრეტენზია. პერეას არაადამიანობის გამო მესიმ ვერ ივარჯიშა. მას აუტანელი ტკივილი აწუხებდა. მესმის, სათამაშო ეპიზოდში, როცა აზარტი და ადრენალინი პიკს აღწევს, შეიძლება, იუხეშო კიდეც, მაგრამ როცა ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს და კოლეგას განზრახ ჩაარტყამ, ნაძირალა ხარ და სხვა არაფერი. მომიტევეთ, ამ უკმეხი სიტყვისთვის, მაგრამ ემოციებს სხვანაირად ვერ გამოვხატავ.“*

იოლი მისახვედრია გვარდიოლა რაზე წუხს. შესაძლოა, **პერეას** გამო **მესიმ** ვერ ითამაშოს...

**ილია ნიკოლაიშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

გუტი ერთი თვე ვერ ითამაშებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 15 | 2 | 1 | 54-13 | 47 |
| 2. სევილია | 18 | 10 | 5 | 3 | 27-16 | 35 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 2 | 5 | 38-26 | 35 |
| 4. ვალენსია | 18 | 10 | 4 | 4 | 36-24 | 34 |
| 5. ატლეტიკო | 18 | 9 | 3 | 6 | 41-29 | 30 |
| 6. ვილიარეალი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-25 | 30 |
| 7. დეპორტივო | 18 | 9 | 3 | 6 | 23-22 | 30 |
| 8. მალაგა | 18 | 8 | 4 | 6 | 27-27 | 28 |
| 9. სპორტინგი | 18 | 8 | 0 | 10 | 26-37 | 24 |
| 10. ბილბაო | 18 | 6 | 5 | 7 | 24-27 | 23 |
| 11. ვალიადოლიდი | 18 | 7 | 2 | 9 | 26-27 | 23 |
| 12. რასინგი | 18 | 5 | 7 | 6 | 20-23 | 22 |
| 13. ხეტაფე | 18 | 5 | 6 | 7 | 24-29 | 21 |
| 14. ნუმანსია | 18 | 6 | 2 | 10 | 24-36 | 20 |
| 15. ალმერია | 18 | 5 | 5 | 8 | 19-27 | 20 |
| 16. ბეტისი | 18 | 5 | 3 | 10 | 22-25 | 18 |
| 17. რეკრეატივო | 18 | 4 | 5 | 9 | 15-28 | 17 |
| 18. ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 17-28 | 15 |
| 19. მალიორკა | 18 | 3 | 5 | 10 | 18-35 | 14 |
| 20. ოსასუნა | 18 | 2 | 7 | 9 | 19-26 | 13 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის წინ

# მანჩესტერი ზედიზედ მესამე ტიტულისაკენ



სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდებს ცხრა ტურია, გოლი არ გაუშვიათ

| დღეს | |
|---|---|
| ბლექბერნი-ნიუკასლი | 19:00 |
| ბოლტონი-მანჩესტერ იუნ. | 19:00 |
| ჩელსი-სტოკ სიტი | 19:00 |
| მანჩესტერ სიტი-ვიგანი | 19:00 |
| სანდერლენდი-ვიგანი | 19:00 |
| ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 19:00 |
| ჰალ სიტი-არსენალი | 21:30 |
| **ხვალ** | |
| ვესტ ჰემი-ფულჰემი | 17:30 |
| ტოტენჰემი-პორტსმუთი | 20:00 |
| **ზეგ** | |
| ლივერპული-ევერტონი | 24:00 |

“მანჩესტერ იუნაიტედმა” დამატებითი სიჩქარე ჩართო. ოთხშაბათს “ეშმაკებმა” “ვიგანთან” გამოტოვებული თამაში ჩაატარეს და მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. გოლი **უეინ რუნიმ** შეაგდო. “იუნაიტედმა” ლიდერ “ლივერპულთან” ჩამორჩენა ორ ქულამდე დაიყვანა. ის მეორე ადგილზე გადავიდა, თუმცა დაკარგული ქულებით, უკვე ლიდერია.

თუ დღეს **სერ ალექს ფერგიუსონის** შეგირდები “ბოლტონს” დაამარცხებენ, მინიმუმ “ლივერპულის” მატჩამდე (ორშაბათს “ევერტონთან”) სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცევიან (პირველად მიმდინარე სეზონში). “იუნაიტედი” ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტულს უმიზნებს.

დღეს “მანჩესტერი” იმ სტადიონზე ითამაშებს, სადაც ბოლო ათი სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ წააგო. სტუმრებს რუნი ვერ დაეხმარება. “ვიგანთან” მატჩისას მან მუხლის მყესები დაიზიანა და შვებულება გამოიწერა. უეინს მინიმუმ სამი კვირა გაუცდება. საეჭვოა **კარლოს ტევესის** ასპარეზობაც. არგენტინელ თავდამსხმელს შედარებით მსუბუქი ტრავმა აწუხებს.

“მანჩესტერს” პრემიერლიგაში 9 ტურია, გოლი არ გაუშვია. მას “ჩელსის” რეკორდისაგან ერთი თამაშილა აშორებს. ზემოთ რუნის ტრავმა ვახსენეთ. უეინი “ეშმაკების” ერთადერთი დანაკლისი როდია. ვერ ითამაშებს გუნდის სამი წამყვანი მცველი – **პატრის ევრა, რიო ფერდინანდი** და **ვესლი ბრაუნი;** აგრეთვე **ოუენ ჰარგრივსი**, რომლის ქრონიკული ტრავმის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია.

როგორც აღვნიშნეთ, ორშაბათს ლივერპულური დერბია. თამაში “ენფილდ როუდზე” შედგება. “ლივერპულს” თანაქალაქელთან 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს (იგულისხმება ჩემპიონატსა და სათასო ტურნირებში ჩატარებული შეხვედრები). სამაგიეროდ, “ევერტონს” ბოლო ექვსი თამაში არ წაუგია და ამ ხნის განმავლობაში, გოლიც კი არ გაუშვია.

**ფერნანდო ტორესი** ძირითად შემადგენლობაში დასაბრუნებლად მზადაა. ესპანელი თავდამსხმელი ნოემბერში, “მარსელთან” მატჩისას დაშავდა. მან მუხლის მყესი გაიწყვიტა და მას შემდეგ მხოლოდ ორჯერ ითამაშა, ისიც შეცვლაზე. ბენიტესს ჯერ არ გადაუწყვეტია, გამოიყვანს თუ არა ტორესს. ფეხბურთელი ამბობს, რომ მას მინიმუმ ერთი ტაიმის ჩატარება შეუძლია.

“ჩელსიმ” მესამე ადგილზე გადაინაცვლა. დღეს “არისტოკრატები” “სტოკ სიტის” მიიღებენ. ამ უკანასკნელმა “სტემფორდ ბრიჯზე” უკანასკნელად 35 წლის წინ გაიმარჯვა. ოთხშაბათს, ლონდონელებმა ასოციაციის თასის მესამე რაუნდის გადათამაშებაში “საუთენდს” 4:1 ასიამოვნეს, ამიტომ უკეთეს ხასიათზე იმყოფებიან, ვიდრე ერთი კვირის წინ. შეგახსენებთ, წინა ტურში “ჩელსიმ” “მანჩესტერ იუნაიტედთან” სამარცხვინოდ წააგო, 0:3.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** ნახევარმცველი **ჯო კოული** ვერ დაეხმარება. მან “საუთენდთან” მატჩისას მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. მიმომხილველთა ვარაუდით, **დიდიე დროგბა** განაცხადშიც კი ვერ მოხვდება. კოტდივუარელ თავდამსხმელს არც სათასო შეხვედრაში უასპარეზია.

საინტერესო თამაში გაიმართება “უაით ჰართ ლეინზე”. “ტოტენჰემი” “პორტსმუთს” უმასპინძლებს. ლონდონელი გულშემატკივარი სტვენით აიკლებს მის ყოფილ კაპიტან **სოლ კემპბელს.** ეს უკანასკნელი იმ დღიდან სძულთ, როცა მან მოსისხლე “არსენალს” მიაშურა.

იმასაც შეგასენებთ, რომ “მამლების” მთავარი მწვრთნელი ის **ჰარი რედნაპია**, რომელმაც მიმდინარე სეზონი “პორტსმუთის” თავკაცის რანგში დაიწყო. “პორტსმუთს” კი ის **ტონი ადამსი** წვრთნის, რომელიც გუნდში რედნაპმა მიიყვანა. “ტოტენჰემის” შემადგენლობაში ხელახალი დებიუტი ექნება თავდამსხმელ **ჯერმეინ დეფოს.** ეს უკანასკნელი ერთი კვირის წინ “პორტსმუთიდან” შეიძინეს. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ერთი წლის წინ დეფო “პორტსმუთში” „ტოტენჰემიდან“ გადავიდა.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი დაძაბული გამოვიდა. პოლიციამ 11 ლონდონელი გულშემატკივარი დააკავა. ლონდონის პოლიციამ გადაწყვიტა, თავი დაიზღვიოს და ხვალინდელ მატჩზეც გაძლიერებული შემადგენლობა მიავლინოს.

დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია “არსენალის” სტუმრობა ჰალში, აგრეთვე “მანჩესტერ სიტის” საშინაო შეხვედრა “ვიგან ატლეტიკთან”. “სიტის” **რობინიო** დაუბრუნდება, სამაგიეროდ კვლავ არ ეყოლება **შონ რაიტ-ფილიპსი,** რომელმაც მუხლის მყესები დაიზიანა.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 21 | 13 | 7 | 1 | 35-13 | 46 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 20 | 13 | 5 | 2 | 33-10 | 44 |
| 3. ჩელსი | 21 | 12 | 6 | 3 | 40-12 | 42 |
| 4. ასტონ ვილა | 21 | 12 | 5 | 4 | 35-23 | 41 |
| 5. არსენალი | 21 | 11 | 5 | 5 | 34-23 | 38 |
| 6. ევერტონი | 21 | 10 | 5 | 6 | 29-25 | 35 |
| 7. ვიგანი | 21 | 9 | 4 | 8 | 25-22 | 31 |
| 8. ჰალ სიტი | 21 | 7 | 6 | 8 | 28-39 | 27 |
| 9. ფულჰემი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-14 | 26 |
| 10. ვესტ ჰემი | 21 | 7 | 5 | 9 | 26-30 | 26 |
| 11. ნიუკასლი | 21 | 5 | 8 | 8 | 28-34 | 23 |
| 12. ბოლტონი | 21 | 7 | 2 | 12 | 22-29 | 23 |
| 13. სანდერლენდი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| 14. პორტსმუთი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-33 | 23 |
| 15. მანჩესტერ სიტი | 20 | 6 | 4 | 10 | 38-30 | 22 |
| 16. მიდლსბრო | 21 | 5 | 6 | 10 | 18-30 | 21 |
| 17. სტოკ სიტი | 21 | 5 | 6 | 10 | 18-33 | 21 |
| 18. ტოტენჰემი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-26 | 20 |
| 19. ბლექბერნი | 20 | 4 | 6 | 10 | 22-36 | 18 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 3 | 13 | 17-37 | 18 |

რეალი



რამონ კალდერონი

# კალდერონი წავიდა

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** თანამდებობიდან გადადგა. ეს გადაწყვეტილება მან გუშინ გამართულ დირექტორთა საბჭოს შეკრების შემდეგ მიიღო. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები მომავალ ზაფხულს გაიმართება. მანამდე გუნდის უმაღლესი ხელისუფლის თანამდებობაზე ვიცე-პრეზიდენტი **ვისენტე ბოლუდაფოსი** შეასრულებს. ბუნებრივია, აწ უკვე გადამდგარი კალდერონი რიგგარეშე არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას არ წამოაყენებს. ოპოზიციამ სანადელს თავისუფალი პრესის პროფესიონალიზმის წყალობით მიაღწია. მოგეხსენებათ, კალდერონის გადასაყენებლად მისი ოპონენტები შეუპოვრად იბრძოდნენ. კომპრომეტაციის მიზნით უამრავი ფაქტი შეაგროვეს, მაგრამ სანამ ესპანურმა მედიამ გასული წლის 7 დეკემბერს გამართული ასამბლეის სკანდალური დეტალები არ შეიტყო და გამოამზეურა, კალდერონს ძვრაც ვერავინ უყო. ამ ყბადაღებული ასამბლეის შესახებ ამომწურავად ვისაურეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 7 დეკემბერს სამეფო კლუბის სოსიოებმა პრეზიდენტის იმპიჩმენტზე იმსჯელეს, მაგრამ მის გადასაყენებლად ხმათა უმრავლესობა ვერ მოიპოვეს და კალდერონმა თანამდებობა შეინარჩუნა, თუმცა როგორც ითქვა, მან მხარდაჭერა თაღლითობის გზით მოიპოვა. ყოფილი პრეზიდენტისა და მისი თანაშემწეების მეცადინეობით, იმ დღეს დარბაზში სრულიად უცხო ხალხი მოხვდა. ისინი მიზნობრივად დაიქირავეს, რათა მათ კალდერონი გადაერჩინათ. ეს ფაქტი ესპანური გაზეთების საიდუმლო აგენტებმა დაადგინეს და ინფორმაცია სადაც საჭირო იყო, იქ მიიტანეს. ჟურნალისტებმა კანონდარღვევის ფაქტი მხოლოდ მაშინ გამოაქვეყნეს, როცა ინფორმაცია დეტალურად გადაამოწმეს და დარწმუნდნენ, რომ აგენტების მიერ მიწოდებული ინფორმაცია უტყუარი იყო. დარბაზში არაერთი უცხო „დელეგატი“ აღმოჩნდა, ერთ-ერთი მათგანი კი სულაც „ატლეტიკოს“ სოსიო გახლდათ. წარმოიდგინეთ, „რეალის“ საზოგადოების წევრებსა და უბრალო გულშემატკივრებს როგორი რეაქცია ექნებოდათ, როცა გაიგებდნენ, რომ მათი კლუბის ბედთან დაკავშირებულ კენჭისყრაში მტრის ბანაკიდან შეპარული კაცი მონაწილეობდა. მოკლედ, ამ უპრეცედენტო ფაქტთან დაკავშირებით ისეთი სკანდალი ატყდა, რომ კალდერონს უკან დახევა მოუხდა. მართალია, მან „დიარიო ასისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ყველა ბრალდება უარყო, მაგრამ ხელები სიბინძურეში გასვრილი რომ არ ჰქონოდა, ნამდვილად არ გადადგებოდა. კალდერონმა თანამდებობიდან წასვლასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, მაგრამ ჟურნალისტებთან შეხვედრა თბილისის დროით გვიან ღამით დასრულდა. ამიტომ, სენიორ რამონის ბოლო პრესკონფერენციაზე იქით კვირაში ვისაუბროთ.

„დიარიო მარკასთვის“ დირექტორთა საბჭოს სხდომის რამდენიმე დეტალი გახდა ცნობილი. ჩვენი მადრიდელი კოლეგების თქმით, სამეფო კლუბის რამდენიმე მაღალჩინოსანი ყოფილ პრეზიდენტს ღიად დაუპირისპირდა და მას გუნდის სირცხვილი უწოდა. მათი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ კალდერონი დაუყოვნებლივ, სხდომის მსვლელობისასვე გადამდგარიყო. ძნელი სათქმელია, ბატონი რამონი ასე რითი შეაშინეს, მაგრამ მან სწორედ საბჭოს სხდომის მსვლელობისას განაცხადა, რომ პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებდა. ხშირად თქმულა, რომ ესპანური გრანდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა არასტაბილურობაა. ვინ იცის, იქნებ ამ არასტაბილურობას გუნდის დირექტორატში არსებული მძიმე ვითარებაც განაპირობებდა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ კალდერონის ხელისუფლებაზე არ უნდა ვისაუბროთ. გემახსოვრებათ, რომ წინა პრეზიდენტი, **ფლორენტინო პერესიც** მანდატის ვადის ამოწურვამდე წავიდა. ალბათ, „რეალის“ პრეზიდენტის თანამდებობა მეტისმეტად მიმზიდველია და მას ბევრი ადამიანი უმიზნებს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მუდმივი დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს უნდა იყოს... თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მხოლოდ კარიერისტებთან გვაქვს საქმე და კლუბის ბედიღბალი არავის ანაღვლებს. რა თქმა უნდა, არა. კალდერონს პირველ რიგში, ალბათ, სამეფო კლუბის უსახური და მისთვის არადამახასიათებელი თამაშის გამო ლანძღავდნენ.

გუშინდელი გადადგომის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „რეალში“ კიდევ ერთი პრეზიდენტის ხანა დასრულდა. პროფესიით ადვოკატი რამონ კალდერონი მადრიდული გრანდის სოსიო შორეულ 1976 წელს გახდა. ის საწევრო თანხას ყოველთვის დროულად იხდიდა და იერარქიული კიბის სათავისკენ მოთმინებით მიიწევდა. 2006 წლის ზაფხულში მან რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. მიმომხილველები ამბობენ, რომ ყოფილი პრეზიდენტის გამარჯვება **კაკას** ტრანსფერის გაჩარხვის პირობამ განაპირობა, თუმცა კალდერონი ისე წავიდა, რომ ვერც კაკა იყიდა და ვერც **კრისტიანო რონალდო**. ჟურნალისტები სენიორ რამონის მუშაობას წმინდა სპორტული მიღწევების თვალსაზრისით არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ. ზოგი ამბობს, რომ „რეალს“ მან ვერაფერი შესძინა, თუმცა ნუ დავივიწყებთ, კალდერონმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გატარებული ორწლინახევრის განმავლობაში საჩემპიონო ტიტულით ორჯერ გაიხარა. ეს მიღწევები სამუდამოდ შევა ისტორიაში, წლების შემდეგ ყველა გულშემატკივარს ეხსომება, რომ კალდერონი დროს სამეფო კლუბმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ორჯერ მოიგო.

როგორც გითხარით, სპორტული მიღწევების კუთხით, ამ კაცის მუშაობას არაერთმნიშვნელოვნად აფასებენ, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობასა და გამჭვირვალე პოლიტიკას რაც შეეხება, აქ თითქმის ყველა ერთსულოვანი და შეთანხმებულია, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, კალდერონი კარჩაკეტილი, მაფიოზური გატაცებების მქონე არაკვალიფიციური პრეზიდენტი იყო. მის სახელს პირველი დიდი სკანდალი მაშინ დაუკავშირდა, როცა ოპოზიციამ რიგგარეშე არჩევნებზე ელექტრონული ფოსტით მისული ხმების ტოტალურად გაყალბებაზე დაიწყო საუბარი. ეს საქმე ახლაც სასამართლო განხილვის საგანია. ძალიან ბევრი ადამიანი ამტკიცებდა და ამტკიცებს, რომ ბატონმა რამონმა არჩევნები წააგო, თუმცა ელექტრონული ფოსტით მისული ხმები გააყალბა და ხელისუფლება მიიტაცა.

რამდენიმე თვის წინ ყოფილმა პრეზიდენტმა კიდევ ერთ სკანდალში გაყო თავი. მისმა ერთ-ერთმა დაუძინებელმა მტერმა და შეუპოვარმა ოპონენტმა დაადგინა, რომ კალდერონის ქალიშვილი ძვირადღირებულ მაღაზიებსა და სპასალონებში ახირებულ და თავზეხელაღებულ ოცნებებს „რეალის“ საკლუბო ბარათით გადახდილი ფულით ისრულებდა. თავზეხელაღებული იმიტომ ვახსენეთ, რომ ერთ-ერთ სპასალონში კალდერონის შვილმა 9347 ევრო გადაიხადა. საბანკო ტერმინალმა, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ დააფიქსირა, რომ ბარათი სწორედ სამეფო კლუბის საკუთრება იყო. ეს ფაქტი პრესაში მაშინვე გახმაურდა, მაგრამ კალდერონმა თავი იოლად დაიძვრინა, მერე რა რომ, ბარათზე „რეალის“ სახელი იყო ამოტვიფრული, დაგავიწყდათ, მე ვინ ვარ, ანგარიშზე ჩემი პირადი თანხა იდოო. ამ სიტყვების ნაკლებად თუ ვინმემ ირწმუნა, მაგრამ პრეზიდენტს მაშინ ვერაფერი მოუხერხეს, მას კლუბის დირექტორატიდან უბრალოდ არავინ უჩივლა.

მძიმე და პრობლემური გამოდგა კალდერონისა და მთავარი მწვრთნელების ურთიერთობაც. მიუხედავად იმისა, რომ **ფაბიო კაპელომ** დაჩაჩანაკებული გუნდი პირველივე სეზონში ესპანეთის ჩემპიონი გახადა, კალდერონმა ის სეზონის ბოლოს თანამდებობიდან გადააყენა და მის ნაცვლად **ბერნდ შუსტერი** დანიშნა. გუნდს ჩემპიონობა გერმანელმა სპეციალისტმაც მოუტანა, მაგრამ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე მუშაობა არც მას დასცალდა. ამ ორი სპეციალისტის ვადამდე გაშვების გამო სამეფო კლუბს სოლიდური საკომპენსაციო თანხის გადახდა დასჭირდა. თანაც, კაპელომ შიდა სამზარეულოს არასასიამოვნო დეტალები საქვეყნოდ გაახმაურა და ამით „რეალის“ პრესტიჟს სერიოზული დარტყმა მიაყენა. დაგვეთანხმებით, საკმარისზე მეტი მიზეზი დაგროვდა იმისთვის, რომ საზოგადოებას უკმაყოფილება ღიად გამოეხატა. ასამბლეის ბოლო ამბავი კი კალდერონის კუბოში ჩარჭობილი უკანასკნელი ლურსმანი აღმოჩნდა. მას ისე გაუტყდა სახელი, რომ მრავალი წლის შემდეგაც ვერ გაბედავს არჩევნებში მონაწილეობას. აი, ისე, როგორც ამას ფლორენტინო პერესი აპირებს. მართალია, თანამდებობა ამ კაცმაც ნაადრევად დატოვა, მაგრამ არავის უთქვამს, ფლორენტინო თაღლითი და კლუბის თანხების მიმთვისებელი იყოო. მას უბრალოდ გალაქტიკოების პროექტი დაუწუნეს და დააბრალეს, რომ ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდა. თუმცა იმ დახარჯული ფულით სამეფო კლუბმა ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში არაერთხელ გაიმარჯვა. პერესი ზაფხულში თანამდებობისთვის ისევ გალაქტიკური ტრანსფერის პირობით იბრძოლებს. ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა, ამირჩიეთ და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კაკას ჩამოვიყვანო.

ილია ნიკოლაიშვილი



რაფა ბენიტესი

მწვრთნელი

# ბენიტესმა ახალი კონტრაქტი იუარა

## ესპანელი საკუთარ პირობებს აყენებს

**რაფაელ ბენიტესმა** "ლივერპულის" მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე უარი თქვა. ესპანელი მწვრთნელი თანამშრომლობის გაგრძელებას მხოლოდ ერთი პირობით დათანხმდება: თუ მას სატრანსფერო პოლიტიკის განსაზღვრაში სრულ დამოუკიდებლობას მიანიჭებენ.

მწვრთნელის გადაწყვეტილებამ "ლივერპულის" გულშემატკივარი უკიდურესად შეაშფოთა. მერსისაიდელთა მფლობელებმა - **ტომ ჰიკსმა** და **ჯორჯ ჯილეტმა** ფანები დაარწმუნეს, რომ შეთანხმება აცილებლად შედგება.

ბენიტესის დღევანდელი შეთანხმება მომავალი წლის ივნისში იწურება. მწვრთნელს არ დაუმალავს, რომ ახალი კონტრაქტის ფინანსური მხარე სავსებით აკმაყოფილებს. მას არ მოსწონს პუნქტი, რომელშიც წერია, რომ ფეხბურთელების ყიდვა და გაყიდვა აღმასრულებელ დირექტორ **რიკ პერისთან** უნდა შეათანხმოს.

ბენიტესი: *"ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ანგარიშვალდებული უნდა ვიყო აღმასრულებელი დირექტორთან. მე კი მგონია, რომ ანგარიშვალდებული ვარ „ლივერპულის" გულშემატკივრებთან, რადგან ისინი საუკეთესოდ განსჯიან ჩემს თითოეულ ნაბიჯს."* აქვე გეტყვით, რომ ბენიტესს სურს, აქტიურად იყოს ჩართული "ლივერპულის" საფეხბურთო აკადემიის ცხოვრებაში, რათა დრო და დრო კლუბმა იქიდან შევსება მიიღოს.

ბენიტესი განცხადებას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ტომ ჰიკსი: *"რაფას უახლოეს დღეებში შევხვდები და ყველა საკითხს დეტალურად განვიხილავ. გადაულახავი სირთულეები არ არსებობს. რაფა "ლივერპულში" მინიმუმ კიდევ ხუთი წლით დარჩება. წინ კიდევ არა ერთი დიდი წარმატება გველის."*

ბენიტესი "ენფილდ როუდზე" 2004 წლის ზაფხულში მივიდა და პირველსავე სეზონში ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. წელს კი ლივერპულელებს პირველად მიეცათ საშუალება, 20-წლიანი პაუზის შემდეგ ინგლისის ჩემპიონობისათვის იბრძოლონ.

შალვა ბიბილაშვილი



გამოსწორდება ფიორენტინა მილანში?

იტალია. სერია A. XIX ტური

# კალჩო ექვატორზე

| დღეს | |
|---|---|
| სიენა-რეჯინა | 20:00 |
| მილანი-ფიორენტინა | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ატალანტა-ინტერი | 18:00 |
| კალიარი-უდინეზე | 18:00 |
| კატანია-ბოლონია | 18:00 |
| კიევო-ნაპოლი | 18:00 |
| ლეჩე-ჯენოა | 18:00 |
| სამპდორია-პალერმო | 18:00 |
| ტორინო-რომა | 18:00 |
| ლაციო-იუვენტუსი | 23:30 |

პირველი წრის ბოლო ტურში ორი მატჩი უნდა გამოვარჩიოთ. დღეს „სან სიროზე“ „მილანი“ „ფიორენტინას“ მიიღებს, ხვალ კი „ოლიმპიკოზე“ „ლაციო“ “იუვენტუსს“ უმასპინძლებს. სწორედ მილანური ჯახით დავიწყოთ.

ლომბარდიის დედაქალაქში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ **კაკას** შესაძლო ტრანსფერზე „მანჩესტერ სიტიში“. პრესაშიც არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ შესაძლოა მალე ბრაზილიელმა ინგლისს მიაშუროს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ თავად **სილვიო ბერლუსკონიმ** გამორიცხა მოვლენათა ასეთი განვითარება. როგორც ამბობენ, ინგლისელებმა მილანელებს ბრაზილიელის სანაცვლოდ ძალიან დიდი თანხა შესთავაზეს და ამ წინადადებაზე უარის თქმა თვით იტალიის პრემიერ-მინისტრსაც კი გაუჭირდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თქვენი ყურადღება კი უმჯობესია მომავალ დაპირისპირებაზე გადავიტანოთ. ჟურნალისტთა ვარაუდით, **კარლო ანჩელოტი** შემადგენლობაში ცვლილებას არ შეიტანს და „ფიორენტინას“ იმ ფეხბურთელებს დაუპირისპირებს, რომლებმაც „რომასთან“ იპაექრეს. დაცვის ცენტრში კვლავ **ჯუზეპე ფავალი-პაოლო მალდინის** წყვილი გაირჯება. ამ ტანდემზე იტალიაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და გაოცებას ვერ მალავენ, რომ ასეთი დიდი ამბიციების კლუბში დაცვის ცენტრალური ზონა ასაკოვან ფეხბურთელებს აბარიათ. შეგახსენებთ, რომ ჯუზეპე 37 წლის არის, პაოლო კი - 41-ის. კარლეტოს ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არც აქვს, რადგან ტრავმებმა გუნდის უკანა ხაზი მეტად დაასუსტა. **კახა კალაძის** ამბავი გუშინაც გამცნეთ, დაშავებულები არიან **ალესანდრო ნესტა** და **დანიელე ბონერაც**, სასურველი კონდიციისგან შორს არის **ფილიპ სენდეროსიც**. როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, შემადგენლობა რომაული მატჩის იდენტური იქნება. „ვიოლას“ მთელი თანავარსკვლავედი შეუტევს: **ანდრეა პირლო, კლარენს ზეედორფი, დევიდ ბექჰემი,** კაკა, **რონალდინიო** და, რა თქმა უნდა, **ალეშანდრე პატო**. ალეშანდრე ბოლო დროს პრესის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. აი მისი წინასამატჩო კომენტარიც:

*„მოახლოებული თამაშისთვის დიდი ენთუზიაზმით ვემზადებით. საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაში ძალიან მოგვენატრა და ვეცდებით, ნამდვილი შოუ დავდგათ. ალბათ, „სან სირო“ გაივსება და ეს დამატებით ენთუზიაზმს გვმატებს, ვეცდებით, სამი ქულა უსიკვდილოდ ავიღოთ“.*

„ფიორენტინას“ **ადრიან მუტუ** ჰყავს ტრავმირებული და ამ ფონზე, მეტად გასაკვირი გახლდათ **ჯამპაოლო პაცინისთან** განშორება. როგორც იცით, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა კლუბი გამოიცვალა და „ვიოლადან“ „სამპდორიას“ მიაშურა. **ჩეზარე პრანდელი** 4-3-1-2 ტაქტიკაზე შეაჩერებს არჩევანს და ეცდება, მოედნის ცენტრში მეტოქეს არაფერი დაუთმოს. თავდასხმაში **ჯილარდინოს იოვეტიჩი** შეუწყვილდება, მათ უკან კი **მარიო სანტანა** იმოქმედებს. ფლანგზე იქნება გადანეული **რიკარდო მონტოლივო**, „აძურას“ კანდიდატი მარცხენა ნახევარმცველად იასპარეზებს და გვერდს **ფელიპე მელოს** და **კუჟმანოვიჩს** დაუმშვენებს. „ფიორენტინას“ მიზანი მინიმუმ ქულაა და ამაზე პრანდელის სიტყვებიც მოწმობს:

*„წინა ტურის გახსენებაც კი არ მინდა. საკუთარ კედლებში „ლეჩესთან“ დავმარცხდით და მუტუ დაგვემტვრა. იმედია, მილანური პაექრობა გაცილებით წარმატებული იქნება. შეგირდებს უპირობო გამარჯვებას ნამდვილად ვერ მოვთხოვ, ეს უსამართლობა იქნება, ვეცდებით, არ დავმარცხდეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ფიორენტინა“ დაცვიდან ითამაშებს, პირიქით, „მილანს“ ბურთი არ უნდა დაუთმო და აქეთ შეუტიო, სწორედ ასეთი თამაშით შეგვიძლია სასურველი შედეგის მიღწევა“.*

ტურის ბოლო შეხვედრა რომში გაიმართება, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, „ლაციო“ „იუვენტუსს“ უმასპინძლებს. ორივე გუნდი კარგ ფორმაშია და წესით, კარგი ჯახიც უნდა ვიხილოთ. გასულ ტურში „იუვემ“ „სიენას“ სძლია (1:0), „ლაციო“ კი დრამატულ ბრძოლაში „რეჯინას“ გაუსწორდა (3:2). **დელიო როსი** კვლავ სამი ფორვარდით შეუტევს, თუმცა ერთი ოდნავ უკან იქნება დახეული. სავარაუდოდ, ამ ფუნქციას **მარიო სარატე** იკისრებს. წინა ხაზზე **ტომაზო როკი** და **გორან პანდევი** გაირჯებიან. მაკედონიელმა 2009 წელი შესანიშნავად დაიწყო და რეჯიოში ჰეთთრიკით გამოირჩა. ნახევარდაცვაში **მურად მეგნი, ოსმან დაბო** და **კრისტიან ლედესმა** გაირჯებიან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული დაკვირვების საგანია, ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ არგენტინელმა ორმაგი მოქალაქეობით ისარგებლოს და „აძურაში“ თამაშის სურვილი გამოთქვას. თუმცა, ეს სულ სხვა თემაა. უმჯობესია, თამაშს დავუბრუნდეთ და ორიოდე სიტყვა „იუვენტუსზე“ ვთქვათ.

**კლაუდიო რანიერის** კვლავ საკადრო პრობლემები აქვს. ლაზარეთში არიან **ანდრადე, ძებინა, ტრეზეგე, კნეჟევიჩი, კამორანეზი** და **სალიჰამიჯიჩი**. სამაგიეროდ, სრულ მზადყოფნაში არიან **ალესანდრო დელ პიერო** და **კარვალიო ამაური**. სწორედ ისინი დააკომპლექტებენ შეტევით ხაზს. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს, სავარაუდოდ, **პაველ ნედვედი** ჩაიბარებს, მარჯვენას **მარკიონი**, ცენტრში კი **მარკიზიო** და **სისოკო** გამაგრდებიან. დაცვაში **მელბერგის, მოლინაროს, ლეგროტალიეს** და **კიელინის** გამოჩენას უნდა ველოდოთ. ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ სასტარტოში მოხვდეს **სებასტიან ჯოვინკო**, ახალგაზრდა ფეხბურთელი სათასო პაექრობაში გამოირჩა და შესაძლოა, რანიერიმ რომელიმე ფლანგზე გაამწესოს. ასეთ შემთხვევაში, ძირითადიდან ან ნედვედი ამოვარდება, ან მარკიონი. რანიერი რომაულ პაექრობას სიფრთხილით ეკიდება:

*„ეს იქნება ერთ-ერთი ურთულესი მატჩი, რომელიც უახლოეს კვირეებში გველის. „ლაციო“ ძალიან ძლიერია, რაშიც გასულ ტურშიც დავრწმუნდი. „ბიანკოჩელესტე“ სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობს, ამ გუნდს გამარჯვება სწყურია და მიზნის მისაღწევად ყველა ლონეს ხმარობს. ვეცდებით, დაბალანსებული ფეხბურთი ვითამაშოთ და დაცვასა თუ თავდასხმას თანაბარი ყურადღება დავუთმოთ. ჩვენი მიზანი სამი ქულაა, თუმცა კარგად მესმის, რომ მიზნის მიღწევა რთული იქნება“.*

სხვა მატჩებიდან „ატალანტა“-“ინტერის“ პაექრობა უნდა გამოვარჩიოთ. **ჟოზე მოურინიო** ბერგამოში მხოლოდ **სალი მუნტარს** ვერ იახლებს, დანარჩენები მწყობრში არიან და შეეცდებიან, გასულ ტურში განბილებული ტიფოზები ხასიათზე მოიყვანონ. პორტუგალიელი თავდასხმაში შემორიგებულ **ადრიანოს** გაამწესებს და, რა თქმა უნდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეუწყვილებს. ჟურნალისტთა ვარაუდით, სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს **დეიან სტანკოვიჩი**, ოთხი ნახევარმცველი კი ერთ ხაზზე განლაგდება. სერბის გამოთავისუფლებულ ადგილს ალბათ რუმინელი **კრისტიან კივუ** დაიკავებს. ვნახოთ, რა შედეგს მოიტანს ჟოზეს ექსპერიმენტი. საინტერესოდ მოჩანს „სამპდორია“-“პალერმოს“ დაპირისპირებაც. ახალ გუნდში დებიუტი ექნება ჯამპაოლო პაცინის, იგი **ანტონიო კასანოს** მხარდამხარ იასპარეზებს. სიცილიელებს დიდი დანაკლისი აქვთ, გუნდს ლიდერის, **ფაბრიციო მიკოლის** გარეშე მოუწევს ასპარეზობა. მის ადგილს ძირითადში, სავარაუდოდ, **სუჩი** დაიკავებს, **ლევან მჭედლიძე** კი კვლავ სათადარიგო იქნება. იმედია, **დავიდე ბალარდინი** ამჯერად მაინც მისცემს ქართველ ფეხბურთელს თავის გამოჩენის საშუალებას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 18 | 14 | 4 | 1 | 32-12 | 43 |
| 2. იუვენტუსი | 18 | 12 | 3 | 3 | 31-13 | 39 |
| 3. მილანი | 18 | 10 | 4 | 4 | 30-20 | 34 |
| 4. ნაპოლი | 18 | 10 | 3 | 5 | 26-16 | 33 |
| 5. ჯენოა | 18 | 9 | 5 | 4 | 27-17 | 32 |
| 6. ფიორენტინა | 18 | 10 | 2 | 6 | 26-16 | 32 |
| 7. ლაციო | 18 | 9 | 3 | 6 | 29-24 | 30 |
| 8. რომა | 18 | 8 | 3 | 7 | 25-25 | 27 |
| 9. პალერმო | 18 | 8 | 2 | 8 | 24-23 | 26 |
| 10. კატანია | 18 | 7 | 4 | 7 | 18-21 | 25 |
| 11. ატალანტა | 18 | 7 | 3 | 8 | 23-22 | 24 |
| 12. უდინეზე | 18 | 6 | 5 | 7 | 26-27 | 23 |
| 13. კალიარი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-22 | 22 |
| 14. სამპდორია | 18 | 5 | 5 | 8 | 16-21 | 20 |
| 15. სიენა | 18 | 5 | 4 | 9 | 13-19 | 19 |
| 16. ლეჩე | 18 | 3 | 8 | 7 | 16-26 | 17 |
| 17. ბოლონია | 18 | 3 | 7 | 8 | 20-28 | 16 |
| 18. ტორინო | 18 | 4 | 3 | 11 | 18-32 | 15 |
| 19. რეჯინა | 18 | 3 | 4 | 11 | 17-36 | 13 |
| 20. კიევო | 18 | 2 | 4 | 12 | 10-27 | 10 |

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კაკას საგა გრძელდება



ბოლო დღეებში ევროპული მედიის მთავარი სასაუბრო თემა „მანჩესტერ სიტიში“ **კაკას** შესაძლო გადასვლაა. როგორც იცით, ინგლისური კლუბის წარმომადგენლები „მილანში“ არიან და იტალიელ კოლეგებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ. გუშინ ჟურნალისტებმა **ადრიანო გალიანი** გამოიჭირეს და აღნიშნულ საკითხზე კომენტარი დასტყუეს:

*„ძალიან გთხოვთ, ხელოვნურად ნუ ძაბავთ სიტუაციას. ის, რომ „სიტის“ მესვეურები მივიღეთ და დაველაპარაკეთ, არ ნიშნავს იმას, რომ კაკას ვყიდით. ეტიკეტის ამბავი ყველას მოგეხსენებათ, ასე რომ, ცრუ განგაშს ნუ ატეხთ. არც ჩვენ გვსურს რიკისთან განშორება და რაც მთავარია, არც ფეხბურთელს სურს გუნდიდან წასვლა. არ დავმალავ, ინგლისელებმა ძალიან დიდი თანხა შემოგვთავაზეს, მაგრამ კაკა არ იყიდება და ამით ყველაფერია ნათქვამი“.*

თავად კაკას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა როგორც გალიანი გვარწმუნებს, ფეხბურთელის პოზიცია მყარია და იგი არსად წასვლას არ აპირებს. იგივე აზრი აქვთ ჟურნალისტებსაც, „მილანი“ წამყვან მოთამაშეს ასე იოლად ვერ შეელევა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მარკ ვან ბომელი



ისინი ყოველთვის ერთ აზრზე არ არიან: იურგენ კლინსმანი და მარკ ვან ბომელი

# ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბარსას ვინატრებდი!

## ვან ბომელს სჯერა, რომ ბაიერნს ლიგის მოგება შეუძლია და მიაჩნია, რომ ბარსელონა იდეალური მეტოქე იქნებოდა

მარკ ვან ბომელი მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტანია, მაგრამ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა. როგორც იცით, ჰოლანდიელ ნახევარმცველს სეზონის მიწურულს კონტრაქტი უმთავრდება. „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა მას უკვე მიმართეს ახალი წინადადებით, მაგრამ ვან ბომელი უკმაყოფილოა, რადგან ახალი ხელშეკრულება მხოლოდ ერთწლიანია და ჯერჯერობით მასზე ხელის მოწერას არ ჩქარობს. მეტიც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მარკი ბავარიელებთან ახალ ხელშეკრულებას არ გააფორმებს - თუ, რა თქმა უნდა, უფრო ხანგრძლივ, მინიმუმ ორწლიან კონტრაქტს არ შესთავაზებენ. „ბაიერნი" თვის ბოლოს პასუხს ელის „ზენიტის" უკრაინელი საყრდენისგან, ანატოლი ტიმოშჩუკისგან და თუ მისგან უარი მიიღეს, მაშინ ვან ბომელს, სავარაუდოდ, უკეთეს, მისთვის მისაღებ პირობებს შესთავაზებენ. მანამდე კი, რეკორდმაისტერის კაპიტანი მეორე წრისთვის ემზადება და ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმიზნებს. ვან ბომელს „მიუნხენერ აბენდცაითუნგის" ჟურნალისტი გაესაუბრა.

**- ჰერ ვან ბომელ, გუნდურ სპორტში რომ არ წასულიყავით, რომელ სახეობას აირჩევდით?**

- ჩოგბურთს! მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ფეხბურთი საერთოდ არ იარსებებდა. ისე კი, მხოლოდ გუნდური სახეობები მიზიდავდა. ყოველთვის ფეხბურთს ვთამაშობდი.

**- ბავშვობაში მისაბაძი მაგალითი არ გყავდათ - სპორტსმენი, რომელსაც ეტრფოდით?**

- ჩოგბურთში შტეფან ედბერგის ფანი ვიყავი, კალათბურთში მაიკლ ჯორდანისა და მეჯიქ ჯონსონის. ჩემს დროს ყველაზე მაგარი სპორტსმენები სწორედ ესენი იყვნენ. სხვა სახეობებით კი არასდროს დავინტერესებულვარ, ყველა სხვა კერპი მხოლოდ ფეხბურთიდან მყავდა. მაგალითად, შტეფან ეფენბერგი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ.

**- ...და თქვენ გახდით ფეხბურთელი, თანაც ისეთი, რომელსაც უყვარს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, გუნდის გაძღოლა და მართვა. ზაფხულის შემდეგ კი „ბაიერნის" კაპიტანი ხართ. როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა მოთამაშე მოწოდებით შეფი, კაპიტნის სამკლაური რომ დაიმსახუროს?**

- ეს არც ისე იოლი მისიაა. ასეთ ფეხბურთელს უნდა შეეძლოს გუნდის მართვა და მთელი თამაშის განმავლობაში ყველა ფეხბურთელზე თვალი უნდა ეჭიროს, ყველას ნაცვლად თვითონ უნდა იფიქროს. სხვათა შორის, თამაშის დროს ყურადღების მიქცევა იმ ფეხბურთელებსაც სჭირდებათ, რომლებიც არ ასპარეზობენ და სათადარიგოთა სკამზე სხედან.

**- წარმოიდგინეთ, თამაში ძალიან კარგად მიდის, გუნდი იგებს და მატჩის მიწურულს, ერთი ფეხბურთელის კატასტროფული შეცდომის გამო, უცებ დამარცხდებით. რამდენად რთულია ასეთ ვითარებაში კაპიტნის მხრიდან სიმშვიდის შენარჩუნება?**

- არც ისე რთულია. უშეცდომო არავინაა, სპორტის აბსოლუტურად ყველა სახეობაში სპორტსმენები ხშირად უშვებენ შეცდომას და ამისგან არავინაა დაზღვეული. არასდროს ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ თამაშს ერთი ფეხბურთელი იგებს ან აგებს. ფეხბურთი იმიტომაცაა სპორტის გუნდური სახეობა, რომ მოგებაზეც და წაგებაზეც ყველა მოთამაშეა პასუხისმგებელი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ იმ მოთამაშის ადგილზე, რომლის შეცდომის გამოც გუნდმა წააგო. განა ამაზე საშინელი განცდა არსებობს? მეც ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში - ფეხბურთელებს თამაშის შემდეგ თვალებში ველარ ვუყურებდი ხოლმე. ასე რომ, როცა ასეთი რამ ხდება, ყოველთვის მივდივარ იმ ფეხბურთელთან და თანავუგრძნობ. არასდროს მითქვამს, შენი ბრალი არააო, მეთქი, რადგან ეს ბანალური სიტყვებია და თანაც, ისიც ხვდება, რომ ატყუებ. არ უნდა მოატყუო! უნდა უთხრა, რომ შეცდომა მოუვიდა, მაგრამ იქვე უნდა დააყოლო: ვის არ მოსვლია?

**- სპორტის გუნდური სახეობის უპირატესობა რაში მდგომარეობს?**

- როცა წარმატებისთვის მარტო იბრძვი, თუ დამარცხდები, ფაქტია, რომ შენ წააგე! გუნდში კი თანაგუნდელები გყავს გვერდით, რომლებიც ნებისმიერ დროს მხარში ამოგიდგებიან - სადაც კი მითამაშია, ყველგან ერთად ვაგებდით და ერთად ვიგებდით. გუნდური სახეობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ თანაგუნდელები ერთმანეთს ეხმარებიან და ამხნევებენ. და რატომ ვსაუბრობთ მაინცდამაინც მარცხზე? ხომ შეიძლება, ისეც მოხდეს, გუნდმა თამაში მოიგოს მიუხედავად იმისა, ორმა ფეხბურთელმა შეცდომები დაუშვა ან ცუდად ითამაშა? აი, ეს კი ძალიან ლამაზი განცდაა.

**- ყველა ამბობს, რომ თქვენ ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი ხართ და ხშირად ხუმრობთ...**

- ცხადია. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, სადაც ბევრი სპორტსმენია. ერთად დავდივართ შეკრებებსა თუ მატჩებზე, ფაქტობრივად, ერთად ვცხოვრობთ. გვერდით გვყავს მწვრთნელები, ფიზიოთერაპევტები და ა.შ.

**- კაპიტანს მოედანზე ყველასგან განსხვავებული უფლებები აქვს და მოვალეობები აკისრია. დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტნის სამკლაურის ვიზუალურ მხარესაც...**

- ადრე შავით თეთრზე ეწერა ასო C ახლა კი „ბაიერნის" ლოგოა...

**- რომელი ჯობდა?**

- მე ეს მირჩევნია, გუნდისლოგოიანი სამკლაური.

**- გასულ სეზონში „ბაიერნმა" გერმანიაში დუბლი შეასრულა. რა იქნება წელს?**

- „ბაიერნი" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ასე რომ, თასისა და ჩემპიონობის მოპოვება ისევ აუცილებელია.

**- და რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, სადაც მერვედფინალში ხართ?**

- ფინალში მინდა!

**- და რამდენად რეალურია ეს?**

- საკლუბო ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული და რთულად მოსაგები ტურნირია. ამის იქით უკვე არაფერია! ვფიქრობ, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება და თანაც, წელსვე! მთავარია, ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანმრთელი იყოს და წილისყრების დროს ოდნავ გაგვიმართლოს ხოლმე. თუმცა მანამდე ლისაბონის „სპორტინგის" ბარიერი გვაქვს გადასალახი.

**- დავუშვათ, „ბაიერნი" ფინალში გავიდა. იქ უკვე მხოლოდ ერთი მატჩი იმართება და საინტერესოა, თქვენი აზრით, მერვედფინალში გასული გუნდებიდან რომლის დამარცხება შეუძლია ერთ თამაშში „ბაიერნს"?**

- „ბარსელონის"! ეს იმიტომ, რომ არც ერთ სტადიონზე არ არის წარმატების მიღწევა ისეთი რთული, როგორც „ნოუ კამპზე"! სტუმრად ყველა გუნდთან გაცილებით უკეთესი შანსები გვაქვს, ვიდრე „ბარსასთან". კატალონიელები საკუთარ კედლებში ყოველთვის შესანიშნავად თამაშობენ. სამაგიეროდ, სტუმრად უჭირთ ხოლმე - ისიც შედარებით. ვფიქრობ, ნეიტრალურ მოედანზე „ბაიერნს" „ბარსას" დამარცხება შეუძლია. ასე რომ, თუ ფინალში გავალთ, იქ მეტოქედ „ბარსელონას" ვინატრებდი.

ჰოფენჰაიმი

# ჰოფე შოკშია: იბიშევიჩი დამთავრდა!

## დიაგნოზი: მყესები გაწყვეტილია! ბოსნიელი ბომბარდირისთვის სეზონი დასრულდა, სოფლელებს სასწრაფოდ მისი შემცვლელი სჭირდებათ

ის, რისიც **რალფ რანგნიკს**, **დიტმარ ჰოპს** და „ჰოფენჰაიმის" ყველა გულშემატკივარს ძალიან ეშინოდა, გუშინ ჰაიდელბერგელმა დოქტორებმა დაადასტურეს: ბუნდესლიგის პირველი წრის გამარჯვებული სენსაციური გუნდის, „ჰოფენჰაიმის" გოლეადორი **ვედად იბიშევიჩი** „პროფესორ რალფის" გუნდს ამ სეზონში ველარ დაეხმარება! ბოსნიელმა თავდამსხმელმა, რომელმაც პირველ წრეში 18 გოლის გატანა შეძლო და გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობდა, „ჰამბურგთან" ამხანაგურ მატჩში ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და საოპერაციოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვედადი მინიმუმ 6, მაქსიმუმ კი 8 თვეს ლაზარეთში გაატარებს!

„ჰოფენჰაიმის" ექიმები ტრავმის მიღების შემდეგვე ვარაუდობდნენ, რომ იბიშევიჩს მყესები ჰქონდა განყვეტილი. „ჰოფე" შეკრებას ესპანეთში გადის და ბოსნიელი მეორე დღესვე დაბრუნდა გერმანიაში, სადაც ჰაიდელბერგის კლინიკაში ჩაიტარა გამოკვლევა. გუშინწინ გვიან ღამით კი, ჰაიდელბერგელმა ექიმებმა დასვეს დიაგნოზი, რომელმაც მთელი „ჰოფენჰაიმი" შოკში ჩააგდო.

*„შოკირებულები ვართ! ვედადი გუნდის ლიდერი და ნომერ პირველი თავდამსხმელია, რომლის გარეშეც ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ ძალები უნდა მოვიკრიბოთ და კიდევ უფრო შევიკრათ. მან პირველ წრეში 18 გოლის გატანა შეძლო და არა მგონია, ვინმემ მისი სრულფასოვანი შეცვლა მოახერხოს,"* - აცხადებს ნახევარმცველი **ტობიას ვაისი.**

რა ეშველება „ჰოფენჰაიმს" იბიშევიჩის გარეშე? როგორც იცით, რანგნიკი გუნდს 4-3-3 ტაქტიკით ათამაშებს, სადაც იბიშევიჩს ცენტრფორვარდის პოზიცია ეკავა, ფლანგებიდან კი მას **დემბა ბა** და **ჩინედუ ობასი ოგბუკე** ეხმარებოდნენ. ბას ცენტრფორვარდის ფუნქციების შესრულება შეუძლია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში „პროფესორ რალფს" ფლანგისთვის ალარ რჩება კარგი ფორვარდი. „ჰოფეში" ირიცხება ბრაზილიელი თავდამსხმელი **ველინგტონი**, რომელიც „სოფლელებმა" ზაფხულში 5 მილიონად შეიძინეს. ეს უკანასკნელიც ცენტრალური თავდამსხმელია, მაგრამ პირველ წრეში მოედანზე ძალიან იშვიათად ჩნდებოდა - იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იბიშევიჩი გენიალურად თამაშობდა და მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. ველინგტონი ნამდვილად არის იბიშევიჩის ალტერნატივა, მაგრამ დიდი შანსია, რომ ჰოფენჰაიმელებმა ახლავე შეიძინონ ახალი თავდამსხმელი. რაკი გუნდი პირველ ადგილზეა, მეორეხარისხოვანი მოთამაშის იმედზე ყოფნა არ შეიძლებაო, ამბობს „ჰოფეს" მფლობელი დიტმარ ჰოპი.

გუნდის გენერალური მენეჯერი **იან შინდელმაიზერი** იბიშევიჩის შემცვლელის ყიდვაზე უკვე ალაპარაკდა: *„ვედადის ტრავმამ უდიდესი სიცარიელე დატოვა, რომელსაც შევსება სჭირდება."* რანგნიკი კი უფრო კონკრეტულად საუბრობს: *„ვფიქრობ, იბიშევიჩის შემცვლელი აუცილებლად უნდა ვიყიდოთ. ჩემი აზრით, ნამდვილად შესაძლებელია, რომ ეს თავდამსხმელი ვედადზე დიდი ასაკის იყოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფეხბურთელს, რომელსაც ვიყიდით, თავისი შესაძლებლობები უკვე არაერთგზის უნდა ჰქონდეს დამტკიცებული. ამასთან, ადამიანური და ფინანსური ასპექტის მხრივაც იდეალურად უნდა ერგებოდეს „ჰოფენჰაიმს". მართალია, ჩვენ გვყავს ველინგტონი, რომელზეც უდიდეს იმედებს ვამყარებთ, მაგრამ ახალი თავდამსხმელი მაინც გვჭირდება."*

„ზუდდოიჩე ცაითუნგის" ცნობით, რანგნიკმა და შინდელმაიზერმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები და მოლაპარაკებები წამოიწყეს შვეიცარიის ნაკრების ფორვარდ **ერენ დერდიუკთან**, რომელიც 20 წლისაა და უნიჭიერეს თავდამსხმელად მიიჩნევა. დერდიუკი დიდი ხანია, რაც „ჰოფეს" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ფიგურირებს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შვეიცარიელს სიტყვიერი შეთანხმება აქვს მიღწეული „ლევერკუზენთან", რომლის მიხედვითაც ის ზაფხულში „ბაიერნში" უნდა გადავიდეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



18 გოლი 17 თამაშში - ვედად იბიშევიჩი ბუნდესლიგის მეორე წრეში გოლებს ველარ გაიტანს...


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

არსენალი

# ვენგერი: სიტი ღრუბლებში ცხოვრობს

## ბერგკამპს არსენალში დაბრუნება უნდა



დენის ბერგკამპი

„არსენალის“ ჰოლანდიელ ლეგენდას, **დენის ბერგკამპს** სურს, რომ ოდესმე მის უსაყვარლეს კლუბში დაბრუნდეს. 39 წლის ვეტერანისათვის მნიშვნელობა არ ექნება, რა ფუნქციას დააკისრებენ. მთავარია, მან „არსენალს“ გარკვეული სარგებელი მოუტანოს. *„არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე „არსენალში“ დავბრუნდე. მიყვარს ეს კლუბი, მიყვარს ინგლისი და სწორედ ამიტომ ასეთი პერსპექტივა უზარმაზარ სიამოვნებას მომანიჭებდა. ნისლიან ალბიონზე ფეხბურთი უფრო მეტია, ვიდრე თამაში. ყველას, ვისაც უყვარს ეს სპორტი, ვურჩევ, იმუშაოს ინგლისში, არ აქვს მნიშვნელობა ფეხბურთელის თუ მწვრთნელის რანგში“*, - აცხადებს ბერგკამპი. ამჟამად დენისი „აიაქსის“ სკაუტია. სწორედ ამსტერდამულ გრანდში იწყებდა ის პროფესიულ კარიერას. „არამფრინავმა ჰოლანდიელმა“ „მეთოფეთა“ შემადგენლობაში 424 თამაში ჩაატარა და 121 გოლი შეაგდო.

ჟურნალისტებმა **არსენ ვენგერს** ტრავმირებულ ფეხბურთელებზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს. მწვრთნელმა თქვა, რომ ის მოუთმენლად ელოდება **ფაბრეგასის**, **უოლკოტის**, **როსიცკისა** და **ედუარდოს** დაბრუნებას. მისი განცხადებით, ოთხეულს ისევე მოუთმენლად ელის, როგორც ახალწვეულებს. ფრანგი სპეციალისტის მოლოდინის გვესმის. წარმოიდგინეთ, როსიცკი და ედუარდო გუნდს თითქმის ერთი წელია, ვერ ეხმარებიან. ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან ყველაზე მალე ედუარდომ უნდა ითამაშოს. მისი დაბრუნების ვადა ცნობილია. ხორვატ-ბრაზილიელი ორ კვირაში უკვე მზად იქნება. *„რა თქმა უნდა, ნებისმიერი ტრანსფერი გაგვახარებს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ძალზე ძლიერი ფეხბურთელები დაშავებული გვყავს. თანაც ყველა მათგანი შემტევი სტილისაა. მათი დაბრუნება „არსენალს“ ძალიან გააძლიერებს,“* - აცხადებს ვენგერი.

ჩვენი აზრით, ყოველთვის საინტერესოა ვენგერის მოსაზრებები ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზე. გუშინ მან „მანჩესტერ სიტის“ მიერ დაგეგმილ ტრანსფერებზე გააკეთა კომენტარი. *„ეტყობა, რომ „სიტიში“ ისეთივე მდგომარეობაა, როგორც თავის დროზე „ჩელსიში“ იყო, როცა „არისტოკრატებში“ რომან აბრამოვიჩი მივიდა. ის, რაც ახლა ჩვენს თანაქალაქელთა თავს ხდება, კარგი მაგალითია იმისა, სადამდე შეიძლება მიიყვანოს საფეხბურთო კლუბი უკონტროლო ხარჯებმა. რაც შეეხება კაკას შესაძლო შეძენას, არ მგონია, ბრაზილიელი „სიტიში“ გადავიდეს. მიმდინარე კრიზისის ფონზე ასეთმა ტრანსფერმა, შეიძლება, დიდი მღელვარება გამოიწვიოს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ რეალურ სამყაროში ვცხოვრობთ და მანჩესტერელები სადღაც ღრუბლებში დაფრინავენ,“* - განუცხადა „გარდიანს“ მოსიე არსენმა.

ტოტენჰემი

# ტრანსფერები და კიდევ ტრანსფერები

## მიდი-მოდი უაით ჰართ ლეინზე

„ტოტენჰემში“ სიტუაციის დალაგებას, როგორც ჩანს, კიდევ დიდი ხანი უნდა ველოდეთ. გაზეთები ყოველდღიურად წერენ ამა თუ იმ ფეხბურთელით ლონდონელთა დაინტერესების შესახებ. ამასობაში, თავად **ჰარი რედნაპი** აცხადებს, რომ მისი კლუბი ზამთარში 20 მილიონ ფუნტზე მეტს ვერ დახარჯავს. თუმცა გაურკვეველია, რამდენი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს ხსენებული თანხით. მოდით, მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვეთ.

მაშ ასე. „დეილი მეილის“ინფორმაციით, „ვესტ ჰემმა“ „მამლებს“ თანხმობა განუცხადა უელსელი **კრეიგ ბელამის** მიყიდვაზე. როგორც ჩანს, „ტოტენჰემმა“ სერიოზული სამუშაო გასწია. თავდამსხმელის გასხვისების შემთხვევაში **ჯანფრანკო ძოლა** თანამდებობიდან გადადგომით იმუქრებოდა. იტალიერი მწვრთნელი არსადაც არ წავა. მისი კლუბი კი 12 მილიონ გირვანქას მოიხვეჭს.

რედნაპი რომ კვალიფიციური მეკარის შეძენითაა დაინტერესებული, ესეც ყველამ იცის. ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე იწერებოდა, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ ვეტერანი **დევიდ ჯეიმსი** უნდა გადასულიყო, თუმცა სპეკულაციები არ გამართლდა. ინგლისის ნაკრების მეკარემ უარი თქვა კლუბის შეცვლაზე. მისტერ ჰარიმ ახალი მიზანი დაისახა - ახლა მას „დერბი ქაუნთიდან“ **როი კეროლის** შეძენა უნდა. ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში, ვინ იქნება ძირითადი მეკარე და ვინ დუბლიორი, ჯერ კიდევ არავინ იცის. კეროლის შეძენა „მამლებს“ სულ რაღაც 250 ათასი გირვანქა დაუჯდებათ. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოირლანდიელი წლების განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედში“ ირიცხებოდა.

„სანდერლენდის“ შოტლანდიელმა თავკაცმა **რიკი სბრაგიამ** „ტოტენჰემს“ უარი განუცხადა თავდამსხმელ **კენვინ ჯოუნსის** მიყიდვაზე. როგორც სააგენტოები იუწყებიან, ლონდონელებმა „შავ კატებს“ 24 წლის ფეხბურთელში 15 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. *„ყოველთვის ვამბობდი, რომ არც ერთ გუნდს პრემიერლიგაში შანსიც კი არ აქვს, რომ ჩემი გუნდის საუკეთესო მოთამაშეები გადაიბიროს. არ მაინტერესებს რას აპირებენ „მამლები“. ჯონსი არსადაც არ წავა,“* - განუცხადა BBC-ის რადიოს „სანდერლენდის“ დამრიგებელმა.

„გარდიანის“ ცნობით, **ჯერმეინ ჯენასი** არ შედის რედნაპის გეგმებში და მას შეუძლია, „უაით ჰართ ლეინი“ იანვარშივე დატოვოს. ლონდონელებს ფეხბურთელის პირდაპირი წესით გაყიდვა ანაც მისი რომელიმე სხვა ტრანსფერში გამოყენება სურთ. მაგალითად, შეიძლება „ვიგანთან“ გარიგება და **პალასიოსის** ნაცვლად ჯენასის შეთავაზება. მათ ლონდონელთა მიერ შეთავაზებულ 10 მილიონზე კატეგორიული უარი განაცხადეს, 13-ზე კი ჯერაც ფიქრობენ. *„ძალიან არ გვინდა პალასიოსის დაკარგვა, რადგან მისი შემცვლელი გუნდში არ გვყავს. მიუხედავად ამისა, „ტოტენჰემის“ ხელმძღვანელობამ მტკიცედ გადაწყვიტა ფეხბურთელის ხელში ჩაგდება. ათი მილიონი გირვანქა ძალიან ცოტაა ასეთი კალიბრის ფეხბურთელისთვის. ვაცხადებ, მის შესაძენად მეტი თანხაა საჭირო,“* - განუცხადა იმავე BBC-ის რადიოს „ვიგანის“ პრეზიდენტმა **დეივ უელანმა**.



კრეიგ ბელამი

ასე რომ, ფორმულა ჯენასს + გარკვეული თანხა, შეიძლება, ბევრად უფრო მომხიბლავი აღმოჩნდეს. ამასობაში „სანის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰონდურასელში „ვიგანს“ 14 მილიონი გირვანქა შესთავაზა. „მამლები“ „ინტერთანაც“ ინტენსიურ მოლაპარაკებაში არიან ჩართულნი. **ჟოზე მოურინიოს ადრიანოს** თავიდან მოშორება უნდა, მაგრამ დათანხმდება თუ არა მის ნაცვლად ჯენასის, ანდა **გარეთ ბეილის** ტრანსფერს, ძნელი სათქმელია. საინტერესოა, რომ ჯენასის იჯარით აყვანა „ევერტონს“ სურს. სიტუაცია იმაზე უფრო დახლართულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# სიტის ლუჩოც მოუნდა?

„პორტუს“ არგენტინელი ნახევარმცველი **ლუჩო გონსალესი** გაკვირვებას გამოთქვამს გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს ის „სიტიში“ გადასვლას გეგმავდეს. პორტუგალიური „რადიო სპორტის“ ცნობით, ინგლისელებმა „პორტუს“ რამდენიმე თამაშზე თავისი სკაუტები მართლაც მიავლინეს. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ **მარკ ჰიუზს** ფეხბურთელის გადაბირება მართლა უნდა. ლუჩოს კლასიდან გამომდინარე, გასაკვირი აქ არაფერია. *„ასეთი კატეგორიის ინფორმაციას ყურადღებას არ ვაქცევ. იმიტომ, რომ ისინი ძირითადად უსაფუძვლო ხმებს წარმოადგენენ. ამჟამად მხოლოდ „პორტუზე“ ვფიქრობ. ჩემი მიზანია, რომ გუნდთან ერთად პორტუგალიის ჩემპიონატი კიდევ ერთხელ მოვიგო და ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს წავიდე,“* - აცხადებს არგენტინელი. კლუბის პრეზიდენტი **პინტუ და კოშტა** ადასტურებს, რომ ფეხბურთელის თაობაზე ოფიციალური წინადადება არ მიუღია. *„აქამდე არავის მოუმართავს და რომც მოგვმართონ, ეჭვი მეპარება ლიდერს გამოვეთხოვოთ. ლუჩო ჩვენი გუნდის მარგალიტია,“* - ამბობს პორტუგალიელი ჩინოსანი.

ლივერპული



ჩაბი ალონსო

# ჩაბი ალონსო ბრუნდება

## ბენაიუნი სპარტაკში არ გადავა

„ლივერპულის“ ფანებისთვის ერთი შესანიშნავი ინფორმაცია გვაქვს. მცირე პაუზის შემდეგ **ჩაბი ალონსო** ფორმაში ჩადგა და თუ გუნდის მწვრთნელები საჭიროდ მიიჩნევენ, ლივერპულურ დერბიში ითამაშებს კიდეც. შეგახსენებთ, რომ ესპანელმა ტრავმა „პრესტონთან“ 3 იანვრის სათასო შეხვედრაში მიიღო. მან უკვე გამოტოვა ერთი თამაში „სტოკ სიტისთან“. აი, ფეხბურთელის კომენტარი:*„ვარჯიში უკვე განვაახლე. ფეხი ცოტა კიდევ მაწუხებს. ვფიქრობ, ყველაფერის მიუხედავად, ორშაბათისთვის უკვე მზად ვიქნები“.* შეგახსენებთ, რომ „ლივერპულსა“ და „ევერტონს“ შორის „ენფილდ როუდზე“ ზედიზედ ორი შეხვედრა გაიმართება - 19 იანვარს პრემიელიგის ხოლო 25-ში - ასოციაციის თასის ეგიდით.

„ლივერპულის“ ნახევარმცველი **იოსი ბენაიუნი** მოსკოვის „სპარტაკში“ არ გადავა. ტრანსფერს ვეტო თავად **რაფა ბენიტესმა** დაადო. ფეხბურთელის პოზიცია ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც ჩანს, კლუბის მენეჯერებს ტრანსფერის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ. ბენიტესი თავდაპირველად დაეთანხმა მოთამაშის გასხვისებას, მაგრამ ერთი პირობით: მიღებული ფული სხვა ფეხბურთელის შეძენას უნდა მოხმარებოდა. ასეთ წინადადებაზე ბოსებმა მას უარი უთხრეს. ამის შემდეგ მწვრთნელმა ვეტოს უფლება გამოიყენა და ებრაელი მოთამაშე შეინარჩუნა.

„ინდეპენდენტის“ კორესპონდენტმა „ლივერპულის“ ყოფილ მოთამაშეს, უელსელ **იან რაშს** ინტერვიუ ჩამოართვა და მერსისაიდელთა შესახებ ესაუბრა. რაშმა ერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა. *„ლივერპულის“ შესაძლო ჩემპიონობას დიდი იმედით შევყურებ. ყველაზე მეტად ფერნანდო ტორესისა და რობი კინის იმედი მაქვს. ამ მოთამაშეებს სრულფასოვანი დუეტის ჩამოყალიბების დრო არ მისცემიათ. ხან ფერნანდოა ტრავმირებული და ხან რობია ცუდ ფორმაში. თუ მათ სოლიდური სათამაშო დრო ექნებათ, „ლივერპულს“ ისეთ დონეზე გაიყვანენ, რომ ჩემპიონობის მოპოვება რეალური გახდება. ეჭვიც არ მეპარება, რომ სწორედ ტორესისა და კინის დუეტი არის ის ფაქტორი, რაც დიდი ხნის ნატვრას აგვიხდენს და ოქროს მედლებამდე მიგვიყვანს,“* - აცხადებს 47 წლის ლეგენდა.

და ბოლოს, არცთუ სასიამოვნო ინფორმაცია: **სტივ ჯერარდის** მეუღლე **ალექს კურანი** საკუთარი ავტომობილით ავარიაში მოჰყვა. ინციდენტიდან ის სულ მთლად უვნებელი გამოძვრა. რაც შეეხება ალექსის მანქანას, სერიოზული ზიანი არც ამ შემთხვევაში გვაქვს. სიტუაციაში დამნაშავე ავტოსაგზაო შემთხვევის მეორე მონაწილეა, რომელმაც საჭე ვერ დაიმორჩილა.

ფული და ფეხბურთი

# იუნაიტედი ყველაზე ძვირი კლუბია

ჟურნალ „ფორბსის“ გამოკვლევით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მსოფლიოში ყველაზე ძვირაღირებული სპორტული კლუბის სახელი მოიხვეჭა. ათეულში კიდევ ორი საფეხბურთო კლუბია, მადრიდის „რეალი“ და ლონდონის „არსენალი“. გთავაზობთ სრულ სიას (თანხა მოცემულია დოლარებში):

| | |
|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი, ფეხბურთი) | 1.8 მილიარდი. |
| 2. დალას კოვბოისი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.6 |
| 3. ვაშინგტონ რედსქინსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.5 |
| 4. ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.32 |
| 5. ნიუ იორკ იანკისი (აშშ, ბეისბოლი) | 1.3 |
| 6. რეალი (ესპანეთი, ფეხბურთი) | 1.29 |
| 7. არსენალი (ინგლისი, ფეხბურთი) | 1.2 |
| 8. ნიუ იორკ ჯაიანთსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.18 |
| 9. ნიუ იორკ ჯეთსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.17 |
| 10. ჰიუსტონ ტექსანსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) | 1.17 |

როგორც ავტორიტეტული გამოცემა ირწმუნება, მილიარდ დოლარს სულ 24 სპორტული კლუბის ღირებულება აჭარბებს. აქედან 19 ამერიკული ფეხბურთის ლიგის მკვიდრია.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია — პუბლიკაციის კვალდაკვალ

# სად წავიდა 50 ათასი დოლარი?


შოთა ხაბარელი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ გაუწყეთ. სიტუაცია უფრო იმან დაძაბა, რომ პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **დავით ბერძენიშვილმა** მასმედიის წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი **შოთა ხაბარელი** საბიუჯეტო სახსრებს საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯავდა და ახლა განაწყენდა, ყრილობის დავალებით თანხების მკაცრი გაკონტროლება რომ გადავწყვიტეთო. ისიც დასძინა - დღემდე არ ვიცით, სად წავიდა ის 50 ათასი დოლარი, რომელიც ნაკრებმა იაპონიაში გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებისთვის რომ დაიმსახურაო.

ცხადია, სიმართლის ძიების გზას შოთა ხაბარელამდე უნდა მივეყვანეთ. ასეც მოხდა. ბატონი შოთაც მზად დაგვხვდა და გადმოგვცა სია იმ 23 ადამიანისა, რომლებზეც ტოკიოში მიღებული პრემია განაწილდა. მათ შორის არიან სპორტსმენები, მწვრთნელები, ექიმები და ფედერაციის რამდენიმე თანამშრომელი.

- ეს არის საპრიზო და არა საბიუჯეტო თანხა, რომელიც ბიჭებმა მსოფლიოს ჩემპიონობით დაიმსახურეს, - მითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. - ამიტომ ის მწვრთნელებთან და სპორტსმენებთან შეთანხმებით გადანაწილდა. მთავარია, რომ უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. სია ფედერაციის საიტზეა და ყველას შეუძლია მისი შემოწმება. ერთი თეთრიც არ გვაქვს დამალული. მსგავსი შემთხვევა გვქონდა, როცა მოსკოვში III ადგილი დავიკავეთ და პრიზად მიღებული 8 ათასი დოლარიც გუნდის წევრებს ხვდათ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ბიჭების მიერ მოპოვებული თანხაა და იქ ფედერაციას ან ბუღალტერიას არაფერი ესაქმება.

რაც შეეხება საბიუჯეტო სახსრებს, მას ფედერაციის და სპორტის დეპარტამენტის ბუღალტერია ცალ-ცალკე აკონტროლებს, ამიტომ ხაბარელს თავის გემოზე ფულს არავინ გაატანს. ეს პასუხისმგებელმა პირმა უნდა იცოდეს. აქაც ყველაფერი გამჭვირვალეა და მის შემოწმებას უბრალო არითმეტიკა სჭირდება.

არც ის არის მართალი, ნაკრებ გუნდებს სათანადო პირობებს ვუქმნითო. სახელმწიფოს დამსახურებას თავად ნუ მიიწერენ: სპორტის დეპარტამენტი ბიუჯეტიდან აფინანსებს ნაკრებ გუნდებს საწვრთნელი შეკრებებისა და შეჯიბრებებისთვის. თავად ფედერაციას საკუთარი თეთრიც არ გააჩნია. დასტურად ისიც გამოდგება, რომ სამი თვეა, თანამშრომლებს ხელფასი არ მიუღიათ.

ჩვენთან გამოცოცხლება რამდენიმე წლის წინათ მას შემდეგ დაიწყო, რაც ვიცე-პრეზიდენტად ბატონი **გია ნაცვლიშვილი** მოვიდა: ფედერაციისთვის შენობა დაიქირავა, აპარატის თანამშრომლებს სოლიდური ხელფასები დაუნიშნა. საინტერესო ღონისძიებებსაც ჩაუყარა საფუძველი. რაც ბატონი გია წავიდა, ფედერაციაში კრიზისიც დაიწყო.

**- ბატონო შოთა, ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ნაკრებიდან თქვენი წასვლის საკითხი ოფიციალურად არსად დასმულა...**

- დიახ, ოფიციალურად არა, მაგრამ ტყუილით, დისკრიმინაციული მეთოდებით ცდილობენ მთავარი მწვრთნელობიდან ჩემს გადაყენებას. დავით ბერძენიშვილის ფედერაციაში მოსვლის პირველი დღიდანვე შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ჩემს თავიდან მოშორებას გეგმავს. თანხებთან დაკავშირებული ჭორებიც ამ გეგმის ნაწილია. სწორედ, ასეთი ბინძური მეთოდით მოახერხეს თავის დროზე ბიძინა მაზიაშვილის სამსახურიდან გათავისუფლება.

**- როგორც ხედავთ, მდგომარეობა ძალიან გამწვავდა. ქართული ძიუდოს ერთიანობას ბზარი გაუჩნდა. რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ იგი უფსკრულად არ იქცეს? მით უმეტეს, ფედერაციის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ დაპირისპირება შინაური საქმეა და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს. თქვენც ასე ფიქრობთ?**

- ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა დაწყობილი საქმის ასარევად მოსულ პიროვნებას ფედერაციიდან დაითხოვენ. სხვაგვარად ქართულ ძიუდოში სიტუაცია მუდამ დაძაბული იქნება...

**ვაჟა დანელია**

სუმო



# ქართველი მთა-კაცის წინააღმდეგ

იანვრის ბაშოს მე-6 დღე უიღბლო გამოდგა ჩვენებურთათვის – **კოკაი (ლევან ცაგურია)** და **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** დამარცხდნენ. კოკაის 2-4 ბალანსი აქვს და დარჩენილ ბრძოლებში სულ სამი წაგების უფლებაღა დარჩა. გუშინ მისი მეტოქე ოსი რიკიში **არანი** იყო. ევროპელებს საკმაოდ თვალსასეირო ორთაბრძოლა გამოუვიდათ, რომლის ბოლო ჩვენთვის სამწუხარო იყო – არანმა კოკაი იორიკირის ილეთით მოისროლა დოჰიოდან მაყურებლებში. დღეს კოკაის მეტოქე 34 წლის მე-7 მაეგაშირა **დეჯიმაა**, ყოფილი ჩემპიონი (ოძეკი). დეჯიმას ერთხელ იმპერატორის თასიც კი აქვს მოპოვებული. შარშან კოკაი და დეჯიმა სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერვე კოკაიმ იმარჯვა.

ტოჩინოშინმა აშკარად დააგვიანა ტაჩი აიზე (სასტარტო დაჯახება), რითაც მისმა მეტოქე **ტამავაშიმ** უპირატესობა მოიპოვა, შემდეგ ქართველი დიდ ხანს უძალიანდებოდა მონღოლს, მაგრამ დოჰიოს კიდესთან მდგომმა ზეწოლას ველარ გაუძლო და ფეხი რკალს იქით გადადგა. ტოჩინოშინს აღარ აქვს დადებითი ბალანსი (3-3), მისთვის ბაშოზე ყველაფერი თავიდან იწყება. დღეს ჩვენებურს სპეციალური მეტოქე ჰყავს, **იამამოტოიამა**. იაპონელი გამორჩეული თავისი წონითაა, ის, არც მეტი არც ნაკლები, 248 კილოგრამს იწონის! 24 წლის მთა-კაცი დებიუტანტი აქამდე არასოდეს შეხვედრია ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტს.

ბაშოს კვლავ ოთხი დაუმარცხებელი რიკიში ლიდერობს, ორი დიდი ჩემპიონი (**ასაშორიუ** და **ჰაკუჰო**), ესტონელი სეკივაკე **ბარუტო** და რიგითი მაეგაშირა **ტოჩიოძანი**.

ჩვენს ელიტელებს პრობლემები მოეძალათ. სამაგიეროდ, გვახარებს მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მოასპარეზე მე-13 ნომერი **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**. გაგამარუმ ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო, ამჯერად მე-17 ნომერი **სოტაირიუ** ოშიდაშით დაამარცხა.

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**
**11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)**

**VI დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები:** **კოკაი (მ 4)-არანი (მ 6) 0:1 (იორიკირი); ტოჩინოშინი (მ 11)-ტამავაში (მ 13) 0:1 (იორიტაოში); ასაშორიუ (ი)-ტოიონოშიმა (კ) 1:0; ჰაკუჰო (ი)-ტაკეკაძე (მ 3) 1:0; ბარუტო (ს)-კოტომიცუკი (ო) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-კიოკუტენჰო (მ 1) 1:0; კოტოოშუ (ო)-მიაბიამა (მ 2) 1:0; კისენოსატო (კ)-კაიო (ო) 1:0; გოეიდო (მ 3)-ჰარუმაფუჯი (ო) 1:0; ამინიშიკი (ს)-კოტოშოგიკუ (მ 1) 1:0; იოშიკაძე (მ 2)-ვაკანოსატო (მ 4) 1:0; ტაკამისაკარი (მ 5)-დეჯიმა (მ 7).**

სატურნირო მდგომარეობა: 6-0: **ჰაკუჰო (იოკოძუნა); ასაშორიუ (იოკოძუნა); ბარუტო (სეკივაკე); ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12).**

**VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები:** **კოკაი (მ 4)-დეჯიმა (მ 7); ტოჩინოშინი (მ 11)-იამამოტოიამა (მ 15); ჰაკუჰო-ამინიშიკი; ასაშორიუ-იოშიკაძე; ჩიოტაიკაი-ტაკეკაძე; კოტოოშუ-ბარუტო; კაიო-ტოიონოშიმა; ჰარუმაფუჯი-კიოკუტენჰო; მიაბიამა-კოტომიცუკი; კისენოსატო-კოტოშოგიკუ; გოეიდო-ტაკამისაკარი; ბუშუიამა-ვაკანოსატო.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სავარჯიშო მეხსიერებისთვის


1938 წელს ამ შენობაში გაიხსნა და მუშაობას შეუდგა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი

რეგიონი

# საუკეთესოები ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებენ

გუშინ ოზურგეთში დამთავრდა გურიის მხარის რეგიონული პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით გაიმართა. შეჯიბრებაში 70-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **ზურაბ მაჭარაშვილი** (55 კგ.), **გიორგი ჩხაიძე** (60), **დავით მეფარიშვილი** (66), **ირაკლი თითაიშვილი** (74), **ზურაბ ცინცაძე** (84), **ბექა ჩოფლიანი** (96) და **ვახტანგ ფასიეშვილი** (120, ყველა - ოზურგეთი). გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **გურამ მაჭარაშვილმა** გვითხრა, რომ რეგიონის საუკეთესო „კლასიკოსები“ 5-6 თებერვალს ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს მამის და ნაკრების წევრს კონსტანტინე ტომარაძეს ბაბუის

**აბესალომ ტომარაძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს გელა ელერდაშვილს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

ჩოგბურთი

# ნიკა ჰოლივუდშია

ამერიკის ქალაქ ჰოლივუდში (ოღონდ, საქვეყნოდ ცნობილ ჰოლივუდში არა, ფლორიდის შტატში) ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი $) იწყება თიხნარის საფარის კორტებზე. შეჯიბრებაში 16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (1220) მონაწილეობს, ბუნებრივია, საკვალიფიკაციო ბადიდან. პირველ წრეში ჩვენი თანამემამულე 29 წლის ამერიკელ **კრასიმირ კოლევს** შეხვდება. შეგახსენებთ, რომ ახალი წლიდან ბასილაშვილი დიდების შეჯიბრებებზე გადაერთო. სეზონის პირველ ტურნირში (ბოკა რატონი, აშშ) მან ვერ შეძლო ძირითად ბადეში გაღწევა, მეორე წრეში დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ნიკოლოზ ბასილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი ესპანეთში

## ვლადიმერ ბოისა:

# მაქსიმუმისთვის ჯერ არ მიმიღწევია

წლეულს ესპანეთის ჩემპიონატში ერთბაშად სამი ქართველი გამოჩნდა – **ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა** და **თორნიკე შენგელია**. საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ტაირონ ელისი** კი უკვე მეორე სეზონია სევილიის "კახასოლის" ღირსებას იცავს.

"კახასოლის" დარად ვოვა ბოისას "მენორკაც" აუტსაიდერთა შორისაა, თუმცა ქართველი კალათბურთელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და მდგომარეობის გამოსწორების იმედი აქვს. ქვემოთ გთავაზობთ "მენორკას" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ვოვა ბოისას ნაუბარს, რომლის სათაურია – "მაქსიმუმისთვის ჯერ არ მიმიღწევია".

"ქართველი ფორვარდის თქმით, მისი ფიქრები ერთი მიმართულებით მიედინება – კვირას "მენორკას" ბასკეთში ტაუ-სთან სერიოზული მატჩი ელის და სწორედ ამ შეხვედრისთვის ემზადება.

*- ტაუ არათუ ესპანეთის ჩემპიონატში, არამედ ევროლიგაზეც ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ამის მიუხედავად, ვიტორიაში აბსოლუტურად უშიშრად მივდივართ და წარმატების იმედიც მაქვს. შეიძლება ტაუ ფავორიტის სტატუსით გამოვიდეს მოედანზე, მაგრამ მჯერა, თუ ჩვენი თამაშის ხელწერის ჩვენებას მოვახერხებთ, გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება. დაუმარცხებელი არავინაა. ტაუ-ს შესანიშნავი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ არც "მენორკას" შემადგენლობაა ნაკლები.*

ვლადიმერ ბოისა იხსენებს სეზონის სადებიუტო მატჩს ტაუ-სთან, რომელიც ბალეარების კუნძულებზე გაიმართა და მენორკელები მოგებასთან ახლოს იყვნენ.

*- პირველ შეხვედრაში გამარჯვების დიდი შანსი გვქონდა. რეალურად უნდა*



*მოგვეგო კიდეც, მაგრამ არასპორტულმა მიზეზებმა 2 ქულის ჩაწერაში ხელი შეგვიშალა. თუმცა სპორტი ისეთი რამაა, ბევრი დეტალი უნდა დაივიწყო და მომავლისკენ იყურო. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატების მიღწევა გაგიჭირდება.*

ბოისამ მარცხის კონკრეტული მიზეზი არ დაასახელა. ჩვენ მოსარიდებელი არაფერი გვაქვს და პირდაპირ ვიტყვით – "მენორკა"-ტაუ-ს დაპირისპირებისას ბოლო ორქულიანი ბასკებმა მას შემდეგ ჩააგდეს, რაც საფინალო სირენამ გაიჟღერა. ამას დიდი პროტესტი მოჰყვა, მაგრამ მსაჯებმა გამარჯვება (77:75) ტაუ-ს ჩაუთვალეს.

ბასკეთში გასამართი შეხვედრის მაგალითზე ვლადიმერ ბოისა ესპანეთის ჩემპიონატის გასვლით მატჩებზე ზოგადად ლაპარაკობს:

*- საერთო აღიარებით ესპანური ლიგა ევროპაში საუკეთესოა. ამ აზრს მეც ვეთანხმები. თითოეული გამარჯვება ძალიან ძნელი მისაღწევია. განსაკუთრებით გასვლითი შეხვედრებია რთული სათამაშო. მნიშვნელობა არ აქვს, აუტსაიდერ „სევილიასთან" თამაშობ სტუმრად, თუ ლიდერ ტაუ-სთან, შინ წარმატებით გამობრუნება იშვიათი ბედნიერებაა. აქედან გამომდინარე, სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საშინაო მატჩებში გამარჯვებებს.*

მენორკელი გულშემატკივრები იმ ბოისას ელოდნენ, რომელიც ლიუბლიანის "ოლიმპიაში" ქულას ქულაზე აგდებდა...

*- ყოველ კალათბურთელს სურს, გუნდს რაც შეიძლება მეტად გამოადგეს. ამის სურვილი მეც მაქვს. თუმცა ზოგჯერ საქმე კარგად გამოგდის, ზოგჯერ – ვერა. ესეც ნორმალურია. მიმაჩნია, რომ შეტევაში მეტი შემიძლია და ვეცდები, ამ მხრივ კიდევ უფრო მოვუმატო. ასეა თუ ისე, "მენორკაში" თავს კარგად ვგრძნობ და უფრო ბედნიერი ვიქნები, თუ გუნდს ჩემს შესაძლებლობებს ბოლომდე მოვახმარ."*

**ვაჟა სიმონიშვილი**




დავით საყვარელიძე (№33)

ლეგიონერი ოკეანის გაღმიდან

# საყვარელიძე ამერიკაში თამაშობს და ევროპაზე ფიქრობს

საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **დავით საყვარელიძე** ბოლო ორი წელია, ამერიკაში ცდის ძალებს. იგი ნიუ იორკის „დომინიკან კოლეჯთან" ერთად კოლეჯების უმაღლეს ლიგაში თამაშობს, სწორედ იმ ლიგაში, რომელშიც **ლაშა ფარღალავაა** (ბოლო დროს ლაშას გუნდზე საუბრით კოლეჯების ლიგის სტრუქტურას ნათლად გაეცნობოდით).

ისევე როგორც ფარღალავას „ჰავაიმ", კონფერენციის მატჩები დავით საყვარელიძის „დომინიკანმაც" იანვარში დაიწყო - ერთი შეხვედრა მოიგო, სამი - წააგო.

ასეთი შედეგებით დათოს თანაგუნდელები CACC კონფერენციაში მესამე ადგილზე არიან (6 გუნდს შორის). მომდევნო ეტაპზე კონფერენციის ჩემპიონი გადის.

მოკლედ გავეცნოთ თითოეული მატჩის შედეგს და გავიგოთ როგორ თამაშობს დავით საყვარელიძე.

„დომინიკელებმა" კონფერენციის პირველი მატჩი „ბრიჯპორტთან" შინ გამართეს და ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 74:76.

მატჩის ბოლო წუთები დათომ მოედანზე გაატარა, თუმცა 75:68 დაწინაურებულ მეტოქეს ველარაფერი დააკლო. მისმა გუნდმა მხოლოდ ანგარიშის ორ ქულამდე შემცირება მოახერხა.

ქართველმა ფორვარდმა 16 წუთი ითამაშა, 4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 8 ქულა მიითვალა, რასაც 4 მოხსნა მიამატა.

მეორე მატჩში „დომინიკანის" კოლეჯი „ფელიციანს" დაუხვდა და ქართველის წყალობით 82:72 გაიმარჯვა.

სხვათა შორის, ნიუიორკელებს ბოლო 2 ქულა დავით საყვარელიძემ საჯარიმოებით მოუტანა. ეს გახლდათ დათოს საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში. იგი გუნდის სნაიპერი და გამარჯვების მთავარი შემოქმედი გახლდათ: 25 წუთში 21 ქულა ჩააგდო (5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი, 7-დან 7 საჯარიმო), 2 პასი, 4 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა.

მესამე შეხვედრა „დომიმიკანმა" კვლავ შინ გამართა და მეორე მარცხი იწვნია. ამჯერად „გოლდეისთან" 67:79 დათმო. მართალია, სხვაობა 12 ქულას შეადგენს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. მაშინ, როცა საყვარელიძე მწვრთნელმა მოედანზე დააბრუნა, ტაბლოზე 61:61 ეწერა. ამის შემდეგ თავი გამოიდო „გოლდეის" ლიდერმა **ელეგუდმა** და თანაგუნდელებს 79:67 გაამარჯვებინა.

33 ნომრით მოთამაშე საყვარელიძემ ამ შეხვედრაშიც 8 ქულა ჩააგდო. ზედ კი 2 მოხსნა და თითო პასი-დაფარება მიაყოლა. მატჩის სნაიპერობა ამჯერად დათოს თანაგუნდელმა **ბრუკმა** იკისრა - 24 ქულა მიითვალა.

კონფერენციის მორიგი მატჩი „დომინიკელებმა" გასვლაზე „ბლუმფილდთან" გამართეს და 68:85 დამარცხდნენ.

ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 29 წუთი გაატარა და 7 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი), 3 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

დათო საყვარელიძე თავისი გუნდით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. მართალია, იგი კოლეჯში კარგადაც სწავლობს, მაგრამ უფრო კალათბურთზე ფიქრობს:

*„ნიუ იორკის კოლეჯს რომ დავამთავრებ, აქ დარჩენას არ ვაპირებ, ევროპაში მინდა დავბრუნდე, საიდანაც რამდენიმე კლუბის წინადადება უკვე მაქვს. თუმცა ჯერ აქაურ მატჩებზე ვფიქრობ და მინდა გუნდთან ერთად კონფერენციის მატჩებში ღირსეულად გამოვიდე,"* - გვითხრა დათომ.

„დომინიკანი" მორიგ მატჩს 20 იანვარს „ჰოლი ფემილის" კოლეჯთან გამართავს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ტრანსფერი

# სერგო ათუაშვილი საქართველოში დაბრუნდა



ერთი კვირის წინ ჩვენი გაზეთის მკითხველს ვამცნეთ, რომ 224 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი **სერგო ათუაშვილი** "ნტდ\თბილისთან" ერთად ვარჯიშობდა. მაშინ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ კანდელაკმა** გვითხრა, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ერთ-ორ კვირაში ყველაფერს გავარკვევთო. გავიდა ერთი კვირა და მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა – ნუგზარ კანდელაკი სერგო ათუაშვილს "ნტდ\თბილისის" საამსეზონო განაცხადში შეიყვანს.

საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში ნათამაშევი და ეროვნული გუნდის შარშანდელი კანდიდატი ათუაშვილი სუპერლიგის მონაწილე „ნტდ\თბილისში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს. 224 სმ სიმაღლის ცენტრი მიმდინარე სუპერლიგაში მეორე ადგილზე მყოფ ნუგზარ კანდელაკის გუნდში რამდენიმე დღე ისინჯებოდა და პარალელურად მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. როგორც უკვე გითხარით, საკითხი ახლა გადაწყდა: ნტდ-ში ათუაშვილი ჩაირიცხა.

*„აქამდეც გვყავდა ტანმაღალი კალათბურთელი კამერუნელი პლასიდე როდუმტა, თუმცა ათუაშვილის დამატებით, სავარაუდოდ, ბოლომდე მოვაგვარებთ ფარქვეშ არსებულ ყველა პრობლემას,* – აღნიშნა „ნტდ–თბილისის" თავკაცმა ნუგზარ კანდელაკმა და იქვე დასძინა: *ახლა ველოდებით სერგოს გათავისუფლების ფურცელს სერბეთიდან, სადაც იგი აქამდე თამაშობდა. დოკუმენტი ალბათ მალე ჩამოვა და ათუაშვილი უკვე საქართველოს თასის გათამაშებაში დაგვეხმარება".* შეთანხმების თანახმად, ათუაშვილი "ნტდ\თბილისში" სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

მიმდინარე სეზონი სერგომ სერბეთის „ვიზურაში" დაიწყო და, როგორც ვთქვით, "თბილისში" გააგრძელებს. მან 2007–08 წლების სეზონის მეორე ნახევარი ესტონურ ტტუ-ში გაატარა, სადაც ორ თამაშში ერთხელ ორმაგ დუბლს ასრულებდა. ტტუ-ში გადასვლამდე ათუაშვილმა 2 მატჩი "კალევში" ჩაატარა. მანამდე გორელი ცენტრი ლიტვის "ნეპტუნასის" (ბრინჯაოს პრიზიორი გახდა), საფრანგეთის "შალონის" და პორტუგალიის "ბარეირენსეს" ღირსებას იცავდა.

როგორც კანდელაკმა აღნიშნა, სერგო ათუაშვილის შემატებით დღის წესრიგიდან არ მოხსნილა ლეგიონერით გაძლიერება.

*"თუკი საამისოდ საჭირო თანხები გვექნა, სავარაუდოდ, უცხოელ მოთამაშესაც ჩამოვიყვანთ",* – აცხადებს ნუგზარ კანდელაკი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

გამოიწერეთ
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

რაგბი

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ფინანსური კრიზისი ოპტიმიზმს არ ამცირებს

**ქართველი მორაგბეები ახალ სეზონს თებერვლის დასაწყისიდან გახსნიან. პირველნი სარაგბო ბატალიებში ბორჯღალოსნები ჩაებმებიან. ესტაფეტას შვიდკაცა რაგბის ნაკრები გადაიბარებს, რომელიც დუბაიში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. აპრილიდან კი ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება. ყოველივე ამას, საქართველოს რაგბის კავშირი გარკვეული სიახლეებით ხვდება. რაზეც ქვემოთ დაწვრილებით რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე გვიამბობს:**


გიორგი ნიჟარაძე

- სეზონს, როგრც ყოველთვის, ტრადიციულად ეროვნული ნაკრები გახსნის. ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრას ჩვენი გუნდი 7 თებერვალს ჰაიდელბერგში, გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. მეტოქეთან შეხვედრების განრიგი ცნობილია. მხოლოდ რუსეთთან ვერ დავადგინეთ ბოლოს და ბოლოს უკრაინის რომელ ქალაქში ვიასპარეზებთ. ბოლო ინფორმაციით, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ თამაში მარიუპოლში მოგვიწევს.

**- აქამდე ქართველ მორაგბეებს მუდმივად პრობლემები ექმნებოდათ კლუბებთან ნაკრებში სათამაშოდ წამოსვლის თაობაზე. რამდენადაა შესაძლებელი, რომ ამჟამადაც იგივე პრობლემებმა იჩინოს თავი?**

- საფრანგეთის რაგბის ფედერაციას, IRB-ის ყველა წესის დაცვით გავუგზავნეთ შეტყობინება. ოფიციალურად ყველანაირი პრობლემა მოხსნილია. კლუბი მოთამაშეს ვერ დააკავებს. თუ მოთამაშე ნაკრებში საასპარეზოდ ვერ ან არ წამოვიდა, მაშინ ეს ორივეს ბრალი იქნება. სავარაუდოდ, ამჯერად უძლიერესი შემადგენლობის შეკრებას შევძლებთ. უფრო ზუსტად გუნდში ყველა ის მორაგბე იქნება ვის თამაშსაც ნაკრების მწვრთნელი ტიმ ლეინი აუცილებლად მიიჩნევს. მეტიც, ნაკრებს რამდენიმე ვეტერანი მორაგბეც დაუბრუნდება. მაგალითად, „ტულონის" მესამეხაზელი გია ლაბაძე, „კასტრის" პირველხაზელი აქვსენტი გიორგაძე, შუამარბი თედო ზიბზიბაძე, რომელიც ამჟამად „პერიგოში" ირჯება. ფულ ბეკის პოზიციაზე გაისინჯება გერმანიაში მოთამაშე თემურ სოხაძე, რომელმაც გასული სეზონი კრასნოიარსკის „კრასნი იარში" გაატარა.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ცვლილებები განხორციელდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შტაბშიც.**

- დიახ, სამწუხაროდ ფინანსური სიძნელეების გამო, რომელიც რაგბის კავშირში შეიქმნა, იძულებულნი გავხდით ლევან ცაბაძისა და ვიქტორ დიდებულიძის სამსახურზე დროებით უარი გვეთქვა. მათ მადლობა მინდა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. როგორც კი მდგომარეობა გამოსწორდება, მათთვის ნაკრების კარი ღიაა. ვფიქრობ, ისინი ამ დროს სასარგებლოდ გამოიყენებენ, ისწავლიან, კვალიფიკაციას აიმაღლებენ. მათთან არანაირი პრეტენზია არ გვაქვს.

**- ფინანსური სიძნელეები ახსენეთ. ხომ ვერ გვიამბობთ კონკრეტულად რა არის ამის მიზეზი?**

- საყოველთაო ფინანსური კრიზისის გამო ჩვენ სპონსორებს პრობლემები შეექმნათ და ველარ გვეხმარებიან. დღეისათვის მხოლოდ სახელმწიფო პროგრამა სრულდება. რაც ძირითადად ნაკრები გუნდების ფინანსურ უზრუნველყოფას მოიცავს. ჩვენი წილი პროექტრები კი შეჩერებულია. მძიმე მდგომარეობაშია რაგბის კავშირის ოფისი, ვერ ვასრულებთ მთელ რიგ ვალდებულებებს. იმედი მაქვს უახლოეს მომავალში ისინი დაძლევენ სიძნელეებს და ისევ ჩადგებიან ქართული რაგბის სამსახურში. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ სხვა სპონსორების მოზიდვასაც შევძლებთ.

**- წლეულს ეროვნულის გარდა სამ ასაკობრივ ნაკრებს მოუწევს ქვეყნის ღირსების დაცვა სხვადასხვა რანგის ტურნირებზე.**

- დიახ, ასეა. თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა, რომელსაც გამოცდილი მწვრთნელები პაატა ნარიმანაშვილი და დავით ჩავლეიშვილი ხელმძღვანელობენ, მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის უკვე დაიწყო. მათ შეკრება ბაკურიანში გაიარეს და ახლა თბილისში განაგრძობენ მზადებას. თვრამეტწლამდელებს საკმაოდ სერიოზული ამოცანის გადაჭრა მოუწევთ. ფაქტობრივად ეს ერთადერთი ნაკრებია, რომელიც დღემდე ელიტაში ასპარეზობს. ამ გუნდის მიზანია ხუთეულში დაიკავოს ადგილი.

ასევე მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ ცხრამეტწლამდელებს, რომელსაც ლევან მაისაშვილი წვრთნის. ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე თამაში რუმინეთში უწევთ. ცხადია, მთავარი კონკურენტებიც სწორედ მასპინძლები იქნებიან. არადა, მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირზე, მომავალ წელს, მხოლოდ ერთი გუნდი გადის.

რუმინეთში, ქალაქ კონსტანცაში იასპარეზებენ ჩვიდმეტწლამდელები. აქვე გაიმართება სემინარიც, რომელსაც ყოველწლიურად რაგბის განვითარების ქართველი ოფიცერი გია ჭუმბურიძე ატარებს. მადრიდში ევროპის ჩემპიონატზე პირველად იასპარეზებს საქართველოს ოცდაერთწლამდელთა ნაკრები. ამგუნდის დამრიგებელი ნიკო ჭავჭავაძე იქნება. ამასთან, დუბაიში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს მარტის დასაწყისში საქართველოს შვიდკაცა ნაკრები.

**- ხომ არ არის რაიმე სიახლეები ეროვნული ჩემპიონატის გამართვის სტრუქტურაში?**

- ცვლილებები არის და საკმაოდ მნიშვნელოვანიც. წლეულს ჩვენ, უმაღლესი ლიგის გათამაშების პარალელურად ჩავატარებთ დუბლ შემადგენლობების ტურნირსაც. გათამაშებაში „ლელოს", „ლოკომოტივის", „ყოჩებისა" და ბათუმის „ელიტის" მეორე გინდები იასპარეზებენ. შეხვედრები ოთხ წრედ გაიმართება. ეს ტურნირი ექსპერიმენტულია და მომავალი სეზონიდან მასში „აკადემიის", „უნივერსიტეტის", ქუთაისის „აიას" და რუსთავის „ხარების" დუბლ შემადგენლობებიც ჩაერთვებიან.

რვა გუნდი იასპარეზებს პირველ ლიგაში. გაიზარდა მონაწილე გუნდების გეოგრაფია. პირველად კაცთა შორის ითამაშებენ ფოთისა და ოზურგეთის გუნდები. კიდევ ერთ გუნდს გამოიყვანს ქუთაისი, რომელსაც „ბაგრატი" დაარქვეს. დანარჩენი ხუთი კი თბილისიდან იქნებია - „არმაზი", „დინამო", „ხულიგანა", TBC და „დევები". თუ 2010 წელს გამოჩნდებიან გუნდები, რომლებიც პირველ ლიგაში თამაშის სურვილს გამოთქვამენ, მაშინ მათ შორის გაიმართება ტურნირი. საიდანაც პირველი ორი პირველ ლიგასი ხელმოცარულების ადგილს დაიკავებს. 2011 წლისთვის კი, სავარაუდოდ, გუნდების რაოდენობა იმდენი იქნება, რომ რეგიონალური ჩემპიონატის გათამაშებასაც შევძლებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# საჩემპიონო ბრძოლა კითხვის ნიშნებით იწყება

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში ოფიციალურად გაიხსნა წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის. ორივე ტურნირი ერთდროულად დაიწყება და პარარელურად გაივლის დისტანციას, თუმცა იმის გამო, რომ ვაჟები თოთხმეტნი არიან, ხოლო ქალბატონები - თორმეტი და გათამაშების ფორმულა ორივე ტურნირისთვის ერთია - წრიული სისტემა. ქალთა ტურნირი უფრო ადრე დასრულდება. გახსნის ცერემონიალი და კენჭისყრა ჭადრაკის სასახლის მთავარ დარბაზში გაიმართა. იქვე შეერკინებიან ერთმანეთს რჩეული მოჭადრაკეები. ვიდრე მონაწილეებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ გახსნაზე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი** და ვიცე-პრეზიდენტი **დავით გობეჯიშვილიც** მობრძანდნენ. საპატიო სტუმრის სტატუსით მოიწვიეს **ემზარ ზენაიშვილი, ნანა ალექსანდრია, თამაზ გიორგაძე** და **ნინო გურიელი.** ბატონმა გია ნაცვლიშვილმა სიტყვითაც მიმართა დამსწრეთ და საკმაოდ სასიამოვნო ინფორმაციაც მოგვაწოდა: წლეულს, თებერვლიდან ფ გაიხსნება ქალთა საჭადრაკო კლუბი „სამაია", რომელსაც სრულად დააფინანსებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი და ამ მიზნით ასი ათას ლარს გამოყოფს. გუნდის წევრებად, სავარაუდოდ, ოლიმპიური ნაკრების ოქროს შემადგენლობა მოიაზრება - **მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი.** თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სხვა შემადგენლობაც ვიხილოთ - ეს პრეროგატივა კლუბის ხელმძღვანელებისაა და შესაძლოა, სხვა არჩევანი გაკეთდეს.

ინიციატივა მშვენიერია, მაგრამ გამოთქვა აზრი,რომ არ უნდა იყოს უგულებელყოფილი და უყურადღებოდ მიტოვებული ვაჟთა ჭადრაკიც. ფედერაციის პრეზიდენტ **გიორგი გიორგაძის** განმარტებით, მთელი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან თანაბრად დაიხარჯება თანხები, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ჭადრაკის განვითარებისთვის.

სიტყვით გამოვიდნენ ნანა ალექსანდრია და ნინო გურიელი. ისინი ერთიანი იყვნენ პათოსშიც, რომ ქალთა ტურნირში **ნონა გაფრინდაშვილის** მონაწილეობა ბევრად აამაღლებს ტურნირის პრესტიჟს. თამაზ გიორგაძემ ვარაუდი გამოთქვა, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მინიმუმ ქულათა 50 პროცენტს მოიპოვებს.

ტურნირი ისედაც საინტერესო რომ იქნება, შემადგენლობების ხილვის შემდეგაც დარწმუნდება მკითხველი, თუმცა რამდენიმე ძლიერმა მოჭადრაკემ უარი განაცხადა თამაშზე. ამჯერად მიზეზებზე არ შევჩერდებით, მაგრამ დიდი ნაწილი განაწყენებულის პოზიციიდან ამბობს უარს და ამაზე დაფიქრება მართებს ფედერაციის ხელმძღვანელობას.

ქალთა შორის ასეთმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: 1. **მაია ლომინეიშვილი**(2437); 2. **სალომე მელია**(2422); 3. **ნინო ხურციძე**(2421); 4. **სოფიკო ხუხაშვილი**(2416); 5. **სოფიო გვეტაძე**(2377); 6. ნონა გაფრინდაშვილი(2350); 7. **მირანდა მიქაძე**(2287); 8. **სოფიკო გურამიშვილი**(2281); 9. **ნაზი პაიკიძე**(2280); 10. **მერი არაბიძე**(2246); 11. **ქეთი ნანალაშვილი**(2231); 12. **მარიამ დანელია**(2219).

ვაჟები: 1. **მიხეილ მჭედლიშვილი** (2619); 2. **დავით არუთინიანი** (2586); 3. **მერაბ გაგუნაშვილი** (2585); 4. **ლევან ფანცულაია** (2584); 5. **თორნიკე სანიკიძე** (2522); 6. **კონსტანტინე შანავა** (2508); 7. **გიორგი ბალათუროვი** (2492); 8. **დავით მალალაშვილი** (2492); 9. **გიორგი მარგველაშვილი** (2484); 10. **გაიოზ ნიგალიძე** (2458); 11. **დავით ბენიძე**(2423); 12. **შოთა აზალაძე** (2402); 13. **ლევან ბრეგაძე** (2394); 14. **ინგა ჭარხალაშვილი** (2337).

როგორც ხედავთ, ვაჟებში ერთი ქალბატონიცაა - ინგა ჭარხალაშვილი. ინგას ქალთა შორისაც შეეძლო გამოსვლა, მაგრამ ამჯერად ვაჟებთან გაჯიბრება არჩია და მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგით აუტსაიდერია, წარმატების ბევრად მეტი შანსი აქვს...

ორიოდ სიტყვით დებულებაზეც მოგახსენებთ. ტურნირი გამოსარჩევია იმითაც, რომ საპრიზო ფონდი 10 ათასი ლარია. პირველ სამ ადგილზე გასულნი კი, ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატისთვის დამატებით სრულად დაფინანსდებიან. მოსაფიქრებლად მოჭადრაკეებს მთელ პარტიაზე 90 წუთი ეძლევათ, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ქულათა თანაბრობის შემთხვევაში, ადგილები განაწილდება ბერგერის კოეფიციენტით.

როგორც ბოლო წლების ტრადიციად დამკვიდრდა, საქრთველოს ჩემპიონატში წარმატებულებს ქვეყნის ნაკრებ გუნდში მოხვედრის შანსი ეძლეოდათ. ზოგჯერ ამ უფლებას ერთი - მხოლოდ ჩემპონი ილებდა, ზოჯერ - რამდენიმე... ის, რომ ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვებული ნაკრებში უნდა მოხვდეს, ალბათ სადავო არ უნდა იყოს. ფედერაციამ ვაჟებში გამარჯვებულს ეს უფლება მიანიჭა, მაგრამ გაუგებარია, ასეთივე უფლებას რატომ არ აძლევენ ქალთა შორის უპირველესს, - საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი მხოლოდ ნომერ პირველ პრეტენდენტად ჩაითვლება. საინტერესოა, რა არგუმენტებითაა გამყარებული ფედერაციის გამგეობის მხარდაჭერით მიღებული ეს გადაწყვეტილება. დებულება გვამცნობს, რომ ქალთა გუნდში ადგილი დაბევებული აქვთ **მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ძაგნიძეს** და **ლელა ჯავახიშვილს**. კეთილი და პატიოსანი - ესენი ძლიერი მოჭადრაკეები არიან და საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდვეს, მაგრამ არცერთი მათგანი ჩემპიონატში არ თამაშობს, რაც საკმაოდ დიდი პრივილეგიაა. ცხადია, ფედერაციას სჯერა, რომ ისინი კვლავაც მაღა დონეზე ითამაშებენ, მაგრამ საკითხავია და უცნაურიც რატომ არ ეიმედებათ მაია ლომინეიშვილის და სოფიკო ხუხაშვილის, რომლებმაც ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ნაკრების გამარჯვებაში. გარდა ამისა, ჯერაც ახალგაზრდაა ნინო ხურციძე და უდიდეს სანაკრებო გამოცდილება გააჩნია. მართალია, ნინოს ბოლო დროს ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ ძველებურად ათამაშდეს და ერთ-ერთ უმთავრეს ძალად იქცეს ნაკრებისთვის. სანაკრებოდ „გახაზირებული" არიან სხვებიც - უპირველესად სალომე მელია, რომელიც მეორეა რეიტინგით ამ ტურნირში და სტაბილურობითაც გამოირჩევა; ასევე პრეტენზია ექნება სოფიო გვეტაძეს და არც ახალგაზრდა თაობის - 15-20 წლის გოგნების ჩამოწერა ივარგებდა... სხვათა შორის, ასეთი ახალგაზრდული ჩემპიონატი ალბათ არ ახსოვს საქართველოს - მოჭადრაკეთა საშუალო ასაკი 23 წელია; რომ არა ნონა გაფრინდაშილის დასტური, საშუალო ასაკი კიდევ მეტად დაიწევდა. ვაჟთა შორისაც არნახულად ბევრი ახალგაზრდა იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, - აქ საშუალო ასაკი 33,3 წელია. უხუცესი გიორგი ბალათუროვია, რომელიც მალე 45 წლის გახდება. ქალთა შორის უმრწემესი მარიამ დანელია და მერი არაბიძე არიან - ორივეს წლეულს შეუსრულდება 15 წელი. ვაჟებში კი ამ „ტიტულის" მფლობელი ლევან ბრეგაძეა, რომელსაც 17 წელი ჯერაც არ შესრულებია...

ახლა პირველი ტურის კენჭისყრასაც გაგაცნობთ. გოგონები ასე დაწყვილდნენ: **მაია ლომინეიშვილი - სოფიკო ხუხაშვილი; სალომე მელია - ქეთი ნანალაშვილი; ნონა გაფრინდაშვილი - ნინო ხურციძე; სოფიკო გურამიშვილი - სოფიო გვეტაძე; მერი არაბიძე - მირანდა მიქაძე; ნაზი პაიკიძე - მარიამ დანელია.**

ვაჟები: **ლევან ფანცულაია - გაიოზ ნიგალიძე; მიხეილ მჭედლიშვილი - დავით არუთინიანი; კონსტანტინე შანავა - გიორგი მარგველაშვილი; დავით მალალაშვილი - მერაბ გაგუნაშვილი; ინგა ჭარხალაშვილი - გიორგი ბალათუროვი; ლევან ბრეგაძე - თორნიკე სანიკიძე; დავით ბენიძე - შოთა აზალაძე.**

ყოველი ტური 12 საათზე დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

### ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. X ტური

**A ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი–ლე მანი 68:78**

12:15, 19:15, 13:25, 24:23

ო: ჰალპერინი (15+6 ჩაჭრა), ლ. გრირი (15).

ლ-მ: სპენსერი (20), კოფი (15+13 მოხსნა).

**აველინო–ციბონა 79:75**

13:18, 28:18, 12:15, 26:24

ა: დინერი (20+8 მოხსნა), ე. უილიამსი (14+7 მოხსნა), უორენი (12+7 მოხსნა+4 პასი+3 ჩაჭრა), სლეი (10).

ც: კელოუეი (20+9 მოხსნა), პრკაჩინი (17), ა. ანდერსენი (14).

**უნიკახა–მაკაბი 92:69**

27:14, 18:22, 25:19, 22:14

უ: ნდონგი (15+5 დაფარება), კაბესასი (12+4 ჩაჭრა), ჰაისლიპი (12), ველში (11), კელატი (11).

მ: მ. ბრაუნი (13), კასპი (13), ელიაჰუ (10), სიმონსი (10).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. უნიკახა* | 8/2 | 73 |
| 2. ოლიმპიაკოსი* | 6/4 | 67 |
| 3. მაკაბი* | 6/4 | 4 |
| 4. ციბონა* | 5/5 | -12 |
| 5. აველინო | 3/7 | -60 |
| 6. ლე მანი | 2/8 | -72 |

**B ჯგუფი**

**ნანსი–მონტეპასკი 79:103**

19:26, 14:25, 20:30, 26:22

ნ: ჯ. გრირი (18), ჯულიანი (15), რ. გრირი (9+6 პასი+4 ჩაჭრა).

მ: მაკდონალდი (15), სტოუნრუკი (15+7 მოხსნა), დომერკანტი (13), კ. ლავრინოვიჩი (13), მაკინტაირი (12+11 პასი+3 ჩაჭრა), სატო (12), რესი (10).

**პანათინაიკოსი–პროკომი 75:53**

14:10, 20:17, 19:8, 22:18

პ: იასიკიავიჩუსი (14), ფოცისი (13+8 მოხსნა), შაკოტა (13).

პ: დილევიჩი (19).

**ბარსელონა–ჟალგირისი 90:68**

19:21, 25:18, 27:10, 19:19

ბ: გრიმაუ (18), ნავარო (16), ფ. ვასკესი (10), სატიაგო (10).

ჟ: სალენგა (16), მაჩიულისი (15).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ბარსელონა* | 9/1 | 163 |
| 2. მონტეპასკი* | 8/2 | 85 |
| 3. პანათინაიკოსი* | 7/3 | 56 |
| 4. პროკომი* | 2/8 | -59 |
| 5. ჟალგირისი | 2/8 | -96 |
| 6. ნანსი | 2/8 | -149 |

**C ჯგუფი**

**ტაუგრესი–ხუვენტუდი 91:83**

21:24, 21:27, 29:11, 20:21

ტ: რაკოჩევიჩი (19), სპლიტერი (18+8 მოხსნა+3 დაფარება), შაქური (18), მიკელი (13), ვიდალი (12).

ხ: ბოგდანოვიჩი (13), იაგლა (12), ერნანდეს-სონსეკა (12), მალეტი (11), რიბასი (10).

"ტაუგრესის" სერბმა მცველმა **იგორ რაკოჩევიჩმა** ევროლიგის რეკორდი დაამყარა ზედიზედ ზუსტად შესრულებული საჯარიმოების რაოდენობით. "ხუვენტუდთან" მატჩში რაკოჩევიჩმა ეს სერია 58 ზუსტ ტყორცნამდე აიყვანა და ამ ზღვარზე შეჩერდა.

წინა რეკორდი ამჟამად საბერძნეთის "პანათინაიკოსში" მოთამაშე ლიტველ **შარუნას იასიკიავიჩუსს** ეკუთვნის, რომელმაც გასულ სეზონში ზედიზედ 48 ჯარიმა შეასრულა ზუსტად.



**ფენერბაჰჩე–რომა 90:86 (ო)**

16:15, 20:16, 16:24, 20:17, 18:14

ფ: სავაში (27+9 მოხსნა+3 პასი), მრშიჩი (18), ონანი (17), დ. სმიტი (11).

რ: ბეჩიროვიჩი (24+3 ჩაჭრა), ჰათსონი (18+10 მოხსნა), ბრეეცი (10), დე ლა ფუენტე (10+7 მოხსნა).

**ალბა–ოლიმპია 59:67**

16:13, 14:18, 15:16, 14:20

ა: მაკილროი (13), ჩუბი (12).

ო: გოლუბოვიჩი (21+8 მოხსნა), ჟუჟანი (14).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ტაუგრესი* | 8/2 | 108 |
| 2. რომა* | 6/4 | 28 |
| 3. ფენერბაჰჩე* | 6/4 | 24 |
| 4. ალბა* | 4/6 | -57 |
| 5. ხუვენტუდი | 4/6 | -10 |
| 6. ოლიმპია | 2/8 | -93 |

**D ჯგუფი**

**რეალი–ეფესი 80:69**

16:16, 19:11, 23:16, 22:26

რ: რეიესი (16), მესი (15+11 მოხსნა), მუმბრუ (12), ჰოსლი (11).

ე: ტორნტონი (15+8 პასი), გიუნლუმი (13+7 მოხსნა).

**პანიონიოსი–მილანი 77:87**

19:21, 23:21, 16:19, 19:26

პ: ლ. ბაქსტერი (19+9 მოხსნა), ზოროსკი (14), ცვეტკოვიჩი (13), რაიჩევიჩი (10).

მ: ვიტალი (32), ჰოუკინსი (17), ჯ. ტომასი (12).

**ცსკა–პარტიზანი 63:66**

14:18, 15:12, 16:13, 18:23

ც: ე. ლორბეკი (23+9 მოხსნა), შიშკაუსკასი (12).

პ: ტეპიჩი (13+8 მოხსნა), რაშიჩი (13+5 პასი), ლასმე (11), ვრანიეში (6+11 მოხსნა).

| | მ/წ | სხვ |
|---|---|---|
| 1. ცსკა* | 7/3 | 130 |
| 2. რეალი* | 6/4 | 33 |
| 3. მილანი* | 5/5 | -11 |
| 4. პარტიზანი* | 5/5 | 19 |
| 5. ეფესი | 4/6 | -49 |
| 5. პანიონიოსი | 3/7 | -122 |

**ტურის მოთამაშე**

ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის საუკეთესო მოთამაშედ თურქეთის "ფენერბაჰჩეს" ცენტრი **ოგიუზ სამაში** გახდა. "რომასთან" შეხვედრაში თურქულმა კლუბმა ოვერტაიმში გაიმარჯვა - 90:86. სავაშმა 27 ქულა (თამაშიდან 10-დან 7 ზუსტი ტყორცნა, ჯარიმები - 15-დან 12), 9 მოხსნა, 3 შედეგიანი პასი და ერთი დაფარება დააგროვა. ამან 21 წლის კალათბურთელს 41 ჩასათვლელი ქულა მოუტანა.

მეორე ადგილზე ტურის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი **ლუკა ვიტალი** გავიდა. მილანელმა "პანიონიოსთან" გასვლით შეხვედრაში 32 ქულა დააგროვა და თავის გუნდს 87:77 გაამარჯვებინა, რამაც "მილანს" მეორე ეტაპის საგზური მოუტანა.

ბოლო ტურში MVP-ის ტიტულზე კიდევ სამი კალათბურთელი აცხადებდა პრეტენზიას. სხვათა შორის, სამივე ცენტრალური თავდამსხმელია - **ტიაგო სპლიტერი** ("ტაუგრესი"), **ლონი ბაქსტერი** ("პანიონიოსი") და **ვალდიმირ გოლუბოვიჩი** ("ოლიმპია").

**სტატისტიკური ლიდერები**

| ქულები | |
|---|---|
| 1. ბეჩიროვიჩი (რომა) | 22.00 |
| 2. ფიშერი (მაკაბი) | 21.78 |
| 3. სპლიტერი (ტაუგრესი) | 20.67 |
| 4. რაკოჩევიჩი (ტაუგრესი) | 20.30 |
| 5. ვუდსი (ჟალგირისი) | 20.25 |

| მოხსნები | |
|---|---|
| 1. ვუდსი (ჟალგირისი) | 9.00 |
| 2. თურქჩანი (ფენერბაჰჩე) | 8.33 |
| 3. იანკუნასი (ჟალგირისი) | 8.00 |
| 4. ბურუსისი (ოლიმპიაკოსი) | 7.80 |
| 5. კოფი (ლე მანი) | 7.70 |

| პასები | |
|---|---|
| 1. პაპალუკასი (ოლიმპიაკოსი) | 5.00 |
| 2. კუკი (უნიკახა) | 4.90 |
| 3. მაკინტაირი (მონტეპასკი) | 4.60 |
| 4. მალეტი (ხუვენტუდი) | 4.56 |
| 5. აროიო (მაკაბი) | 4.22 |

| ჩაჭრები | |
|---|---|
| 1. პრიჯიონი (ტაუგრესი) | 2.20 |
| 2. სმიტი (ეფესი) | 2.20 |
| 3. მაკინტაირი (მონტეპასკი) | 2.20 |
| 4. ლოგანი (პროკომი) | 2.11 |
| 5. ჟააბერი (რომა) | 2.10 |

| დაფარებები | |
|---|---|
| 1. ვუდსი (ჟალგირისი) | 2.38 |
| 2. სპლიტერი (ტაუგრესი) | 1.78 |
| 3. ბეგიჩი (ოლიმპია) | 1.70 |
| 4. ლასმე (პარტიზანი) | 1.60 |
| 5. ვასკესი (ბარსელონა) | 1.50 |

# კობი მსოფლიოზეც წავა



"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე აპირებს თამაშს. პლანეტის პირველობა თურქეთში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში, ამერიკის ნაკრები პირდაპირ მოხვდება 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

*"დიდი პატივია ნებისმიერ ტურნირზე საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა. ეს ერთხელ უკვე გავაკეთე პეკინის ოლიმპიადაზე და თუ ნაკრებში კიდევ დამიძახებენ, არც დავფიქრდები, ისე გავემგზავრები მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ"*, - აცხადებს გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელი.

### NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი–პორტლენდი 99:105**

29:27, 21:19, 21:22, 28:37

ნ-ჯ: დ. ჰარისი (23+8 პასი), ბ. ლოპესი (17), ბ. სიმონსი (14), ვ. კარტერი (13+9 მოხსნა), დულინგი (11).

პ: როი (29+8 მოხსნა), ბეილისი (23), ოლდრიჯი (20), აუთლო (13+7 მოხსნა), პრჟიბილა (4+11 მოხსნა).

**ჩიკაგო–კლივლენდი 102:93 (ო)**

18:28, 28:20, 25:23, 16:16, 15:6

ჩ: დენგი (22+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), დ. როუზი (16+6 პასი), ტ. ტომასი (15+7 მოხსნა+4 დაფარება), ჰაინრიხი (12), ნოჩიონი (11), გუდენი (11).

კ: ლ. ჯეიმსი (28+14 მოხსნა+7 პასი), მ. უილიამსი (26), დ. უესტი (11).

**დენვერი–ფინიქსი 119:113 (ო)**

26:35, 30:27, 26:20, 21:21, 16:10

დ: ბილაპსი (26+8 პასი+3 ჩაჭრა), მარტინი (24+8 მოხსნა+7 ჩაჭრა), სმიტი (19+7 პასი), კლეიზა (18), ნენე (17+14 მოხსნა).

ფ: ჰილი (25+8 მოხსნა), სტაუდმაიერი (21+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნეში (20+7 მოხსნა+14 პასი), ჯ. რიჩარდსონი (16), ბარნსი (13).

## ავტოსპორტი. დაკარი 2009

# მატადორის ტრაგედია



"დაკარის" რალი-რეიდის მე-12 ეტაპის მთავარი მოვლენა ავტომობილების კლასში მოხდა. ტრაგედიით დასრულდა ეტაპი საერთო ჩათვლის ლიდერ **კარლოს საინსისთვის**. ლეგენდარული ესპანელი რალისტი ცოცხალია და საღსალამათი დაბრუნდა ბაზაზე, მაგრამ ის, რაც მას დისტანციის 79-ე კილომეტრზე შეემთხვა, სწორედ ტრაგედიად უნდა ჩაითვალოს. საინსის "ფოლკსვაგენი" ხრამში გადავარდა, მანქანა სერიოზულად დაზიანდა, ხოლო კარლოსის თანაშემწემ - შტურმანმა **მიშელ პერენმა** ხელი მოიტეხა. საინსის ეკიპაჟს საერთო ჩათვლაში 27-წუთიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ახლა, ესპანელისთვის წლევანდელი დაკარი დასრულებულია.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ავარია ორგანიზატორების შეცდომით იყო გამოწვეული. რუკის შედგენისას, მათ ინციდენტის ადგილი "სახიფათოდ" მონათლეს, არადა, პერენის სიტყვებით, მისთვის "ექსტრემალურად სახიფათო" სტატუსი უნდა მიენიჭებინათ და შესაბამისად, "ფოლკსვაგენის" ეკიპაჟი უფრო ფრთხილად იქნებოდა. ორგანიზატორების შეცდომაზე ის ფაქტის მიუთითებს, რომ იმავე ადგილას კინაღამ ხრამში გადაიჩეხნენ **ხუან ნანი რომა** და **ლეონიდ ნოვიცკი** - მათ დროულად მოასწრეს დამუხრუჭება.

საინსის გავარდნით, პირველ რიგში, სამხრეთაფრიკელმა **ჟინიელ დე ვილიერსმა** იხეირა. ის მე-12 ეტაპზე პირველი მივიდა ფინიშთან და ხელთ იგდო საერთო ჩათვლაში ლიდერობა. "ფოლკსვაგენით" მოასპარეზე დე ვილიერსი უახლოეს მდევარს, ამერიკელ **მარკ მილერს** 16 წუთს უგებს, ფინიშამდე კი ორი ეტაპია დარჩენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი "დაკარი" აშკარად არ სწყალობს ფავორიტებს: საინსი, **მაცუოკა, პეტერანსელი** და **ალფანი** ბრძოლას გამოეთიშნენ, **ალ იტიიამ** დისკვალიფიკაცია მიიღო, ხოლო **შიშერიმ** პირველივე დღეს დაკარგა პირველობის შანსი.

სამაგიეროდ, ყველაფერი კანონზომიერად მიმდინარეობს მოტოციკლების კლასში, სადაც მშვიდად და ყოველგვარი რისკის გარეშე მიიწევს გამარჯვებისკენ ესპანელი **მარკ კომა**. მე-12 ეტაპზე ის პირველობისთვის ებრძოდა ფრანგ **სირილ დესპრეს**, მაგრამ ბოლოს არ გარისკა და მოწინააღმდეგეს ეტაპი მოაგებინა. დესპრემ ამ წარმატების წყალობით, საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა კომასთან ძალიან ბევრს - საათსა და 29 წუთს აგებს.

■ ■ ■

"დაკარის" რალს კიდევ ერთი უსიამოვნო მომენტი უკავშირდება. ესპანელი მოტომრბოლი **კრისტობალ გერერო** მე-10 ეტაპზე მომხდარი ავარიის გამო ჯერაც კომაშია.

როგორც რბოლის ორგანიზატორები აცხადებენ, ესპანელი მოტოციკლიდან დისტანციის 160-ე კილომეტრზე ჩამოვარდა, რის შემდეგაც ვერტმფრენით სასწრაფოდ გადაიყვანეს ჩილეს ქალაქ კოპიაპოს საავადმყოფოში.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელმა რალი-რეიდმა უკვე იმსხვერპლა ერთი მოტომრბოლის სიცოცხლე. სამდღიანი ძებნის შემდეგ, ფრანგი **პასკალ ტერი** 7 იანვარს გარდაცვლილი იპოვეს.

**XII ეტაპი**

**ფიამბალა–ლა რიოხა. 502 კმ**

**ავტომობილები**

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - 4:06.43; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +16.17; 3. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +25.27; 4. **დეპინგი** (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +42.02; 5. **ნოვიცკი** (რუსეთი, BMW X3 CC) - +55.25; 6. **ტოლეფსენი** (ნორვეგია, NISSAN NAVARA) - +1:15.16.

**მოტოციკლები**

1. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - 3:57.37; 2. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1.23; 3. **ფარეს გელი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +9.47; 4. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +9.51; 5. **ლოპესი** (ჩილეთი, KTM 690 RALLYE) - +10.16; 6. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +10.28.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - 43:46.58; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +2.35; 3. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:18.52; 4. **ტოლეფსენი** (ნორვეგია, NISSAN NAVARA) - +5:48.21; 5. **ჰოლოვჩიკი** (პოლონეთი, NISSAN NAVARA) - +6:44.42; 6. **დეპინგი** (გერმანია, VOLKSWAGEN TOUAREG) - +8:33.23.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 47:51.30; 2. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:29.48; 3. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +1:33.55; 4. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +2:16.13; 5. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - +2:24.04; 6. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +2:24.07.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. პრეზენტაცია

# მაკლარენი: ახალი ბოლიდითა და ახალი ბოსით




"მაკლარენმა" ახალი ბოლიდი გუშინ, უოკინგის ბაზაზე წარმოადგინა. მას შემდეგ, რაც გუნდის ძირითადმა პილოტებმა **ლუის ჰემილტონმა** და **ჰეიკი კოვალაინენმა** დამცავი შალითა მოხსნეს ახალ MP4-24-ს, პრეზენტაციის ოფიციალური ცერემონია ბრიტანული საჯინიბოს ბოსმა **რონ დენისმა** გახსნა:

*"ჩვენ შევეცადეთ შეგვექმნა სწრაფი და ლამაზი მანქანა. ბოლიდი კარგად გამოიყურება და სავარაუდოდ, ის ტრასაზეც სწრაფი უნდა იყოს. დღეს თქვენ ხედავთ სპეციალისტთა დიდი ჯგუფის დაძაბული სამუშაოს შედეგს. ეს აბსოლუტურად მუშა მანქანაა, რომელიც ტესტებში მიიღებს მონაწილეობას. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად ეფექტურად გამოვიყენოთ, რადგან ჩასატარებელმა სამუშაომ მთელ სეზონს უნდა ჩაუყაროს საფუძველი".*

სხვათა შორის, ახალ სეზონს "მაკლარენი" ახალი ხელმძღვანელით დაიწყებს. პრეზენტაციაზე დენისმა თავისი პოსტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა - რონი McLaren Group-ს ჩაუდგება სათავეში, 2009 წლის 1 მარტიდან კი საჯინიბოს აღმასრულებელი დირექტორი **მარტინ უიტმარში** გახდება.

"მაკლარენის" ახალი ბოლიდი წინამორბედებისგან "საგვარეულო" თვისებებს ინარჩუნებს და მაინც, შესამჩნევად განსხვავდება წინა მოდელებისგან. ეს ორი ძირითადი მიზეზით არის განპირობებული: განახლებული აეროდინამიკითა და კინეტიკური ენერგიის რეკუპერაციის სისტემის (KERS) შემოღებით.

*"ახალი მანქანის გამოჩენა - ნებისმიერი პილოტისთვის ამაღელვებელი მომენტია, ხოლო MP4-24-ის დებიუტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან მასზე საჩემპიონო "ერთიანია" მიწერილი. რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, სეზონი ძნელად პროგნოზირებადი იქნება, მაგრამ ეს ფორმულა 1-ის ყველა გულშემატკივრისთვის კარგი მომენტია. პირადად მე კიდევ ერთ წარმატებულ წელს ველოდები და ისევ ვაპირებ ტიტულისთვის ბრძოლას"*, - განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი — NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ბოსტონი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სავარი-15 (კობესიუ-14, მ. სტიუარტი-4), 0:2 სენტ პიერი-2 (სობოტკა-2, შ. ტორნტონი-4), 1:2 გერინი-14 (კამპოლი-9, კომრი-8).

**კაროლინა-ტორონტო 4:6**

0:1, 1:3, 3:2

**გოლები:** 0:1 ი. უაიტი-6 (ჯ. ბლეიკი-15), 0:2 ჯ. ბლეიკი-11 (ტლუსტი-1, ტ. კაბერლე-24), 0:3 ჰაგმანი-12 (ანტროპოვი-21), 0:4 ჯ. ბლეიკი-12 (მური-14, ტლუსტი-2), 1:4 კულენი-10 (ბაბჩუკი-6, ს. უოკერი-9), 2:4 ტ. რუუტუ-13 (ე. სტაალი-15, საიდენბერგი-14), 3:4 ე. სტაალი-19 (კორვო-13, რეი უიტნი-23), 4:4 ს. უოკერი-3 (რეი უიტნი-24, კულენი-5), 4:5 ტ. კაბერლე-4 (კუბინა-13, ჯ. ბლეიკი-16), 4:6 ჯ. ბლეიკი-13 (ტლუსტი-3).

**მონრეალი-ნეშვილი 3:2**

1:0, 1:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ლატენდრესი-8 (გორჯესი-8, ლაპიერი-6), 1:1 დუმონი-8 (კლეინი-3), 2:1 ა. კოსტიცინი-15 (მარკოვი-27, ლანგი-17), 3:1 მარკოვი-7 (კომისარეკი-4, ლანგი-18), 4:1 ფიდლერი-7 (კოისტინენი-6, ტუტუ-5).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 4:1**

0:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლუპული-15 (ჯ. კარტერი-19, მ. კარლი-9), 1:1 სენტ ლუისი-17 (სტემკოსი-12, რეკი-17), 2:1 მეზაროში-2 (მელოუნი-12, რეკი-18), 3:1 კრეიგი-2 (პეტინგერი-3, ჰოლი-4), 4:1 ლეკავალიე-18 (ბულიტი).

**მინესოტა-ედმონტონი 5:1**

2:1, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 კოლანოსი-3 (მიეტინენი-20), 1:1 რედო-3 (პენერი-10, გრებეშკოვი-16), 2:1 კლატერბუკი-6 (შეპარდი-7, ბუშარი-14), 3:1 ბუშარი-8, 4:1 ბერნსი-7 (მ. კოივუ-29, ვეილო-5), 5:1 ბელანჟე-9 (ბრუნეტი-13, ბუშარი-15).

**სტ. ლუისი-კოლორადო 5:2**

1:0, 1:0, 3:2

**გოლები:** 1:0 ბერგლუნდი-14 (პერონი-23, ოში-5), 2:0 იანსენი-1 (უიტფიდი-1, ჰინოტი-1), 3:0 ბოიესი-20 (კოლაიაკოვო-9, პერონი-24), 3:1 მაკლეოდი-9 (არნასონი-11, უისლი-2), 3:2 ჰეიდუკი-14 (რ. სმიტი-18, ვოლსკი-15), 4:2 ოში-5 (ვინჩესტერი-2), 5:2 ბეკსი-14 (ოში-6).

**დალასი-ბაფალო 4:5 (ბ)**

2:0, 1:1, 1:3, 0:0

**გოლები:** 1:0 ნისკანენი-4 (ლეჰტინენი-6, ოტი-7), 2:0 ოტი-5 (მოდანო-14, ტურკო-3), 3:0 დელეი-5, 3:1 გოსტადი-5 (რივე-6, სტეფორდი-17), 3:2 ჰეხტი-5 (დ. როი-25, პომინვილი-20), 4:2 ბ. რიჩარდსი-11 (გროსმანი-4, ლუნდკვისტი-4), 4:3 გოსტადი-6 (სტეფორდი-18, კოტალიკი-13), 4:4 მაკარტური-12 (შპაჩეკი-21, პომინვიდი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ლეჰტინენი (დალასი), დ. როი (ბაფალო), პომინვილი (ბაფალო).

**ვანკუვერი-ფინიქსი 1:4**

0:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ლინდსტრიომი-6 (რაინპრეხტი-16, დოუნი-25), 0:2 ლინდსტრიომი-7 (იენდლი-15, დოუნი-26), 0:3 იენდლი-2 (ჰანჟალი-12, ფედორუკი-3), 0:4 მიულერი-10 (ტარისი-8), 1:4 დ. სედინი-22.

**ლოს ანჯელესი-დეტროიტი 0:4**

0:2, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 მიოლტბი-4 (დრეიპერი-4), 0:2 ფრანცენი-20 (ზეტერბერგი-24, ჰუდლერი-19), 0:3 სამუელსონი-11 (ჰუდლერი-20, ფილპულა-14), 0:4 დრეიპერი-3 (კოპეცკი-6, მიოლტბი-5).

**სან ხოსე-კალგარი 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ქლოუ-19 (ბოილი-23, პაველსკი-18), 1:1 კონროი-6 (მოსი-8, ა. ოკუანი-11), 2:1 ჯ. ტორნტონი-12 (სეტოგუჩი-23, ბოილი-24), 2:2 ლენგკოუ-16 (კამალერი-22, იგინლა-30), 2:3 ფანოფი-4 (ლენგკოუ-21, რ. ბურკი-15).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ლევერკუზენი-ფრანქფურტი | 6:0 |
| ჰანოვერი-აუგსბურგი | 2:1 |
| იანგ ბოიზი-ვინტერტური | 3:1 |
| გრასჰოპერსი-შახტარი | 0:1 |
| კოტბუსი-კაიზერი | 1:2 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ჰარტლპული-ნორთჰემპტონი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ტორკი-რექსჰემი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ლივორნო-ასკოლი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-რეიმსი | 2:1 |
| ანჟერსი-ბასტია | 2:0 |
| კლერმონი-ბრესტი | 2:0 |
| გინგამი-ბულონი | 3:0 |
| ნიმი-სედანი | 2:1 |
| ამიენი-მონპელიე | 2:0 |
| ტური-მეცი | 1:4 |
| სტრასბური-დიჟონი | გადაიდო |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდორნი-ვაალვიკი | 2:2 |
| დენ ბოში-ექსელსიორი | 0:0 |
| დორდრეჰტი-ტოპ ოსი | 2:0 |
| ეინდჰოვენი A-ტელსტარი | 1:4 |
| ომნივორლდი-ემენი | 1:0 |
| ფორტუნა-ჰელმონდი | 3:1 |
| ჰაარლემი-კამბური | 0:1 |
| ვეენდამი-მაასტრიხტი | 1:0 |
| ვენლო-როსენდალი | 3:1 |
| **ბელგია** | |
| ანდერლეხტი-სერკლი | 1:2 |
| **უელსი** | |
| ძერსოუსი-ჰევერფორდვესტი | 1:0 |
| კარმარტენი-ებერისვითი | 2:1 |
| ნიუი-პრესტატინი | 3:2 |
| უელშპული-ძერნარფონი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 80:62 |
| ლუდვიგსბურ.-სკაილაინერსი | 56:71 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-დიჟონი | 82:61 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| დინამო (რ)-ავანგარდი | 4:4 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ვენა | 3:4 |
| ალბა-ოლიმპია | 3:0 |
| გრაცი-ლინცი | 2:0 |
| ზალცბურგი-ვილახი | 7:1 |
| კლაგენფიურტი-ინსბრუკი | 4:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 5:2 |
| კეჟმაროკი-ზვოლენი | 5:4 |
| კოშიცე-მიკულაში | 4:1 |
| ტრენჩინი-ნიტრა | 3:3 |
| სლოვანი-სკალიცა | 6:4 |
| **გერმანია** | |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 1:1 |
| დუისბურგი-ჰამბურგი | 2:5 |
| კიოლნი-იზერლონი | 1:1 |
| ფრანქფურტი-აისბარენი | 6:3 |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 4:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ნორდსილანდი | 7:3 |
| როდოვრე-ჰერნინგი | 2:4 |
| სინდერიისკი-ტოტემპო | 4:1 |
| ჰერლევი-ესბერგი | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ქლინი-ლიტვინოვი | 4:2 |
| ტრშინეცი-კლადნო | 6:2 |
| ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2:1 |
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 3:3 |
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 2:2 |
| სლავია-ბოლესლავი | 5:7 |
| **შვეიცარია** | |
| ჟენევა-ბილი | 6:1 |
| ლანგნაუ-ლუგანო | 6:1 |
| ფრიბურგი-დავოსი | 3:1 |
| **ხელბურთი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **კაცები** | |
| ხორვატია-ს. კორეა | 27:26 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ოკლენდი** | |
| ფერერი-კუერი | 6:3, 3:6, 6:7 |
| დელ პოტრო-სიოდერლინგი | 6:4, 6:3 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ნალბანდიანი-გასკე | 6:4, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-ნიემინენი | 4:6, 6:7 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| კვიტოვა-ბენეშოვა | 7:5, 6:1 |
| **WTA. სიდნეი** | |
| დემენტიევა-საფინა | 6:3, 2:6, 6:1 |

## TV პროგრამა

### 17 იანვარი. შაბათი

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
08:50 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ლივერპული.
11:10 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბილბაო-ოსასუნა.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
13:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-რასინგი.
15:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:05 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
16:35 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ატლეტიკო.
18:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ინგლისის ჩემპიონატი. პალი-არსენალი (LIVE).
23:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანტი-ბორდო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
05:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანტი-ბორდო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
09:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
11:45 სპორტკლუბი.
12:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-დეტროიტი.
14:35 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. მილანი-ბარსელონა.
16:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ახალი ზელანდია.
17:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
21:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პალი-არსენალი (LIVE).
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
03:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი (LIVE).
09:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
07:15 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. მილანი-ბარსელონა.

**EUROSPORT**

11:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვანკუვერი. კანადა.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
12:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები/კაცები. ვანკუვერი. კანადა.
13:15 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ორადგილიანი. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). ქალები. ავსტრია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სუპერკომბინაცია (სლალომი). ქალები. ავსტრია.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
21:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
22:45 რალი-რეიდი. დაკარი. XIV ეტაპი (LIVE).
23:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS140. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
00:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი. XIV ეტაპი (LIVE).
02:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვანკუვერი. კანადა.
03:15 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. 1/2 ფინალი. ლონდონი.
04:15 რალი-რეიდი. დაკარი. XIV ეტაპი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
13:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. პარალელური მოგული. საფრანგეთი.
14:30 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. კაცები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
17:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:30 სნოუბორდი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ელდა (ესპანეთი).
19:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XV ტური (LIVE).
21:30 ახალი ამბები.
22:00 სნოუბორდი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
22:30 კრივი.
00:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
01:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. HS140. ვანკუვერი. კანადა.
01:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:30 სნოუბორდი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
03:00 ახალი ამბები.

### 18 იანვარი. კვირა

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. პალი-არსენალი.
09:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
15:15 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ნუმანსია.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ფულჰემი (LIVE).
19:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-პორტსმუთი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-სოშო.
03:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ფულჰემი.
05:45 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-დორტმუნდი.
10:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პალი-არსენალი.
12:25 სპორტული პროგრამა.
12:55 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. ბარსელონა-არსენალი.
14:55 ფრენბურთი.
15:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
16:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ბოსტონი.
17:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-ინტერი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ოსასუნა (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო (LIVE).
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევო-ნაპოლი.
03:45 ფეხბურთი. რეტრო-მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. 2005-06. ბარსელონა-არსენალი.
05:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-დეპორტივო.
07:30 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.

**EUROSPORT**

11:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს თასი. რბოლა. ვანკუვერი. კანადა.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. I ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. I ცდა. კაცები. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
14:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია.
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. ქალები. ავსტრია.
15:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
16:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სლალომი. II ცდა. კაცები. ვენგენი. შვეიცარია (LIVE).
17:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. ზაკოპანე. პოლონეთი.
18:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:45 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. ფინალი. ლონდონი (LIVE).
21:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია.
21:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია.
22:00 რალი-რეიდი. დაკარი. მიმოხილვა.
22:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიოს თასი. გუნდური სპრინტი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
00:00 ზამთრის სახეობები. უიქენდის ანონსი.
00:15 სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. ფინალი. ლონდონი (LIVE).
03:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია.
03:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:15 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ქალები. II ცდა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
14:00 სნოუბორდი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
15:00 ახალი ამბები.
15:30 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
16:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ზვეზდა (რუსეთი)-დიორი (უნგრეთი).
17:30 ბოულინგი. მსოფლიოს თასი. კაცები. ფინალი. მექსიკა.
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ნიდეროსტერაიხი (ავსტრია)-ელდა (ესპანეთი).
20:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. ქალები. VI ტური. ვალჩეა (რუმინეთი)-პოდრავკა (ხორვატია) (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. XV ტური.
00:30 ლაკროსი. რეგულარული სეზონი. აშშ.
02:00 კრივი.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკოვიჩმა ცუდად დაიწყო



იმედი ვიქონიოთ, რომ ჯოკოვიჩს ავსტრალიის ღია პირველობაზე "თავისი დღეები" დაუდგება და ტიტულის შესანარჩუნებლად ღირსეულ ბრძოლას გამართავს. ერთი კი აშკარაა, რომ ნოვაკი ჯერ არ არის თავის საუკეთესო ფორმაში.

■ ■ ■

ძალიან ცუდად დაიწყო ახალი სეზონი მსოფლიოს მესამე ჩოგანმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, რომელსაც მომავალი კვირიდან ავსტრალიის ღია პირველობაზე შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუწევს.

ჯოკოვიჩმა ამ სეზონში უკვე მეორე ტურნირი ითამაშა და ამჯერადაც ვერ შეძლო ფინალში გასვლა. წინა კვირას, ბრისბენის ტურნირის პირველ წრეში, "ჯოკერი" სენსაციურად დამარცხდა ლატვიელ **ერნესტ გულბისთან**, არადა, წარმატების შემთხვევაში, რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი **როჯერ ფედერერის** შევიწროება შეეძლო.

ნოვაკს იმავეს გაკეთების შანსი ამ კვირას სიდნეიშიც ჰქონდა. აქ ჯოკოვიჩმა უფრო წარმატებით ითამაშა და ნახევარფინალს მიაღწია, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა კლასიფიკაციაში ერთი ადგილის მოსაგებად.

გუშინ სერბის მეტოქე განუთესავი ფინელი **იარკო ნიემინენი** იყო და ისევე როგორც გულბისთან მატჩში, აქაც ჯოკოვიჩმა სეტის აღება ვერ მოახერხა.

*"ჩემი დღევანდელი თამაშით იმედგაცრუებული ვარ. იარკო ჩემზე უკეთესად გამოიყურებოდა და დამსახურებულად გაიმარჯვა. დღეს ჩემი ფორჰენდი საერთოდ არ მუშაობდა. თავადაც შენიშნავდით, რომ მატჩის გადამწყვეტ მომენტებში ის მარჯვნივ აწოდებდა და მე ვერ ვახერხებდი ბურთის დამუშავებას. ეს არ იყო ჩემი დღე"*, - განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა.

ავსტრალიის ღიას წინ ქალებს შორის ერთი აშკარა ფავორიტი გამოიკვეთა. რუსმა **ელენა დემენტიევამ** ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ მეორე ტურნირი მოიგო. ოკლენდში მოპოვებულ მთავარ პრიზს დემენტიევამ სიდნეიში პირველობაც დაუმატა. შესაბამისად, ამ სეზონში რუსი ჩოგბურთელის გამარჯვებათა სერია 10 მატჩამდე ავიდა. რაც მთავარია, დემენტიევა ყველა მეტოქეს იოლად უსწორდება. ასე მაგალითად, ოკლენდის ტურნირი ისე განვლო, რომ სეტი არ წაუგია, სიდნეიში კი ნახევარფინალში მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ბუკმეიკერების მიერ ავსტრალიის ღიას მთავარ ფავორიტად აღიარებულ **სერენა უილიამსს**.

რაც შეეხება ფინალს, აქ დემენტიევას ოდნავ გაუჭირდა თავისი თანამემამულის **დინარა საფინას** დამარცხება. უფრო სწორად, ელენამ მეორე სეტში თავს მოდუნების უფლება მისცა და სწორედ ამ დროს დათმო პარტია - 2:6.

პირველ და მესამე სეტებში კი კორტის სრული ბატონ-პატრონი სწორედ დემენტიევა იყო, რომელმაც პარტიები შესაბამისად 6:3 და 6:1 მოიგო.

სხვათა შორის, დემენტიევა საფინასთვის უხერხულ მეტოქედ ითვლება. ამ ჩოგბურთელთა ბოლო სამი შეხვედრა ელენას გამარჯვებით დასრულდა, მათ შორის შარშან, პეკინის ოლიმპიადის ფინალი.

**ATP**

**Heineken Open**

ოკლენდი (ახალი ზელანდია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 484 750 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 1)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 6:4, 6:3; **სემ კუერი (აშშ, 6)**-დავიდ ფერერი (ესპ, 2) 3:6, 6:3, 7:6(4).

**Medibank International**

სიდნეი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 484 750 დოლარი

**1/2 ფინალი**

**იარკო ნიემინენი (ფინ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 6:4, 7:6(3); **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 4)**-რიშარ გასკე (საფ) 6:4, 6:3.

**WTA**

**Medibank International**

სიდნეი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**ფინალი**

**ელენა დემენტიევა (რუს, 3)**-დინარა საფინა (რუს, 2) 6:3, 2:6, 6:1.

**Moorilla International**

ჰობარტი (ავსტრალია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**ფინალი**

**პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 7:5, 6:1.



# მონიკა დიდების დარბაზში

"დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის გამარჯვებული, ამერიკელი **მონიკა სელეში** ჩოგბურთის დიდების დარბაზის ახალი წევრი გახდება.

ყოფილი იუგოსლაველი ჩოგბურთელი 178 კვირის განმავლობაში ინარჩუნებდა პირველ ადგილს WTA-ის კლასიფიკაციაში. ის 17 წლის ასაკში ჩაუდგა სათავეში რეიტინგს, რითაც ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, ვინც პირველი ჩოგნის სტატუსი მოიპოვა.

სელეშმა, რომელიც ახლა 35 წლისაა, ოთხჯერ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, სამჯერ როლან გაროსი და ორჯერ - ამერიკის ღია პირველობა.

გარდა ამისა, მონიკას ანგარიშზეა ერთეულთა თანრიგში WTA-ის ტურნირების 53 ტიტული და ექვსი გამარჯვება წყვილებში. სულ მას კორტზე 14 მილიონი დოლარი აქვს გამომუშავებული. სელეშმა ორჯერ მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი და ასევე ორჯერ (1991-92) პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა სეზონი.

ამერიკელს გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლო, მაგრამ მისი კარიერა 1993 წლის აპრილში, ჰამბურგის ტურნირზე შეფერხდა. ერთი-ერთი მატჩის მსვლელობისას, სელეში კორტზე გერმანელი **შტეფი გრაფის** არანორმალურმა გულშემატკივარმა დანით ზურგში დაჭრა, რის გამოც მონიკა 27 თვით ჩამოშორდა აქტიურ სპორტს და მას შემდეგ, ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენა ვერ მოახერხა.

იუგოსლავიაში დაბადებული სელეში 13 წლის ასაკში გადავიდა ამერიკაში საცხოვრებლად და 1994 წელს ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. მონიკამ აშშ-ის ნაკრებს სამჯერ მოაგებინა ფედერაციის თასი. სელეშის ანგარიშზეა აგრეთვე 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი.

მონიკა სელეშს დიდების დარბაზში 11 ივლისს, ამერიკის ქალაქ ნიუპორტში შეიყვანენ.



# ავსტრალიაში დრეს-კოდი დაანესეს

საჩოგბურთო სამყარო ისევ ზნეჩვეულებებზე ალაპარაკდა. ამჯერად სიმშვიდე 18 წლის ფრანგმა ჩოგბურთელმა **ალიზ კორნემ** დაარღვია. ჰოფმანის თასზე ამ ჩოგბურთელის აშკარად გამომწვევმა ჩაცმულობამ ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორთა აღშფოთება გამოიწვია და მათ გარკვეული ზომებიც მიიღეს ამასთან დაკავშირებით.

ტურნირის ხელმძღვანელობამ მკაცრად გააფრთხილა ჩოგბურთელები: "დიდი სლემის" პირველ ჩემპიონატში გამომწვევი ჩაცმულობა აკრძალული იქნება. დრეს-კოდის დამრღვევი 2 ათასი დოლარით დაჯარიმდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



გამოვიდა ახალი ნომერი